



სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ქართული ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამა

ჟანა ხაჩატურიანი

სახელთა ბრუნება ქართულსა და სომხურ ენებში

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური  
ხარისხის მოსაპოვებლად

*სამეცნიერო ხელმძღვანელი: მანანა ტაბიძე, ფილოლოგიის  
მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი*

ახალციხე

2021

## განაცხადი

ქანა ხაჩატურიანი ვაცხადებ, რომ წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალას, რომელიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ხელმოწერა:

თარიღი:

## სარჩევი

ანოტაცია.....	7
Annotation.....	9
შესავალი.....	11
თავი I. სახელმწიფო ენის ფლობის სირთულეები საქართველოს სომხურენოვან მოსახლეობაში .....	24
1.1.სომხურენოვანი მოსახლეობა საქართველოში .....	29
1.2. ჯავახეთის ბუნება და ადამიანები – წარსული და თანამედროვეობა .....	32
თავი II. ქართულ-სომხური ენების წარმატებული კონტაქტებისათვის გასათვალისწინებელი ლინგვისტური საკითხები .....	40
2.1. სახელთა ბრუნება სომხურში .....	40
2.2. სომხური ენის დიალექტების სიმრავლე და თავისებურებები.....	42
თავი III. სახელთა ბრუნების თავისებურებები სომხურ-ქართული ენობრივი შეხვედრების ჭრილში .....	46
3. 1. ბრუნვის ფორმათა შესაბამისობის პრობლემა ქართულსა და სომხურ ენებში...47	
3. 2. თანამედროვე სომხური ენის გრამატიკა .....	53
3.3. ბრუნება ახალ სომხურ ენაში .....	55
3.4. ბრუნება სომხურში და მისი სამეცნიერო შეფასება .....	58
3.5. ზედსართავი სახელის ბრუნება.....	69
3.6. რიცხვითი სახელის ბრუნება .....	70
3. 7. ნაცვალსახელთა ბრუნება .....	71
3.8. ბრუნვათა წარმოების განსხვავებები ქართულსა და სომხურში .....	78
3.9. ბრუნვათა და თანდებულიან ბრუნვათა სწავლების საკითხი არაქართულენოვან ჯგუფებში.....	83
თავი IV. სომხურენოვანი ლიტერატურული პერსონაჟი, როგორც „ენობრივი პიროვნება“ .....	111
თავი V. საქართველოს მოქალაქეთა სომხურენოვანი ნაწილის ენობრივი კომპეტენციის ზოგი პრაქტიკული ასპექტი სოციოლინგვისტური გამოკითხვების მიხედვით .....	118
კვლევის შედეგები .....	131

დასკვნა და რეკომენდაციები(სახელმწ. ენის შესწავლის ხელისშემშლელი ფაქტორები).....	137
დასკვნა და რეკომენდაციები (ქართული ენის მასწავლებლების სწავლების მეთოდები, არაქართულენოვან სკოლებში).....	148
დასკვნები .....	153
გამოყენებული ლიტერატურა:.....	160
დანართი №1 .....	175
დანართი №2 .....	203

## სურათების ნუსხა

სურათი 1. ახალქალაქის მუნიციპალიტეტის რუკა .....	39
სურათი 2. მოსწავლის ნამუშევარი.....	82
სურათი 3. მოსწავლის ნამუშევარი.....	85
სურათი 4. მოსწავლის ნამუშევარი .....	87
სურათი 5. მოსწავლის ნამუშევარი .....	88
სურათი 6. მოსწავლის ნამუშევარი .....	89
სურათი 7. მოსწავლის ნამუშევარი .....	91
სურათი 8. მოსწავლის ნამუშევარი .....	92
სურათი 9. მოსწავლის ნამუშევარი .....	93
სურათი 10. მოსწავლის ნამუშევარი .....	95
სურათი 11. მოსწავლის ნამუშევარი .....	107
სურათი 12. მოსწავლის ნამუშევარი.....	108
სურათი 13. მოსწავლის ნამუშევარი .....	109

## ცხრილების ნუსხა

ცხრილი 1. ელექტრონული და სალიტერატურო თარგმნა .....	53
ცხრილი 2. მრავლობითი რიცხვის წარმოება .....	57

ცხრილი 3. ქ (ი) ტიპის არსებითი სახელების ბრუნება .....	60
ცხრილი 4. ու (უ) ტიპის არსებითი სახელების ბრუნება.....	61
ცხრილი 5. կաշի (კაში) არსებითი სახელის ბრუნება .....	62
ცხრილი 6. մարդ (მართ) არსებითი სახელის ბრუნება .....	62
ცხრილი 7. վա (ვა) ტიპის არსებითი სახელების ბრუნება .....	63
ცხრილი 8. տարի (ტარი) არსებითი სახელის ბრუნება .....	64
ცხრილი 9. ան(ან) ტიპის არსებითი სახელის ბრუნება .....	64
ცხრილი 10. շուն(შუნ) და տուն (ტუნ) არსებითი სახელების ბრუნება .....	65
ცხრილი 11. აბსტრაქტული სახელების ბრუნება.....	66
ცხრილი 12. ոչ(ვოჩ) ტიპის არსებითი სახელების ბრუნება.....	66
ცხრილი 13. կին(კინ) არსებითი სახელის ბრუნება.....	67
ცხრილი 14. ნათესაობითის აღმნიშვნელი სახელების ბრუნება.....	67
ცხრილი 15. საგვარეულო სახელების ბრუნება.....	68
ცხრილი 16. սեր (სერ), հույս (ჰუის) არსებითი სახელების ბრუნება .....	68
ცხრილი 17. աղբիկ (ახჩიკ) არსებითი სახელის ბრუნება.....	69
ცხრილი 18. ზედსართავი სახელის ბრუნება.....	69
ცხრილი 19. გაარსებითებული ზედსართავი სახელის ბრუნება .....	70
ცხრილი 20. პირის ნაცვალსახელების ბრუნება.....	72
ცხრილი 21. კუთვნილებითი ნაცვალსახელების ბრუნება .....	73
ცხრილი 22. დამოუკიდებელი კუთვნილებითი ნაცვალსახელების ბრუნება.....	73
ცხრილი 23. ჩვენებითი ნაცვალსახელების ბრუნება.....	74
ცხრილი 24. დამოუკიდებელი ჩვენებითი ნაცვალსახელების ბრუნება.....	74
ცხრილი 25. კითხვითი ნაცვალსახელების ბრუნება.....	75
ცხრილი 26. ურთიერთობითი ნაცვალსახელების ბრუნება .....	75
ცხრილი 27. განსაზღვრებითი ნაცვალსახელების ბრუნება .....	76
ცხრილი 28. განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელების ბრუნება.....	77
ცხრილი 29. უარყოფითი ნაცვალსახელების ბრუნება .....	77

## დიაგრამების ნუსხა

დიაგრამა 1. პირღზის კვლევა .....	124
დიაგრამა 2. 1+4 პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობა.....	125
დიაგრამა 3. სახელმწიფო ენის ცოდნის აუცილებლობა პროფესიულ საქმიანობაში	131
დიაგრამა 4. სახელმწიფო ენის ცოდნა დონეების მიხედვით.....	132
დიაგრამა 5. ყოფა-ცხოვრებაში სახელმწიფო ენის ცოდნის საჭიროება .....	134
დიაგრამა 6. სახელმწიფო ენის შესწავლის ხელისშემშლელი ფაქტორები.....	136
დიაგრამა 7. მოსწავლეთა მშობლიური ენის ცოდნის საკითხი .....	149
დიაგრამა 8. თანდებულიანი ბრუნვების სწავლების საჭიროება .....	150

## ანოტაცია

წინამდებარე ნაშრომში თემაზე „სახელთა ბრუნება ქართულსა და სომხურ ენებში“, მოიცავს შესავალ ნაწილს, ხუთ ძირითად თავსა და დასკვნას. ნაშრომს თან ახლავს გამოყენებული ლიტერატურის (ქართული, რუსული, სომხური, ინგლისური) სია და დანართი. (პედაგოგების მიერ შევსებული კითხვარები და მოსწავლეთა ნამუშევრები.)

ნაშრომზე მუშაობისას განისაზღვრა საქართველოში მცხოვრები სომხების სამოქალაქო ინტეგრაციის სირთულეთა ენობრივი ასპექტების დახასიათება, შეფასება და პრაქტიკულად ღირებული რეკომენდაციების შემუშავება.

ნაშრომის შესავალ ნაწილში მიმოვიხილავთ საქართველო-სომხეთს შორის, როგორც მოსაზღვრე ქვეყნების ურთიერთობასა და შემდგომ მათ ენობრივ კონტაქტებს, რომელსაც დიდი ხნის ისტორია აქვს. შესავალ ნაწილში დასაბუთებულია საკვლევი თემის აქტუალურობა, ნაშრომის მიზანი, ემპირიული კვლევის მეცნიერული სიახლე, გამოყენებული კვლევის მეთოდები, დისერტაციის პრაქტიკული ღირებულება, ნაშრომის სტრუქტურა და კვლევის შედეგები.

ნაშრომის პირველ თავში ვეხებით სახელმწიფო ენის ფლობის სირთულეებს, საქართველოს სომხურენოვან მოსახლეობაში. აღნიშნულ თავში წარმოდგენილია სახელმწიფო ენობრივი პოლიტიკის ანალიზი, სწორი ენობრივი პოლიტიკის შემუშავება კი, ენობრივი სიტუაციის განსაზღვრის საფუძველზე ხდება. აქედან გამომდინარე, ცალსახად გვაქვს წარმოდგენილი, თუ რა სირთულეებს აწყდებიან არაქართველი მოსწავლეები ქართული ენის სწავლებისას და აღნიშნული პრობლემა რით არის განპირობებული. ასევე დეტალურადაა აღწერილი სწავლების პრაქტიკაში გასათვალისწინებელი გარემოებები.

**ნაშრომის მეორე თავი** ეძღვნება ქართულ-სომხური ენების წარმატებული კონტაქტებისათვის გასათვალისწინებელი ლინგვისტური საკითხების ანალიზს. ამ თავში საანალიზოდ გვაქვს მოხმობილი თეორიულ კვლევასთან ერთად, პრაქტიკული მასალაც. რომელიც ძირითადად ჩვენი პედაგოგიური პრაქტიკიდან გახლავთ აღებული.

**სადისერტაციო ნაშრომის მესამე თავში**, სიღრმისეულად განვიხილავთ სახელთა ბრუნების თავისებურებებს სომხურ-ქართული ენობრივი შეხვედრების ჭრილში.

მოცემულ თავში განვიხილავთ ქართულ-სომხური ენების მსგავსებას, მსგავსების საფუძვლიან მიზეზებს. და რაკი მსგავსებები ტიპოლოგიურ ხასიათისაა, ამიტომ სწავლების სიძნელეებიც ქართულ-სომხური ენობრივი შეხვედრების, მსგავსება-განსხვავებათა პრაქტიკული გამოვლინებებისა და სხვაობათა გათვალისწინებით, ტიპოლოგიური გრამატიკის მეშვეობით უნდა დაიდლოს, შესაბამისად ამ თავში განვიხილავთ როგორ უნდა დადგინდეს ობიექტური სიძნელეები და კანონიზომიერებები სწავლების კონკრეტული ვარიანტის შემთხვევაში.

**წინამდებარე ნაშრომის მეოთხე თავი** საინტერსო მაკავშირებელ რგოლს წარმოადგენს მოცემულ თავებს შორის. აღნიშნული თავი ეთმობა ლიტერატურულ პერსონაჟებს, რომელიც ე.წ. ანთროპოცენტრული ლიტერატურის ერთ-ერთი საინტერესო სფეროა, როგორც „ენობრივი პიროვნება“, ხოლო ამ კუთხით ნაციონალურ უმცირესობათა მეტყველებითი სპეციფიკა მრავალმხრივ შესასწავლი. შესაბამისად ამ თავში განვიხილავთ იმას, რომ სომხურენოვანთათვის ბრუნებაში დაშვებული შეცდომები მეთოდური ნაკლოვანებების მიზეზია თუ ენობრივი სხვადასხვაობისა.

**სადისერტაციო ნაშრომის მეხუთე თავი** ეძღვნება საქართველოს მოქალაქეთა სომხურენოვანი ნაწილის ენობრივი კომპეტენციის ზოგ პრაქტიკულ ასპექტს სოციოლინგვისტური გამოკითხვების მიხედვით. აღნიშნულ თავში ვეხებით იმ სენსიტიურ საკითხს, რომლებიც დღესდღეობით ჯავახეთში ერთ-ერთ გადაუჭრელ და ამიტომაც ხელისუფლებისთვის ჯერ კიდევ პრიორიტეტულ საკითხად რჩება, ეს გახლავთ, სახელმწიფო ენის არ ცოდნა, ან სათანადოდ არ ცოდნა. კვლევების საფუძველზე განვიხილავთ აღნიშნული პრობლემის რეალურ მიზეზებს.



## Annotation

The dissertation topic named "Rotation of nouns in Georgian and Armenian languages (Georgian and Armenian language contacts and difficulties in teaching Georgian)" includes the introductory part, five main chapters and conclusion. The work is followed by a list of attached literature (Georgian, Russian, Armenian, English) and an appendix. (There are questionnaires filled out by teachers together with students' writings).

While working over the topic the difficulties of civil integration were figured out, characterized and assessed in the linguistic aspects of the Armenians living in Georgia. Moreover, practical recommendations were worked out and developed.

In the introductory part of the dissertation, we talk about the relationship between Georgia and Armenia, as the relationship between neighboring countries and their subsequent linguistic contacts, which have a long history. The introductory part proves the relevance of the researched work as well as its aim, innovatively explored scientific research, the methods used, the value of the dissertation from its practical view point, together with the structure of the presented work and the results of the research.

**In the first chapter** of the work presented, we cover the difficulties of mastering the state language, which are generally common for the Armenian-speaking population of Georgia. This chapter presents the analysis of the state language policy, and the development of the correct language policy is based on identification of the language situation. Therefore, we have a clear idea of the difficulties in learning Georgian language that is faced by non-Georgian students, together with the reason of this problem. Also there is a detailed instruction of circumstances which should be taken into consideration in the process of the language teaching practice.

**The second chapter** covers the analysis of linguistic issues, considered for successful contacts between Georgian and Armenian languages, which is mainly observed in our pedagogical practice. For the given analyses, apart from the theoretical research, there is a practical work that is mostly taken from my personal pedagogical experience.

**In the third chapter of the dissertation,** we discuss in depth the peculiarities of noun rotation in the context of Armenian-Georgian language contacts. In this chapter we present the similarities between the Georgian and Armenian languages and the basic reasons of these

similarities. Since the similarities are typical, the difficulties of teaching must overcome from typological grammar, taking into account the similarities and differences of Georgian-Armenian language contacts taken from the teaching practice. In this part we discuss how to identify the objective challenges and rules in case of certain teaching examples.

**The fourth chapter** contains an interesting link between all the chapters presented. It covers the literature characters, which are one of the most interesting fields of, so called, anthropocentric literature as the "linguistic person", and in this aspect the specifics of national minority language speech can be observed in many interesting ways. Thus, here we discuss whether the errors in noun rotation, made by Armenian speakers in Georgia, are caused by the lack of methodology work or they simply express the linguistic difference.

**The fifth chapter of the work** presents some practical aspects of the linguistic awareness of ethnic Armenians of Georgia according to sociolinguistic surveys. The lack of knowledge or misunderstanding of the state language at its proper level is a very sensitive issue for Javakheti, therefore, it remains unsolved even today, being a privileged issue for the government. Based on the surveys, we discuss the real reasons which cause this problem.

## შესავალი

ქართული ენა საქართველოს სახელმწიფო ენაა, მისი ცოდნის დონე და ხარისხი მნიშვნელოვნად განსაზღვრავს საქართველოს მოქალაქეთა ან ხანგრძლივ მიგრანტთა საყოფაცხოვრებო წარმატებას, საზოგადოებრივ ინტეგრაციას, სამოქალაქო მშვიდობას.

ქართული სახელმწიფოს მოქალაქეთა შორის ავტოქთონი მოსახლეობის – ქართველების – გარდა, ცხადია სხვა ეთნიკური წარმომავლობის ადამიანებიც არიან, რომელთა ცხოვრების წესი, ყოფითი საჭიროებები და კულტურული მისწრაფებები სწორედ ამ ქვეყანაში ყალიბდება და ვითარდება, თუმცა ხშირ შემთხვევაში კონფესიური, ეთნოკულტურული და ენობრივი განსხვავებების გამო გარკვეული ტიპის მარგინალიზაციის ნიშნებიც შეიძლება გაჩნდეს. ამდენად სრულიად საქართველოს მოსახლეობის ერთიანობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია ყველა იმ დაბრკოლების გადალახვა, რომელიც მოქალაქეთა დაახლოებას უშლის ხელს. ამ გზაზე ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ბარიერი ენობრივი კომპეტენციის საკითხია. სახელმწიფო ენის საყოველთაო ცოდნა კი წარმატების უცილობელი პირობაა.

სომხეთი საქართველოს ერთ-ერთი მოსაზღვრე ქვეყანაა, შესაბამისად ბუნებრივია, რომ სომხები ისტორიულად ადვილად მოძრაობენ საქართველოსა და სომხეთს შორის, და ხშირ შემთხვევაში სახლდებოდნენ და სახლდებიან კიდევ სამუშაოდ. სომეხთა მიგრაციას წარსულში ხშირად ჰქონდა სამხედრო ან ეკოლოგიური კატასტროფებიდან გახიზვნის ხასიათი, სავაჭრო და სხვა ეკონომიკური ინტერესები და ა.შ.<sup>1</sup> ცხადია, საქართველოში ჩამოსახლებული სომხები ქართულ ენას ითვისებდნენ და ჩვეულებრივად იყენებდნენ, რადგან საქართველო მეცხრამეტე საუკუნემდე მონოლინგვური სახელმწიფო იყო, მით უფრო, რომ ქართული თვით კავკასიის ორივე ფერდობის მოსახლეობისთვის საერთაშორისო ენის ფუნქციასაც ასრულებდა [ტაბიძე, 2005: 17-26, 77-79].

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქართულ-სომხურ ენობრივ კონტაქტებს დიდი ხნის ისტორია აქვს. ამ დროის მანძილზე, ცხადია, დაგროვდა უამრავი მასალა ლექსიკის

---

<sup>1</sup> სხვათა შორის საინტერესოა, რომ ქართველების მხრიდან სომხეთისაკენ სწრაფვის ამგვარი აქტივობა არ დასტურდება.

სესხების, ანთროპონიმული და ტოპონიმური ტიპოლოგიური მსგავსებების, ლინგვოკულტურული ზეგავლენებისა თუ დაახლოების სახით... ამ მიმართულებით კვლევებს, მიუხედავად დიდი სამეცნიერო ტრადიციისა, კვლავ უდიდესი პერსპექტივა აქვს, რადგან შიდა თუ გარე ფაქტორების გავლენით მრავლადაა დაგროვილი სადავო თუ სულაც გამოუკვლევია საკითხები, რომელთაც ობიექტური ენათმეცნიერება ჯერაც ელოდება.

**ნაშრომის მიზანი და ამოცანები.** ფართო გაგებით, ჩვენი კვლევის მიზანი ქართულ-სომხური ენობრივი კონტაქტების ის სფეროა, რომელიც სწორედ სამოქალაქო ინტეგრაციის სოციოლინგვისტურ საკითხებს უკავშირდება და საქართველოს სომხურენოვანი მოსახლეობისთვის ქართულის სწავლების სიმძნელების დაძლევის ამოცანას ისახავს.

ნაშრომის კონკრეტული მიზანი ქართულ-სომხურ ენობრივ თავისებურებათა შეპირისპირებითი კვლევაა. ცხადია, წინამდებარე საკვალიფიკაციო ნაშრომი გრამატიკულ შეუსაბამობათა მთელ სპექტრს ვერ გასწვდება, ამიტომ ამ კვლევაში ჩვენ ბრუნვათა სისტემების შეპირისპირებისა და სომხურენოვანი მოსწავლეებისთვის ქართულის სწავლებისას გასათვალისწინებელ გარემოებებს ვეხებით.

რამდენადაც საკუთარი პროფესიული საქმიანობაცა და ცხოვრებისეული გამოცდილებაც ამ ენობრივი კონტაქტების პრაქტიკულ გარემოში მიმდინარეობს, მიზნად დავისახეთ თანამიმდევრულად მივყვეთ ქართულის სწავლებაში სომხურენოვანი ახალგაზრდის დედაენისეული ფუნდამენტით განპირობებულ შეცდომათა ბუნებას და დავსახოთ სწავლების გამართივებისა და ოპტიმიზაციისაკენ მიმართული გზები.

**ნაშრომის აღწერა.** საქართველო-სომხეთი უშუალო მოსაზღვრე სახელმწიფოებია და მრავალსაუკუნოვანი მეზობლობის უდიდესი პრაქტიკა არსებობს. მიუხედავად დიდი სამხედრო, სავაჭრო, კულტურული კონტაქტებისა, მეზობელი მოსახლეობა ერთმანეთის ენების შესწავლის უფრო „საყოფაცხოვრებო გზას ადგა“, ვიდრე სპეციალური სახელმძღვანელოების გამოყენებისას; ამგვარი თავისებურება ბევრ მეზობელ სახელმწიფოთა ურთიერთობებშიც იჩენს თავს და ამიტომ გასაკვირიც არ არის. ალბათ, ამით უნდა აიხსნებოდეს ის, რომ ქართულად მოლაპარაკე სომხურენოვანი პირი ყოველთვის იცნობა პრონონსის, გრამატიკულ შეცდომებისა და ლექსიკის სპეციფიკური გამოყენების მიხედვით. ამჟამად საგანმანათლებლო

ორგანიზაცია მიზნად ისახავს სომხურენოვანი მოსწავლეებისთვის არა მხოლოდ ქართული ენის საფუძვლების სწავლებას, არამედ ენის სწავლებაში თანამედროვე პედაგოგიური მიღწევებისა და მეთოდოლოგიების დანერგვასაც.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ერთი და იგივე სკოლა, რომელიც წარმატებით ახორციელებს რუსულისა და ინგლისურის სწავლების საქმეს, ვერ არის წარმატებული იმავე კონტინგენტისათვის ქართული ენის სწავლებაში. ამ ფენომენის ასახსნელად ჩვენ იძულებული ვხდებით, კიდევ ერთხელ მივუბრუნდეთ ქართულ-სომხურ ურთიერთობათა სოციალურ-პოლიტიკურ დისკურსს და შევეცადოთ ავხსნათ ის ფაქტი, თუ რატომ ვერ ფლობს სახელმწიფო ენას სამცხე-ჯავახეთში შედარებით მჭიდროდ განსახლებული სომხური მოსახლეობა.

ამ კითხვაზე პასუხი მცირედ ისტორიულ ექსკურსს საჭიროებს, რასაც ნაშრომის **პირველი თავი** ეთმობა.

კავკასიის მიწა-წყალზე სხვადასხვა წარმომავლობის ენებს ვხვდებით: რიგი მათგანი ინდო-ევროპულ ოჯახს განეკუთვნება. მათ შორისაა სომხური ენაც, ქართული ენა კი იბერიულ-კავკასიური ენების ოჯახიდანაა. ეს ფაქტი ამ ორ შეპირისპირებულ ენათა შორის გარკვეულ ფუნდამენტურ განსხვავებებს წარმოშობს, რაც ბრუნვათა სისტემაშიც იჩენს თავს.

სამეცნიერო ლიტერატურაში, განსაკუთრებით თანამედროვე სამეცნიერო თვალსაზრისებში ტერმინი **იბერიულ-კავკასიური** სადავოდაა გამოცხადებული; თანამედროვე სპეციალისტთა ნაწილი ამჟამად იყენებს ტერმინს კავკასიური ენები, რომელსაც ძირითადად გეოგრაფიულ და არა ლინგვოგენეზისურ დატვირთვას აძლევს და ამ ტერმინში კავკასიაში ისტორიულად მოქმედ ენებს აერთიანებს. ჩვენ ამ შემთხვევაში ტერმინ **იბერიულ-კავკასიურის** ძირითადი მნიშვნელობიდან ამოვდივართ და ამ პოზიციის დასაბუთებას ნაშრომში საგანგებო მსჯელობას ვუძღვნი.

**სადისერტაციო ნაშრომის პირველ თავში** ვხვებით სახელმწიფო ენის ფლობის სირთულეებს, საქართველოს სომხურენოვან მოსახლეობაში. აღნიშნულ თავში წარმოდგენილია სახელმწიფო ენობრივი პოლიტიკის ანალიზი, სწორი ენობრივი პოლიტიკის შემუშავება კი, ენობრივი სიტუაციის განსაზღვრის საფუძველზე ხდება. აქედან გამომდინარე, ცალსახად გვაქვს წარმოდგენილი, თუ რა სირთულეებს აწყდებიან არაქართველი მოსწავლეები ქართული ენის სწავლებისას და აღნიშნული

პრობლემა რით არის განპირობებული. რა გზა გაიარა საქართველომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ და რა დილემის წინაშე აღმოჩნდა ქვეყანა. მიუხედავად, საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრული მოთხოვნისა, რომ საქართველოს სახელმწიფო ენა არის ქართული, ეთნიკური ჯგუფების თავმოყრის ადგილებში, სკოლები მუშაობდნენ ან რუსულად ან ეთნიკური ჯგუფის ენაზე. შესაბამისად გაჩნდა პრობლემა, არაქართულენოვანი მოსახლეობა უფლებრივად იყო საქართველოს მოქალაქე, მაგრამ მენტალურად რჩებოდა გაურკვეველი სამოქალაქო იდენტობის. უკვე ათწლეულებია საქართველო ცდილობს, რაც შეიძლება სწრაფად გამოიყვანოს აღნიშნული იზოლაციიდან არაქართულენოვანი მოსახლეობა, მაგრამ პროცესი ძალიან გაჭინაურდა, რასაც აქვს თავისი გარკვეული მიზეზები, აღნიშნული მიზეზები დეტალურადაა გაწერილი ნაშრომის პირველ თავში. ასევე დეტალურადაა აღწერილი სწავლების პრაქტიკაში გასათვალისწინებელი გარემოებები და დაკვირვებები, გამოვყავით, სწავლა სწავლების პროცესში, სკოლაში, ჩვენ წინაშე არსებული ამოცანები. მაგალითად რა უნდა გავითვალისწინოთ ზეპირი თუ წერილი კომუნიკაციისას, რამდენად აუმჯობესებს სწავლის პროცესს, მოსწავლის ინდივიდუალური პრობლემების გამოვლენა. საუბარია „უცხო ენის“ სწავლების მეთოდოლოგიის სრულყოფასა და ასევე ფსიქოლოგთა კონსულტაციაზე. [ქართული, როგორც საქართველოს სახელმწიფო ენა, საქართველოს მოქალაქისათვის არ შეიძლება „უცხო ენად“ იყოს განხილული, მაგრამ ეს ოფიციალური ტერმინოლოგიური ასპექტი გახლავთ, რეალურ ცხოვრებაში კი ახალციხის ან ახალქალაქის რაიონის სომეხი მოსახლეობის უდიდესი ნაწილისათვის ქართული **ჯერჯერობით** სრულიად უცხოა... ამიტომ ქართულის სწავლება მეთოდოლოგიურად ძალიან ჰგავს ჩვეულებრივი „უცხო ენის“ სწავლებას].

ასევე, აღნიშნულ თავში გაწერილია, თუ, რა უნდა გაკეთდეს არაქართულენოვან სკოლებში იმისათვის, რომ მეტყველების ათვისება გამარტივდეს, რამდენადაც მეტყველება არის მთავარი კომუნიკაციის დროს.

**ნაშრომის მეორე თავი** ეძღვნება ქართულ-სომხური ენების წარმატებული კონტაქტებისათვის გასათვალისწინებელი ლინგვისტური საკითხების ანალიზს.

მიუხედავად იმისა, რომ ქართულ და სომხურ ენებს ისტორიული ურთიერთობის დიდი გამოცდილების გარდა დღევანდელი უმჭიდროესი სამეზობლო და კულტურულ-ეკონომიკური ინტერესებიც აკავშირებს, უნდა ითქვას, რომ

თანამედროვე ქართულ-სომხურში ტიპოლოგიური ლინგვისტური კვლევების რაოდენობა უცნაურად მცირეა; ამიტომაცაა, რომ ამ ენათა სწავლებისას მაგალითების შეპირისპირებითი ანალიზი პრაქტიკოსი სპეციალისტის ინიციატივაზეა მინდობილი და არა ფუნდამენტურ კვლევათა მონაცემებზე. ჩვენი ნაშრომის ერთ-ერთი მიზანი ისიც იყო, რომ პრაქტიკოსებთან დაგროვილი ეს გამოცდილება სამეცნიერო სივრცეში გამოგვეხმო და შეგვეფასებინა. ამგვარმა მიზნებმა მიგვიყვანა პედაგოგიურ პრაქტიკასთან.

მეორე თავში საანალიზოდ გვაქვს მოხმობილი თეორიულ კვლევასთან ერთად, პრაქტიკული მასალაც. რომელიც ძირითადად ჩვენი პედაგოგიური პრაქტიკიდან გახლავთ აღებული. ესაა სხვადასხვა ასაკისა და ენობრივი კომპეტენციის მოსწავლეთა, სტუდენტთა და, ზოგ შემთხვევაში, უფროსი ასაკის პირთა წერითი და ზეპირმეტყველებითი მონაცემები ქართულში სახელთა ბრუნების ათვისების სიმწიფეებისა და თავისებურებათა თვალსაზრისით.

აღნიშნულ თავში განხილულია ბრუნვათა სისტემა ქართულსა და სომხურ ენებში, შესაბამისად ბრუნვათა სისტემაზე საუბრისას, ცხადია, თავს იჩენს მრავლობითის წარმოების საკითხებიც, კერძოდ, ქართულისათვის სრულიად ბუნებრივი ორი მრავლობითი (-ებ-იანი და ნარ/თანიანი) სრულიად უცხოა სომხურისათვის, რომელსაც მრავლობითში შედარებით სტაბილური მაწარმოებლები დაერთვის (-ւք (ერ) და -նւք (ნერ)).

მეორე მნიშვნელოვანი საკითხი მეორე თავში სომხური ენის დიალექტების სიმრავლე და თავისებურებები გახლავთ. რა თქმა უნდა არ გვესაჭიროება სომხური ენის დიალექტთა სრული დახასიათება, რომელიც სიმრავლითა და მრავალფეროვნებით გამოირჩევა, მაგრამ რამდენადაც ჩვენი კვლევის სამიზნე ჯგუფები, ის არაქართულენოვანი/სომხური მოსახლეობა გახლავთ, რომელთა საკომუნიკაციო ენაც, არა სომხური სალიტერატურო ენაა, არამედ სომხურის ის დიალექტი, რომელიც ან საქართველოში ან თურქეთში ხიზნობისას განვითარდა, ვფიქრობთ, რამდენიმე ასპექტზე ყურადღების გამახვილება საჭირო და აუცილებელიც კია, რომელიც აღნიშნულ თავშია წარმოდგენილი და გაანალიზებული.

სადისერტაციო ნაშრომის მესამე თავში, სიღრმისეულად განვიხილავთ სახელთა ბრუნების თავისებურებებს სომხურ-ქართული ენობრივი შეხვედრების ჭრილში.

სომხური და ქართული ტიპოლოგიურად მსგავს ენებს წარმოადგენდნენ და ხანგრძლივი ისტორიული თანამეზობლობის მიუხედავად, მათი მსგავსება ნამდვილად დაფუძნებულია არა ნათესაურ, არამედ თანამეზობლურ სიახლოვეზე, რაც ნათესაობაზე არანაკლებ მნიშვნელოვანია; და რაკი მსგავსებები ტიპოლოგიურ ხასიათისაა, ამიტომ სწავლების სიძნელეებიც ქართულ-სომხური ენობრივი შეხვედრების, მსგავსება-განსხვავებათა პრაქტიკული გამოვლინებებისა და სხვაობათა გათვალისწინებით, ტიპოლოგიური გრამატიკის მეშვეობით უნდა დაიძლიოს.[ტაბიძე,2005:345]

წარმოდგენილ თავში საკითხი ასე დგას – ბრუნვის ფორმათა შეუსაბამობის პრობლემა ქართულსა და სომხურ ენებში ხელისშემშლელი ფაქტორია ენის შემსწავლელთათვის. როგორც არაერთმა ინტერვიუმ დაგვარწმუნა (და საკუთარი პრაქტიკული გამოცდილებაც ამასვე გვიდასტურებს) განსაკუთრებით თვალშისაცემია სიძნელეები სახელთა ბრუნების სწავლებაში (კერძოდ, მოთხ. ბრუნვა; წოდებითი ბრუნვა); ჩვენი ამოცანაა, გავარკვიოთ ასაკობრივი გრადაციის მიხედვით, რატომ უჭირთ ენის შემსწავლელებს წინადადების აგებისას საჭირო ბრუნვის ფორმის შერჩევა და როგორ უნდა დავეხმაროთ ამ პრობლემის მოგვარებაში.

არაერთ სადისერტაციო კვლევასა თუ მეთოდოლოგიურ მონოგრაფიებში მეტ-ნაკლებად განხილულია ტიპობრივი შეცდომები შესასწავლი ენის ათვისების გზაზე, ჩვენს სადისერტაციო კვლევაშიც გამოიკვეთა ტიპური შეცდომები, რომელთა განზოგადებულად განხილვას არ ვთვლით მიზანშეწონილად, რადგან შესასწავლ ენაში დაშვებული შეცდომები, ძირითადად დედაენის სისტემური თავისებურებებითაა განპირობებული.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ შეცდომათა ანალიზი საშუალებას იძლევა დადგინდეს ობიექტური სიძნელეები და კანონიზომიერებები სწავლების კონკრეტული ვარიანტის შემთხვევაში; ამ გზით კი სწავლების რეალისტური მიზნების დასახვა მოხერხდება, სწორედ ამ მიზნით, აღნიშნულ თავში ცალ-ცალკე მიმოვიხილავთ ბრუნების სტრუქტურას ქართულსა და სომხურ ენებში.



ჩვენი მიზანი არ არის (და ვერც იქნებოდა) ქართულ-სომხური ბრუნების სრული შეპირისპირებითი დახასიათება, რადგან საკითხი ძალიან ფართოა, ისტორიულ წიაღსვლებსა და ტიპოლოგიური მეთოდოლოგიის ყოველმხრივ გამოყენებას მოითხოვს, რაც აღემატება საკვალიფიკაციო ნაშრომის ფორმატს. თუმცა, ვიმედოვნებთ, რომ ამ მიმართულებით მუშაობისთვის წინამდებარე კვლევასაც შეიძლება ჰქონდეს მნიშვნელობა. როგორც უკვე ვთქვით, ვცდილობთ სომხურენოვანი კონტინგენტისათვის ქართულის სწავლებისას წარმოქმნილი პრაქტიკული სიძნელების აღნუსხვას, განხილვას, შეფასებასა და, შემდგომში დაგვარად, რეკომენდაციების შემუშავებას.

ქართულსა და სომხურში ბრუნების თავისებურებათა განხილვისას, ჩვენი ყურადღება განსხვავებათა დადგენასა და თარგმნისას წარმოქმნილ წინააღმდეგობაზეა მიმართული. ამ თვალსაზრისით, საუკეთესო რესპონდენტებად მივიჩნით სომხურენოვანი სკოლების ქართულის მასწავლებლები და მათი მოსწავლეები, როგორც ყველაზე მოტივირებული და პრაქტიკით დაკავშირებული აუდიტორია. ვფიქრობთ, არჩევანი სწორად გაკეთდა, რადგან მრავალმხრივი გამოკითხვების საფუძველზე საყურადღებო სურათი გამოიკვეთა.

ასევე მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ჩვენი სადისერტაციო ნაშრომის მესამე თავში თანდებულის ბრუნების შეცდომათა ანალიზმა, რადგან ჩვენი სამუშაო პრაქტიკიდან გამომდინარე აშკარაა, რომ სახელთა ბრუნების აქილევსის ქუსლი სწორედ თანდებულის ბრუნებია, რადგან მსმენელთა მხრივ დაშვებული შეცდომების უმრავლესობა სწორედ ამ ფორმებს უკავშირდებოდა. შესაბამისად, კვლევისას, შეცდომათა გამოსასწორებლად შეცდომის გამომწვევი კანონზომიერებების დადგენის მიზნით განსაკუთრებული ყურადღება დავუთმეთ სწორედ თანდებულის ბრუნებსა და მოსწავლეთა ტესტური ნამუშევრების ანალიზს.

უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე ქართულში თანდებული შედარებით ცოტაა, რადგან ბრუნვის ფორმათა სიმრავლე საშუალებას გვაძლევს აზრი უამისოდაც საკმაოდ ზუსტად და ნათლად გამოვხატოთ. თანდებული ქართულში გამოიყენება ყველა ბრუნვის ფორმასთან, გარდა მოთხრობითისა და წოდებითისა [გოგოლაშვილი,

2011: 137]<sup>2</sup>. განსხვავებით ქართულისაგან, სომხურ ენაში თანდებული დამხმარე სიტყვაა, რომელიც მოსდევს სახელს რომელიმე ბრუნვაში და აზუსტებს მის მიმართებას სხვა სიტყვებთან. სომხურ ენაში თანდებული გამოიყენება ყველა ბრუნვის ფორმასთან, გარდა ადგილობითისა [კვანტალიანი, 1999: 177].

როგორც კვლევის ანალიზმა აჩვენა, განსაკუთრებულ სირთულეს მოთხრობითი ბრუნვა ქმნის. თუმცა როგორც ვიცით, ამ ბრუნვას თანდებული არ დაერთვის. შესაბამისად, გარდამავალი ზმნის სამი კონსტრუქციიდან (ნომინატიური, ერგატიული და დატიური) პრობლემას ერგატიულ კონსტრუქციასთან ვაწყდებით, რაც მხედველობაში უნდა ვიქონიოთ სწავლების დროს, ანუ, გავითვალისწინოთ არა მაინცადამაინც ბრუნვათა თანმიმდევრობა, არამედ მათი სირთულე და მოსალოდნელი პრობლემები. ენის შემსწავლელებისთვის ერთ-ერთ რთულად დასაძლევ საკითხს წარმოადგენს მოთხრობითი ბრუნვის ფორმის შეწყობა ზმნასთან და მისი სწორი გამოყენება ზეპირმეტყველებაში.

**სადისერტაციო ნაშრომის მეოთხე თავი ეძღვნება, ანთროპოცენტრული ლიტერატურის, მეტად საინტერესო სფეროს, როგორცაა „ენობრივი პიროვნება“.** სომხურენოვანი ლიტერატურული პერსონაჟების მეტყველების სპეციფიკას, რომელიც მრავალმხრივ შეიძლება შევისწავლოთ. ჩვენ ამჯერად დავაკვირდით სომეხი პერსონაჟების სამეტყველო თავისებურებებს ქართულ მწერლობაში.

მწერლები აქტიურად იყენებენ პერსონაჟის მეტყველებაში სლენგს, ნასესხობებს, დიალექტიზმებს, ტროპულ საშუალებებს, ლექსიკა–ფრაზეოლოგიას. თუმცა, როგორც მიუთითებენ ლექსიკონი მაინც დამხმარე საშუალებაა და არა უმთავრესი ნიშანი გმირის ამოსაცნობად. ძირითადი დატვირთვა მოდის ე.წ. საკვანძო სიტყვებზე და იმაზე, თუ: **1.** რამდენად ხშირად იყენებს ამ სიტყვებს პერსონაჟი; **2.** რამდენად მნიშვნელოვანი სახასიათო სცენა ვითარდება თეზაურუსისა და ლექსიკონის გადაკვეთისას.

ჩვენი ყურადღება ამ საკითხმა მიიპყრო იმით, რომ დღეს სომხების ქართულში არსებული ენობრივი შეცდომები ზოგჯერ მხოლოდ მეთოდის ნაკლად განიხილება და არა ენათა სტრუქტურული განსხვავებით. სწორედ ამიტომაც მოვიხმეთ ქართულ

---

<sup>2</sup> თუმცა სახელობითის –ვით თანდებულის შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა.

მწერლობაში სომეხი პერსონაჟების მეტყველებაში ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნეში შემჩნეული სპეციფიკური ცთომილებები.

მეოთხე თავში განხილული საკითხი ვფიქრობთ განსაკუთრებულია იმიტაც, რომ სახელთა ბრუნების ტიპოლოგიაზე საუბრისას აუცილებლად უნდა შევჩერდეთ სომხურ ანთროპონიმთა მოქართულების საკითხზეც, რომელიც ერთ-ერთი საინტერესო მაგალითია სახელთა ბრუნების შესწავლის თვალსაზრისით. ქართულში არის სომხური, პირთა სახელების ტიპობრივი ნუსხა, რომელიც პოპულარულია საქართველოში მცხოვრები სომხებისათვის. როგორც თითქმის ყველა ენაში, ქართულშიც პირთა სახელების განზოგადების მეშვეობით ხდება ხოლმე სხვადასხვა ეროვნების ან სხვადასხვა კუთხის წარმომადგენლის მოხსენიება (გავიხსენოთ: რუსი-ივანუშკა/მარფუშკა, ამერიკელი – ჯონი, აზერბაიჯანელი – მამედა, სომეხი – სეროჟა და ხაჩიკა/ სირანა (სირანუშა), კახელი მიხო, მეგრელი ძუკუ, ქუთაისელი ჭიჭიკო და ა.შ.);

ამრიგად, ქართულად მეტყველებისას სომეხი ვაჭრისათვის დამახასიათებელი გრამატიკული ცთომილებების ასე ხაზგასმული თავმოყრა არა მხოლოდ სახისმეტყველებითი საშუალება ან ლინგვისტური კანონზომიერებების წარმოჩენის სურვილითაა ნაკარნახევი, არამედ სოციალური მოტივაციისა და სხვა ექსტრალინგვისტური გარემოებების გათვალისწინების აუცილებლობითაც.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მეტყველებითი თავისებურებების ხაზგასმის გზით სოციალური კუთვნილებისა თუ პოლიტიკური და კულტურული პრიორიტეტების ჩვენება საერთოდ დამახასიათებელია მხატვრული ლიტერატურისათვის. (გავიხსენოთ ბერნარდ შოუს „პიგმალიონი“, ტოლსტოის, ტურგენევის, მოპასანის ნაწარმოები და სხვ.); გიორგი ერისთავის ნაწარმოებს, რომელსაც ვცტირებთ, ნაშრომის მეოთხე თავში, შეიძლება ამ კუთხით დავუმატოთ ქართველი თავადის ივანე დიდებულის მორუსულელებული ქართული (მაგალითად: „ივანე: ღვინო! ქართული ღვინო! ეტო გლუპოსტ! რა ღვინოა, ჰსწორეთ კლუკვენი კვასია! კლუკვას რა ჰქვიან? ძა... ძახველი. ან რა შემოგდით? დასალევათაც არ გეყოფათ!“ ან იქვე: ივანე: ფული რომ დაგჭირდებათ უნდა ეხვეწნეთ კაკოვო ნიბუდ მიკირტიჩ გასპარიჩ! და ა.შ.). შესაბამისად, ეროვნების მიუხედავად, კრიტიკა ეხება ყველას, ვინც ამას იმსახურებს;

სადისერტაციო ნაშრომის მეხუთე თავი ეძღვნება საქართველოს მოქალაქეთა სომხურენოვანი ნაწილის ენობრივი კომპეტენციის ზოგ პრაქტიკულ ასპექტს სოციოლინგვისტური გამოკითხვების მიხედვით.

ჩვენი აზრით, წინამდებარე ნაშრომის ერთ-ერთი თავისებურება ისაა, რომ თეორიამდე უშუალო პრაქტიკიდან მივდივართ. რამდენადაც სომხური და ქართული ენების შეპირისპირებითი გრამატიკები შექმნილი არ არის, და არც ცალკეული გრამატიკული საკითხი არ არის შეპირისპირებითი კუთხით ნაკვლევია, ჩვენ ვერ გავხედავდით, და ვერც მოვერეოდით, ამ დიდ სამუშაოსთან შეჭიდებას. ამასთან, წინამდებარე თემასთან ჩვენ სწორედ პრაქტიკამ მიგვიყვანა. სხვადასხვა ასაკისა და სხვადასხვა ენობრივი კომპეტენციის მსმენელებთან მუშაობისას ბრუნების სწავლებაში თავჩენილი შეცდომებისა და სიძნელების გადალახვის გზის ძიებისას ვიგრძენით, რომ პრაქტიკის განზოგადებისა და თეორიული ასპექტების გათვალისწინებით სასურველ შედეგს უკეთ მივაღწევდით.

აღნიშნულ თავში ვეხებით იმ სენსიტიურ საკითხს, რომლებიც დღესდღეობით ჯავახეთში ერთ-ერთ გადაუჭრელ და ამიტომაც ხელისუფლებისთვის ჯერ კიდევ პრიორიტეტულ საკითხად რჩება, ეს გახლავთ, სახელმწიფო ენის არ ცოდნა, ან სათანადოდ არ ცოდნა. იმასათვის რომ უკეთ გაგვეგო, დღემდე, მიუხედავად ამდენი დახარჯული ადამიანური თუ მატერიალური რესურსისა, რატომ არ, ან ვერ ფლობს სახელმწიფო ენას ჯავახეთის მოსახლეობა, ჩვენ, კვლევის სამიზნე ჯგუფად შევარჩიეთ ახალქალაქისა და ნინოწმინდის საჯარო სკოლის სამოქალაქო განათლების სომხურენოვანი მასწავლებლები, კვლევამ გამოკვეთა რამდენიმე პრობლემა, რის გამოც გამოკითხული მასწავლებლები ვერ აღწევენ სასურველ შედეგებს, აღნიშნული შედეგები დეტალურად და დიაგრამების სახით წარმოდგენილი გვაქვს ნაშრომის მეხუთე თავში.

კვლევა ჩავატარეთ სომხურენოვან სკოლებში ქართული ენის მასწავლებლებთანაც, იმის გასარკვევად თუ რა მეთოდებს მიმართავენ სწავლა-სწავლების პროცესში, იმისათვის რომ მოსწავლემ მიაღწიოს სასურველ შედეგს – სრულფასოვნად ფლობდეს საქართველოს სახელმწიფო ენას, ქართულს. შესაძლებელია მოსწავლეთა ენის ფლობის დაბალი თუ მაღალი დონე დავუკავშიროთ პედაგოგთა შერჩეულ მეთოდებს. სწავლების პროცესში ძალიან მნიშვნელოვანია სწორად გამოყენებული მეთოდები. მეთოდს უნდა გააჩნდეს

ცალსახად ჩამოყალიბებული მიზანი. რომელიმე გრამატიკული თუ ლექსიკური მიზნის მისაღწევად კი, იგეგმება სხვადასხვა სავარჯიშო, რომელსაც სხვადასხვა მეთოდით სჭირდება განხორციელება და მოსწავლემდე მიტანა. ხშირია შემთხვევა, როცა მასწავლებელი ვერ ახერხებს სწორი მეთოდით მასალის მიწოდებას და, რა თქმა უნდა, მიზანიც მიუღწეველი რჩება.

თანამედროვე მოთხოვნებიდან გამომდინარე, ყველაზე მისაღებ რამდენიმე მეთოდს შეეხნენ, ჩვენს კვლევაში მონაწილე მასწავლებლები. ვფიქრობთ, პედაგოგთა ეს მოსაზრებები არა მხოლოდ ლინგვისტთა, არამედ მეთოდისტთა მხრიდანაც გამოწვლილვით შეფასებასა და ყურადღებას მოითხოვს.

ნაშრომს თან ერთვის **დასკვნები**, რომელთაგან განსაკუთრებით საყურადღებოდ მიგვაჩნია შემდეგი:

არაქართულენოვან მოქალაქეებს, რომელთაც სახელმწიფო ენის არცოდნა ან ცუდად ცოდნა, მრავალი საზოგადოებრივი სფეროს წიაღში დამკვიდრებასა და ინტეგრირებაში უშლის ხელს, რაც შეიძლება მეტად უნდა დავეხმაროთ ქართულის დაუფლებაში. ამ მიზნით კი ქართულისა და ნაციონალური ენების ყველაზე ძნელად დასადლევი უბნების მისაწვდომად ახსნისაკენ უნდა მივმართოთ ჩვენი ძალისხმევა;

ქართული, როგორც საქართველოს სახელმწიფო ენა, საქართველოს მოქალაქისათვის არ შეიძლება „უცხო ენად“ იყოს განხილული, მაგრამ ეს ოფიციალური ტერმინოლოგიური ასპექტი გახლავთ, რეალურ ცხოვრებაში კი ახალციხის ან ახალქალაქის რაიონის სომეხი მოსახლეობის უდიდესი ნაწილისათვის ქართული **ჯერჯერობით** სრულიად უცხოა... ამიტომ ქართულის სწავლება მეთოდოლოგიურად ძალიან ჰგავს ჩვეულებრივი „უცხო ენის“ სწავლებას.

სამცხესა და ჯავახეთში მცხოვრები სომხების ლოკალური ცხოვრების წესი სხვადასხვაა. ჯავახეთის სომხობას გაცილებით ნაკლები კონტაქტი აქვს ქართულ მოსახლეობასთან, ვიდრე სამცხისას; ამდენად ჯავახეთის სომხობისათვის ქართულის ათვისებაც უფრო ძნელია, ვიდრე სამცხის მკვიდრთათვის. თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ საცხე-ჯავახეთის ქართველობის მეტყველებაც დიალექტურია და ამდენად სამცხელი სომეხი ბავშვისთვისაც არ არის ადვილი სალიტერატურო ქართულის დაუფლება, საყოფაცხოვრებო კონტაქტების წყალობით ქართული დიალექტის ათვისების შემთხვევაშიც კი;

როგორც არაერთმა ინტერვიუმ დაგვარწმუნა (და საკუთარი პრაქტიკული გამოცდილებაც ამასვე გვიდასტურებს) განსაკუთრებით თვალშისაცემია სიმწვანეები სახელთა ბრუნების სწავლებაში (კერძოდ, მოთხ. ბრუნვა; წოდებითი ბრუნვა); ჩვენი ამოცანაა, გავარკვიოთ ასაკობრივი გრადაციის მიხედვით, რატომ ძნელდება წინადადების აგებისას საჭირო ბრუნვის ფორმის შერჩევა;

დღეს სომხების ქართულში არსებული ენობრივი შეცდომები ზოგჯერ მხოლოდ მეთოდის ნაკლად განიხილება და არა ენათა სტრუქტურული განსხვავებით. სწორედ ამიტომაც მოვიხმეთ ქართულ მწერლობაში სომეხი პერსონაჟების (ცხადია, არა მარტო სომხების) მეტყველებაში ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნეში შემჩნეული სპეციფიკური ცთომილებები, რომლებმაც დაადასტურა, რომ ენობრივი ცთომილების მიზეზი ენათა გენეზისური სხვაობაა.

ნაშრომის ბოლოს წარმოდგენილია გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურის ჩამონათვალი.

ნაშრომს თან ახლავს დანართი, სადაც წარმოდგენილი გვაქვს საკუთარი პრაქტიკიდან არაქართულენოვან მოსწავლეთა, ასაკობრივი გრადაციის მიხედვით, ტიპური შეცდომები არსებითი სახელის ბრუნებისას და ასევე თანდებულისა ბრუნვების გამოყენებისას.

ასევე კვლევაში მონაწილე მასწავლებლების მიერ შევსებული კითხვარები, რომლებიც ჩვენი სადისერტაციო მასალის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს.

**საკითხის აქტუალურობა.** საკვლევი საკითხი, უდავოდ, აქტუალურია, რადგან საქართველოს მეცნიერებისა და განათლების სამინისტროს სტრატეგიულ ამოცანათა შორის დღემდე რჩება არაქართულენოვანი მოსახლეობის კომპაქტური დასახლებების ადგილებში სკოლების რეორგანიზაცია და სახელმწიფო ენის შესწავლის მიმართულებით ოპტიმიზაცია. მუდმივად დგას სახელმძღვანელოების სრულყოფის ამოცანები და უდისესი თანხები იხარჯება მასწავლებელთა გადამზადების მიმართულებით. ვფიქრობთ, ქართულ-სომხურ ენებში ბრუნვათა სისტემის შეპირისპირებითი ანალიზი წაადგება, უპირველეს ყოვლისა, მასწავლებელს, რომელიც ამ ცოდნას ადაპტირებული სახით მიიტანს მოსწავლემდე.

**კვლევის მეთოდები.** ნაშრომი აგებულია მწყობრ მეთოდოლოგიურ საფუძველზე; სომხურ-ქართულ ურთიერთობათა სხვადასხვა ასპექტის კვლევისას გამოყენებულია აღწერითი, ისტორიულ შედარებითი და შეპირისპირებითი

მეთოდები. ნაშრომის მნიშვნელოვანი ნაწილი ეთმობა სოციოლინგვისტურ კვლევას, რაც დაფუძნებულია გამოკითხვის, დაკვირვებისა და ინტერვიუების მეთოდებზე.

**მეცნიერული სიახლე.** ნაშრომში დამუშავებული საკითხი ბრუნვათა სისტემის სწავლებაში ქართულსა და სომხურს შორის არსებულ მსგავსება–განსხვავებათა მიზნობრივად გამოყენების თაობაზე დღემდე შესწავლილი არ ყოფილა.

## თავი I

### სახელმწიფო ენის ფლობის სირთულეები საქართველოს

#### სომხურენოვან მოსახლეობაში

თანამედროვე პრაქტიკა გაჯერებულია სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურით (ლინგვისტური, ფსიქოლოგიური, ფსიქოლინგვისტური, მეთოდური და სხვ.), რომელიც სწავლობს უცხო ენის სწავლების სირთულეებს; საკითხის აქტუალობას განაპირობებს თანამედროვე მსოფლიოს ინტენსიურად ცვალებადი დემოგრაფიული, ეკონომიკური და საოციალურ-პოლიტიკური ტენდენციები. [ტაბიძე,2005:30]

ჩვენი სინამდვილე ქართული ენის არაქართულენოვანი პირებისათვის სწავლების თვალსაზრისით სპეციფიკურია (თუმცა არა ერთადერთი თანამედროვე პოსტსაბჭოთა სივრცისათვის); საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, სხვა საბჭოთა რესპუბლიკების მსგავსად, საქართველო აღმოჩნდა დილემის წინაშე – მისი მოქალაქეების გარკვეული ნაწილი, საბჭოთა რუსიფიკაციული პოლიტიკისა და რესპუბლიკათა დამოუკიდებლობის შეზღუდვის რეჟიმის პირობებში, საქართველოს კონსტიტუციის მერვე მუხლით განსაზღვრული უმთავრესი მოთხოვნის (რომ საქართველოს სახელმწიფო ენა არის ქართული) [საქართველოს კონსტიტუცია 10. 10. 2002, N1689]. მიუხედავად, არ ფლობდა ქართულს, რადგან ეთნიკური ჯგუფების თავმოყრის ადგილებში სკოლები მუშაობდნენ ან რუსულად, ან ეთნიკური ჯგუფის ენაზე; ამის „საშუალებას იძლეოდა“ სსრკ კონსტიტუცია, რომელიც მხოლოდ ფორმალურად ცნობდა რესპუბლიკათა საზღვრებსა და უფლებებს, ხოლო მიგრაციის გზით რესპუბლიკებში შეყვანილ მოსახლეობას (ეს პროცესი მეფის რუსეთმა დაიწყო და კომუნისტურმა რუსეთმა გადაიბარა) დამხვდურისაგან იზოლაციაში ამყოფებდა სწორედ ე.წ. ნაციონალური სკოლების მეშვეობით და რესპუბლიკათა სამოქალაქო საზოგადოებაში ინტეგრაციის საშუალებას არ აძლევდა; ამით ამ მოსახლეობისაგან იმ დასაყრდენს ქმნიდა, რომელსაც რესპუბლიკის ძირითადი ეთნოსის მიერ დამოუკიდებლობის მოთხოვნის შემთხვევაში ამ დამოუკიდებლობისათვის ხელი უნდა შეეშალა რუსეთის სივრცეში დარჩენის მოთხოვნის გზით.



შესაბამისად, არაქართულენოვანი მოსახლეობა უფლებრივად იყო საქართველოს მოქალაქე, მაგრამ მენტალურად იგი გაურკვეველი სამოქალაქო იდენტობისა აღმოჩნდა: ენობრივი კომპეტენციითა და განათლებით ეს ხალხი სხვა რესპუბლიკის ინტერესებისთვის შეიქნა მომზადებული.

დამოუკიდებლობის მოპოვების მტკივნეული პროცესებით დაძაბული საქართველო იმ აუცილებლობის წინაშე დადგა, რომ არაქართულენოვანი მოსახლეობა, რაც შეიძლება სწრაფად გამოეყვანა იზოლაციიდან და საქართველოს სრულფასოვან მკვიდრად ექცია დანარჩენ მოსახლეობასთან საერთო ენით, ცოდნითა და სამოქალაქო შეგნებით.

სამწუხაროდ, პროცესი გაჭიანურდა და ამას რამდენიმე მიზეზი აქვს:

- არაქართულენოვანი მოსახლეობის დაბალი მოტივაცია ქართული ენის შესწავლის საკითხში;
- სახელმწიფო ნების სისუსტე;
- სახელმწიფოს მიერ არაქართულენოვანი საქართველოს მოქალაქეებისათვის ქართულის „მეორე ენად“ კვალიფიკაცია, რითაც თვით ამ მოსახლეობის მოტივაცია კლებულობს;
- ქართული ენის სწავლების სახელმძღვანელოთა და მასწავლებელთა დაბალი კვალიფიკაცია;
- ქართული ენის სწავლების მეთოდის არასრულყოფილება.

ენის სწავლების გზაზე (ჩვენ შემთხვევაში, სომხების მიერ ქართულის შესწავლისას) ცოდნის ხარისხის დასადგენად წერისა და ზეპირის დროს ცალკე შეფასებას მიმართავენ;

ზეპირი ექსპრესიული მეტყველების შეფასებისას მნიშვნელობა ენიჭება:

1. ფრაზების რაოდენობას;
2. ფონეტიკის;
3. ლექსიკის;
4. გრამატიკის სისწორეს.

თუმცა სწავლების პრაქტიკაში დასტურდება, რომ დაშვებული შეცდომების რაოდენობა მიიჩნევა უცხო ენის ფლობის უმთავრეს მაჩვენებლად. შესაბამისად

კომუნიკაციური აქტის დროს გაგებინების ხარისხი შეიძლება დაჩრდილოს დაშვებული შეცდომების სიუხვემ [Чойнонова, Матвеевна, 2004: 261].

როდესაც ჩვენ „უცხო ენის სწავლებაზე“ ვსაუბრობთ, ცხადია, არ გვავიწყდება, რომ ქართული, როგორც საქართველოს სახელმწიფო ენა, საქართველოს მოქალაქისათვის არ შეიძლება „უცხო ენად“ იყოს განხილული, მაგრამ ეს ოფიციალური ტერმინოლოგიური ასპექტი გახლავთ, რეალურ ცხოვრებაში კი ახალციხის ან ახალქალაქის რაიონის სომეხი მოსახლეობის უდიდესი ნაწილისათვის ქართული ჯერჯერობით სრულიად უცხოა... ამიტომ ქართულის სწავლება მეთოდოლოგიურად ძალიან ჰგავს ჩვეულებრივი „უცხო ენის“ სწავლებას. [კახა გაბუნია, ენობრივი სიტუაცია თანამედროვე საქართველოში 1. ქართველური ენები, E ISSN 1512-3146 (online), ISSN 1987-9601 (print), საერთაშორისო ჟურნალი, მულტილინგვური განათლებისთვის,

[http://www.multilingualeducation.org/storage/uploads/articles\\_contents/141215024122.pdf](http://www.multilingualeducation.org/storage/uploads/articles_contents/141215024122.pdf)]

ვფიქრობთ, გამართლებულია მოსწავლეთა (ამ შემთხვევაში არა აქვს მნიშვნელობა, მოსწავლის ასაკს) მიერ ენის ათვისებაზე დაკვირვება წარიმართოს რამდენიმე მიმართულებით:

მონოლოგიური ზეპირი თხრობა

დიალოგი; საკომუნიკაციური სიტუაცია

წერითი სამუშაო (ესე)

წერითი სამუშაო (ტესტი)

როგორც ცნობილია, ენა, რომელზეც იწყებს ლაპარაკს ადამიანი, სამყაროს შეცნობის პირველი საშუალება და სათქმელის სამეტყველო რეალიზაციის პირველი ყალიბი ხდება, ამიტომაც ცნობიერად თუ ქვეცნობიერად მოლაპარაკე ყველა სხვა ენის ცოდნას თავისი მეტყველების ამოსავალ ყალიბებთან ათანხმებს და, ფაქტობრივად, ყველა შესაძლო შეცდომა სწორედ ამ ყალიბთა სხვაობითაა განპირობებული.[ **Алхазипшвили А.**,1988:25-31]

ქართულ მხატვრულ ლიტერატურას უამრავი მასალა აქვს ფიქსირებული სომხების ქართულად მეტყველებისას ყველაზე ტიპური შეცდომების თვალსაზრისით; საინტერესოა, რომ ეს დაკვირვებები თითქმის სრულად თანხვედრა დღეს საგანმანათლებლო და სამეცნიერო სივრცეში აღნუსხულ ტიპურ შეცდომებს.

ამ მხრივ კვლევა შეიძლება წარიმართოს ორი მიმართულებით:

ა) დადგინდეს ტიპურ ლინგვისტურ შეცდომათა მიზეზი;

ბ) მოსალოდნელ შეცდომათა გათვალისწინების საფუძველზე დაისახოს მათი თავიდან აცილების გზები [Алхაзишвили, 1988].

სკოლაში ჩვენ წინაშე თანაბარ დონეზე დგას ორი ამოცანა: სრულფასოვანი ზეპირი კომუნიკაცია და გამართულად წერა; უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ზეპირი კომუნიკაცია პირველი რიგის ამოცანაა, რადგან მის გარეშე ვერ გავალთ წერის ეტაპზე.

სკოლაში სამუშაოს ართულებს მოსწავლეთა მასა, რადგან ძნელია მოსწავლის ინდივიდუალური პრობლემების გამოვლენა და მართვა გაკვეთილის რეგლამენტში. მაინცა და მაინც არც არის დამუშავებული ჯგუფში მუშაობისას ინდივიდუალურ შეცდომებზე ზემოქმედების მეთოდოლოგია. როგორც სპეციალისტებს მიაჩნიათ აქ მარტო საგნის მასწავლებელი ვერას გახდება, აუცილებელია ფსიქოლოგთა კონსულტაციებიც; რადგან სამეტყველო პრობლემა ძალიან ხშირად უკავშირდება ინდივიდის კომპლექსებს, რომ მას შეცდომის დაშვებისა და საზოგადოების წინაშე შერცხვენის შიშით ურჩევნია ხმამაღლა არ წარმოთქვას რაიმე შესასწავლ უცხო ენაზე.<sup>3</sup>

მიუხედავად იმისა, რომ მთელი მსოფლიო მუშაობს უცხო ენის ათვისების მეთოდოლოგიის სრულყოფაზე, მაინც მიიჩნევა, რომ ჯერჯერობით იდეალური შედეგები მიღწეული არაა. განსაკუთრებულ პრობლემას კი ის ქმნის, რომ სკოლაში ჯგუფთან მუშაობისას მოსწავლის ინდივიდუალური პრობლემების გათვალისწინება ვერ ხერხდება, ენა კი უაღრესად სუბიექტური და ინდივიდუალური მოვლენა გახლავთ. მასწავლებელს უძნელდება (ან საერთოდ არ გამოსდის) შემსწავლელთან ე.წ. უკუკავშირის დამყარება, რაც გააადვილებდა მოსწავლის კერძო თავისებურებების გათვალისწინებას.

საქართველოს უახლოეს წარსულში ადგილი ჰქონდა შემდეგ ფაქტს: რუსეთის იმპერიის (ცარიზმის) გაბატონების პირველ ეტაპზე, როდესაც მოსახლეობისათვის რუსული შორეული, პრაქტიკაში არარსებული უცხო ენა იყო, ენობრივი ასიმილაციის ან ადაპტაციის პროცესი მარტო არისტოკრატია-ინტელიგენციას ეხებოდა. მაგრამ მათი რუსიფიკაციით დამახინჯებული ქართული უარყოფით გავლენას ახდენდა

---

<sup>3</sup> ჩვენ კიდევ ერთხელ გავუსვამთ ხაზს იმ გარემოებას, რომ ქვეყნის მოქალაქისათვის ქვეყნის სახელმწიფო ენა სოციალურ-პოლიტიკური თვალსაზრისით – „უცხო“ ვერ იქნება, მაგრამ მისი აბსოლუტური არცოდნის შემთხვევაში პრაქტიკულად მისი სწავლება უცხოენის სწავლების მდგომარეობაში აღმოჩნდება.

„უბრალო ერის“ ქართულ მეტყველებაზე, რამდენადაც რუსეთამდელ ისტორიაში სწორედ არისტოკრატია და ეკლესია იყო ის პირობა, რომელიც ქართველ გლეხობაში ე.წ. განათლებული ქართულის სულს ინახავდა. შესაბამისად, პრაქტიკული რუსულენოვანი ატმოსფეროს გარეშე მეცხრამეტე საუკუნის საქართველოს ენობრივი რუსიფიკაცია არ შეხებია; მეოცე საუკუნეში რუსეთმა შეცვალა პოლიტიკა, სსრკ-ს მოდელით ე.წ. საყოველთაო საშუალო განათლების სახელით, მოსახლეობის მიზნობრივი მიგრაციითა და ისტორიული ეროვნული საზღვრების მოშლით, რუსეთმა მთელ საბჭოთა ტერიტორიაზე რუსულის სწავლის აუცილებლობის მოტივაცია გაზარდა, რეპრესიული მანქანისა და ტექნიკის მიღწევების გამოყენებით (განათლების სისტემა, კარიერის გაკეთების პირობა, გამომცემლობები, ტელევიზია, რადიო...) რუსული ყველა ოჯახში შეიტანა... და თუმცა მოსახლეობის სრული რუსიფიკაცია ვერ მოახერხა, მაგრამ ყველა ნაციონალურ რესპუბლიკას შეუქმნა ე.წ. ენობრივად იზოლირებული კერები, რომელთა იზოლაციას (და ადგილობრივ მკვიდრთაგან გათიშვას) რუსულის საყოველთაო პრივილეგიურობა უწყობდა ხელს [ტაბიძე, 2005]. და მაინც უნდა ითქვას, რომ სულ ცოტა ორსაუკუნოვანი ცდების მიუხედავად რუსული ენით მოსახლეობის გადაფარვა ვერ მოხერხდა.

როგორც სპეციალისტები მიუთითებენ: ამა თუ იმ ენაზე ლაპარაკი შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც, უპირველეს ყოვლისა, ამ ენის სისტემის ათვისება ხდება. ხოლო რამდენადაც სისტემა ლინგვისტიკის შესწავლის სფეროა, სწორედ ლინგვისტიკის მონაცემების მომარჯვებაა საჭირო ენის შესასწავლად. მაგრამ როგორც პრაქტიკა აჩვენებს ენის სისტემის შესწავლაზე უფრო დიდი მნიშვნელობა მეტყველების ათვისებას აქვს. რამდენადაც მეტყველება არის მთავარი კომუნიკაციის დროს [ტაბიძე, 2005:160]. ჩვენს სკოლას ენის სწავლება იმიტომ უძნელდება, რომ სისტემის სწავლება თავისი განსაკუთრებული სირთულის გამო დიდ დროსა და შრომას მოითხოვს, ხოლო ამ გრძელი გზით სიარულისას საბოლოო შედეგი – კომუნიკაცია ძნელად მისაღწევი და დაგვიანებულია. ჩვენ იმ თვალსაზრისს ვემხრობით, რომ კომუნიკაცია ცალკე საგნადაც უნდა გამოიყოფოდეს (ქართული ენისა და ლიტერატურის ტრადიციული კურსის გვერდით), და პრაქტიკულად, მოსწავლის (მოსწავლეთა) ენობრივ გარემოში ინტეგრაციის გზითაც უნდა იყოს მისაწვდომი. როგორ უნდა გამოიყურებოდეს ე.წ. კომუნიკაციის გაკვეთილები:

1. უნდა დამუშავდეს ყოველ საგანმანათლებლო საფეხურზე ასათვისებელი სავალდებულო სიტყვების ლექსიკონები (მაგ. დაწყებითი განათლების პირველ საფეხურზე ყველა სასწავლო დისციპლინაში (სახელმძღვანელოში) გამოყენებული ლექსიკა-ფრაზეოლოგიის ქართულ-სომხური ლექსიკონი; და სასწავლო წლის მიზნად უნდა ჩაითვალოს ამ ლექსიკონის სრულყოფილი ცოდნა მოსწავლის მიერ;
2. ლექსიკონის საფუძველზე უნდა შედგეს ადაპტირებული ტექსტები მხოლოდ ლექსიკონისეული სიტყვებისა და შესიტყვებების გამოყენებით;
3. ზეპირი კომუნიკაციისათვის. ყოველ ახალ ტექსტში წინა მასალა უნდა მეორდებოდეს და მას ემატებოდეს მხოლოდ რამდენიმე ახალი სიტყვა;
4. კომუნიკაცია უნდა იყოს გაკვეთილზე გამოსაყენებელი ერთადერთი ფორმა: თხრობა, დიალოგი, კითხვების დასმა, კითხვებზე პასუხი;
5. შეცდომებზე მითითება უნდა ხდებოდეს პრაქტიკულად, თეორიული მსჯელობის გარეშე (თეორიას დრო დაეთმობა ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებზე);
6. პრაქტიკულ გაკვეთილებზე ტიპობრივი შეცდომების ფიქსირება მასწავლებელს დაეხმარება საგნობრივი კურსის პრაგმატულად აგებაში.

### 1.1. სომხურენოვანი მოსახლეობა საქართველოში

იმის ასახსნელად, თუ რატომ აღმოჩნდა საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე სამცხე-ჯავახეთში მცხოვრები სომხობა მონოლინგვურ იზოლაციაში, საჭიროა მოკლედ მიმოვიხილოთ სწორედ საქართველოს ამ კუთხეში მცხოვრებ სომეხთა ისტორია. ამ საკითხებზე საქართველოში ძალიან მნიშვნელოვანი კვლევებია ჩატარებული, ამ საკითხებს სწავლობენ უცხოელებიც (რომელთა ინტერესს უფრო აწმყოს გარემოებები წარმოადგენს, ვიდრე ამჟამინდელი ვითარების წინაპირობების დადგენა, თუმცა ბევრი რამ მათ პრაქტიკულ რეკომენდაციებში საინტერესო და ყურადსაღებია)

ისტორიული ექსკურსის დროს დავეყრდნობით პროფ. მ. ტაბიძის ნაშრომს „ენობრივი სიტუაცია საქართველოში და ქართული ენის ფუნქციონირების საკითხები“ [ტაბიძე: 2005].

საქართველოსა და სომხეთს შორის ისტორიული კონტაქტები და სომეხთა მოძრაობა საქართველოსაკენ, მათი ხიზნობა ჩვენში და ჩამოსახლება ნამდვილად დიდი ხნის ამბავია და სრულიად ბუნებრივიც, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ სომხეთს მრავალი ძნელბედობა ხვდა ისტორიულ წარსულში და ამ დროს ხალხი თავშესაფრის ძიებაში, ცხადია, უახლოეს და ტოლერანტულად განწყობილ მეზობელს მიადგებოდა. ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში ქართლ-კახეთის მეფემ, ერეკლე II-მ, 1780 წელს ერევნიდან, ხოლო 1787 წელს ყარაბაღიდან შემოასახლა 70 000-ზე ქრისტიანი სომეხი, XVIII საუკუნის 80-იან წლებში ირანის ხანებისგან შევიწროვებული სომეხი მელიქები, ერეკლე II-მ შეიწყალა და სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე დაასახლა. (ქვემო ქართლი). დიდიძალი სომეხი მოსახლეობა 35 000 ადამიანი ჩამოსახლდა რუსეთ-ირანის ომის დროს 1826-28 წლებში. მათი ნაწილი ქვემო ქართლში დასახლდა. 1830 წლიდან სამცხე-ჯავახეთის ტერიტორიაზე დაიწყო ქრისტიანი სომეხების შემოსახლება არზრუმიდან. მათ წინ მოუძღოდა არქიეპისკოპოსი კარაპეტა [სუდაძე, 1998: 8]. 1828 წელს პასკევიჩი ჯავახეთის შესახებ წერდა, რომ აქ რუსების დასახლება იყო სასურველი. მან ლიხთიმერეთის ქართველებს იქ დასახლების ნება არ მისცა, სამაგიეროდ ოსმალეთიდან გადმოსახლებული სომეხების 30 000 მცხოვრები ჩაასახლა მესხეთში. 1830 წელს აქ უმრავლესობას უკვე სომეხები წარმოადგენდნენ. XIX საუკუნის I ნახევარში ახალქალაქის მაზრაში თურქეთიდან გადმოსახლეს ბერძნები (წალკაში), ხოლო, 50 - მდე ოჯახი ბერძნებისა ახალქალაქში დასახლდა [ბალასანიანი, 2016: 42-43].

1839 წელს გამოვიდა ბრძანება, რუსი მოხელეებისგან, რუსი სექტანტების-დუხობურების ჯავახეთში ჩამოსახლების შესახებ, ისინი დაამკვიდრეს ქართულ ნამოსახლარებში.

ჩვენ მიერ მოყვანილი მაგალითები შორეული ისტორიიდან მოწმობს მხოლოდ ერთს, რომ რუსეთის იმპერიის მიზანი ნაციონალური პოლიტიკის გატარება და ეთნომუდლის გაღვივება იყო, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში აამოქმედებდა, რომლის არაერთი მაგალითიც, სამწუხაროდ ისტორიაში მოგვეპოვება. ასე მოექცა იზოლირებულ სივრცეებში, ხელოვნურად, კომპაქტურად დასახლებული მოსახლეობა, რამაც ხელი შეუწყო მონოლინგუური სიტუაციის განვითარებას. 80-იანი წლების დასასრულს რთული ენობრივი სიტუაცია შეიქმნა. კომუნიკაცია რეგიონებს შორის უფრო და უფრო რთულდებოდა. ცნობილი ფაქტია, რომ საგანგებო

დემოგრაფიული პოლიტიკა და ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დაყოფა ერთ-ერთი მძლავრი საშუალებაა იმპერიული ხელისუფლებისათვის თავისი სურვილისამებრ მართოს სიტუაცია მისთვის საინტერესო რეგიონში, მიზანს მიღწია მტერმა, ქართული ენა სერიოზული საფრთხის ქვეშ დადგა. დუხობორებს მათთვის დამახასიათებელი რელიგიური კარჩაკეტილობის გამო ნაკლებად ჰქონდათ ურთიერთობა როგორც ქართულ, ისე სომხურ მოსახლეობასთან და თითქმის მთლიანად იზოლირებულად ცხოვრობდნენ. სომეხთა კომპაქტური დასახლებების ადგილებზე, სადაც მმართველობით ორგანოებში მხოლოდ სომხები იყვნენ წარმოდგენილი, საქმის წარმოება ძირითადად უცხო ენებზე მიმდინარეობდა: „ახალციხის მაზრაში საქ. კპ ცკ-ის დადგენილებით დაწესდა აზერბაიჯანული, ქართული, რუსული და სომხური. ახალქალაქის მაზრაში მთავარ ენად სომხური, თემებთან ურთიერთობის ენებად - რუსული, აზერბაიჯანული, ქართული და სომხური დაწესდა“ [სონდულაშვილი, 2013: 153]. მოგვიანებით „ახალციხის მაზრაში ძირითად ენად გამოცხადდა თურქული ენა, მაგრამ თურქული ენის მცოდნე ინტელიგენციის თითქმის არარსებობის პირობებში გამწვანდა ამ მოთხოვნის შესრულება, ამიტომ რუსული ენა გამოიყენებოდა სასწავლო დაწესებულებებში“ [სონდულაშვილი, 2013: 160].

გარე ძალების ამგვარმა, მიზანმიმართულმა პოლიტიკამ სამცხე-ჯავახეთში შექმნა რთული ენობრივი სიტუაცია. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ, ხელისუფლებამ ვითარების გამოსწორების მიზნით ჯავახეთში ჩამოასახლა სტიქიით დაზარალებული აჭარლები, თუმცა ჯავახეთში ენობრივი ვითარება დიდად არ შეცვლილა [ბერიძე, 2012: 263-346].

ერთი შეხედვით აღსანიშნავია, რომ ისევე როგორც თბილისში, ჯავახეთის სომეხმა მოსახლეობამაც ვიდრე მე-20 ს.-ის დასაწყისამდე იცოდა ქართული ენა. მაგრამ მას მერე შეიცვალა სიტუაცია, რაც საქართველო გასაბჭოვდა, მას შემდეგ ბევრი წელი გავიდა, თუმცა რეგიონში ქართულის, როგორც სახლემწიფო ენის ცოდნის პრობლემა დღესაც აქტუალურია.

კვლევების თანახმად XX საუკუნეში არსებული სოციოლინგვისტური პრობლემის გარკვეული ნაწილი, დღესაც მოუწესრიგებელია. ეს იქნება უცხო ენის სწავლების საკითხი თუ ენის კანონის საკითხი.

## 1.2. ჯავახეთის ბუნება და ადამიანები – წარსული და თანამედროვეობა

ვფიქრობთ სამცხე-ჯავახეთის ენობრივ-კულტურული სულისკვეთების გასაგებად აუცილებელია ისტორიული ცნობების გაცოცხლება.

სახელწოდებიდან გამომდინარე „სამცხე“ და „ჯავახეთი“, სიტყვათა ეს კომბინაცია მიღებულია სიტყვა „სამი ციხისა“ და „ჯავახისაგან“ პირველი უკავშირდება სამი ციხის – ლომსიას (იგივე ახალციხის), ოძრხესა (იგივე აბასთუმნის) და ჯვარისციხის (იგივე ციხისჯვრის) სახელებს. მეორე კი ეთნონიმური წარმოშობისაა და ჯავახების საცხოვრებელს, სამყოფელს ნიშნავს [სამცხე-ჯავახეთი. ცნობარი, 2016: 5].

ვახუშტი ბაგრატიონი მესხეთის შესახებ:

„ხოლო არს ქუეყანა ესე ფრიად მრავალ და დიდროვან მთიანი, კლდიანი, ჰევანი, ღრატოიანი, ტყიანი, შამბ-შროშნიანი, მდინარიან-წყაროიან ტბიანი და მცირედ ველოვანი. ზამთარ ადგილ-ადგილ ცივი და დიდთოვლიანი და ადგილ-ადგილ ფრიად თბილი, ზაფხულს შეზავებული, რამეთუ აქუს მთანი და აგარკნი ფრიად ახლოს, ხოლო ადგილს ფრიად ცხელი და გაუძლისი, თვნიერ აგარაკთა. ჰავით მშვენი და კეთილი... ნაყოფიერებს ქვეყანა ესე ყოვლითა მარცვლითა და არა ყოველგან. ადგილად აკეთებენ აბრეშუმსაცა მცირედ. და ხილნი... არიან მრავლად და კეთილნი. არიან წალკოტნი, მტილნი და სავარდენი... პირუტყვნი ყოველნი მრავალნი და ნადირნი მრავლად... ფრინველნი ურიცხვნი... მდინარენი მრავალნი, დიდნი და ჩქარად მომდინარენი. წყარონი ტკბილნი, მშვენი და კარგნი. ტბანი კეთილნი და თევზიანნი, და უმეტეს კალმახნი, დიდნი და წვრილნი... ფუტკარი მრავალნი, და თაფლნი კარგნი და მრავალნი.

ხოლო კაცნი და ქალნი არიან მგზავსნი ქართველთანი, არამედ უმეტეს ნელიად და ენატკბილად მოუბარნი, ტანოვანნი, მკნენი, შემმართებელნი, შვენიერნი, ცოდნა-ველოვნების მოყვარენი...”

ლეგენდის მიხედვით ქართლოსის ძემ, მცხეთოსმა ზემო ქართლი ორ ნაწილად გაყო და თავის შვილებს გაუნაწილა. ოძრახოსს გადასცა ტერიტორია ტაშისკარიდან სპერის (შავ) ზღვამდე, ჯავახოსს ერგო ადგილები, ფარავნიდან მტკვრის სათავემდე,



რომელსაც მოგვიანებით ეწოდა ჯავახეთი. ჯავახოსს აუგია ორი ციხე - ქალაქი-წუნდა და არტაანი. წუნდის ნაქალაქარი ასპინძის რაიონშია, არტაანი კი ამჟამად თურქეთის ტერიტორიაზეა და არდაჰანად მოიხსენიებენ.

ჯავახეთის სახელწოდების შესახებ პირველი ცნობა გვხვდება ურარტულ წყაროებში, მეფე არგიშტის I-ის წარწერებში. მეცნიერთა მოსაზრებით, ჯავახი ტომის სახელწოდებაა-ტაოხი, რომლებითაც დასახლებული იყო სამხრეთ საქართველო (პავლე ინგოროყვა).

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, ის უმნიშვნელოვანესი ფაქტი, რომელიც ჯავახეთს უკავშირდება, ეს საქართველოს ქრისტიანად მოქცევის ისტორიაა. საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ ჯავახეთის გზით შემოვიდა ქართველთა განმანათლებელი, მოციქულთა სწორი წმინდა ნინო და შევიდა ქართველთა სამეფოს დედაქალაქში - მცხეთაში.

IX საუკუნის დასაწყისში ჯავახეთი, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, ტაო-კლარჯეთის ანუ „ქართველთა სამეფოს“ ჩრდილო პროვინციად იქცა სხვა სამთავროებთან ერთად, რომელსაც სათავეში ედგა ბაგრატიონთა საგვარეულო. ბაგრატიონთა საგვარეულოს შთამომავლების, აშოტ და დავით კურაპალატების სახელს უკავშირდება ყოველგვარი ეკონომიკური და კულტურული სიკეთეები, რაც იმ პერიოდის ტაო-კლარჯეთში ვითარდებოდა. XI-XIII საუკუნეების „ქართველთა სამეფო“ მყარად და ამაყად იდგა ეკონომიკურ, კულტურულ თუ პოლიტიკურ სფეროებში. სწორედ ამ პერიოდში განვითარდა და აღორძინდა სოფლის მეურნეობა, ხელოსნობა, მხატვრობა თუ ლიტერატურა. სწორედ აღორძინების ამ პერიოდს უკავშირდება კულტურული მემკვიდრეობის, ქართული არქიტექტურის მნიშვნელობის ძეგლები - ზარზმა, კუმურდო, ვარძია, ბანა, ხანძთა, ხახული, შატბერდი, ოშკი, ოპიზა და სხვა. საქართველოს ქალაქების ისტორიაში, აღინიშნება ახალი ეტაპი, რომელიც მოიცავს IX-X საუკუნეებს, რომელიც ახალქალაქობის სახელითაც არის ცნობილი. „ახალქალაქობის“ დროიდან ხდება ძველი სამოსახლოების გაქალაქება, ძველი ქალაქების აღორძინება და ახალი ქალაქების დაარსება. ასე გაჩნდა მაგალითად დმანისი, არტანუჯი ახალციხე, თელავი, ატენი თრიალეთის ახალქალაქი და ჯავახეთის ახალქალაქი. ისტორიული წყაროების თანახმად, „მატიანე ქართლისას“ მიხედვით, „გავიდა მეფე ჯავახეთს და იწყეს ახალქალაქისა ზღუდეთა შენებად, რამეთუ მას ჟამსა უზღუდო იყო“. ასევე

უმნიშვნელოვანესია ფაქტია, არქეოლოგიური გათხრების შედეგად, ნაქალაქარის გალავნის კარიბჭეზე აღმოჩენილი ქართული ასომთავრული წარწერა: „ქრისტე შეიწყალე მარიამ“. მარიამი გახლდათ ბაგრატ IV-ის დედა დედოფალი მარიამი.

სამცხე-ჯავახეთი სამხრეთ საქართველოში მდებარეობს, იგი სამი ისტორიული მხარის - სამცხის, ჯავახეთისა და თორის ტერიტორიებისაგან შედგება. აღნიშნული რეგიონის საერთო ფართობი 6421 კვ. კმ-ია, რაც საქართველოს 9.2%-ს შეადგენს. რეგიონის ადმინისტრაციული ცენტრია ქ. ახალციხე. მას სამხრეთით ესაზღვრება თურქეთი და სომხეთი. სამხრეთით აღნიშნული საზღვრები რეგიონს საერთაშორისო ვაჭრობის ჰაზად წარმოაჩენს, რადგან ის აბრეშუმის გზის სავაჭრო მარშრუტია.[გზამკვლევი,ჯავახეთი, 2014] საქართველოს კუთხეები: ჩრდილოეთით – გურია, იმერეთი და შიდა ქართლი, აღმოსავლეთით – ქვემო ქართლი, ხოლო დასავლეთით – აჭარა. რეგიონში მიედინება სამხრეთ კავკასიის უგრძესი მდინარე მტკვარი, რომელიც თურქეთში იღებს სათავეს და აზერბაიჯანში კასპის ზღვას ერთვის. სამცხე-ჯავახეთში 6 ადმინისტრაციული ცენტრია: ახალციხე, ადიგენი, ასპინძა, ახალქალაქი, ბორჯომი და ნინოწმინდა. რეგიონში 270 დასახლებული პუნქტია, აქედან 5 ქალაქი: ახალქალაქი, ახალციხე, ბორჯომი, ვალე, ნინოწმინდა; 7 დაბა: ბაკურიანი, ბაკურიანის ანდეზიტი, წაღვერი, ახალდაბა, ადიგენი, აბასთუმანი, ასპინძა; სოფელი – 258.

რაც შეეხება ჯავახეთს, იგი მოიცავს ახალქალაქის, ნინოწმინდისა და ნაწილობრივ ასპინძისა და ბორჯომის მუნიციპალიტეტების ტერიტორიებს. სამცხე-ჯავახეთში დღესდღეობით 210 000-მდე კაცი ცხოვრობს. ახალქალაქში შეხვედებით ვულკანური წარმოშობის ტბებს. როგორც მოგეხსენებათ სამცხე-ჯავახეთში თავმოყრილია დიდი ტბები: ფარავანი, ტაბაწყური, სალამოს ტბა, მადათაფა, ხანჩალი, კარწახის ტბა [სამცხე-ჯავახეთი. გზამკვლევი, 2012: 12-16]. ჯავახეთში XI-XIII სს. ჩამოყალიბდა ქართული კულტურის მძლავრი კერა. სამწუხაროდ, შემდგომ პერიოდში ჯავახეთს არაერთი დამპყრობელი შემოსევია და უდიდესი ზარალიც მიუყენებია, ადამიანური თუ მატერიალური. დამყრობლების სია დიდი იყო - მონღოლები, ირანელები, ოსმალები. უკვე XV-XVI საუკუნეში, ჯავახეთი გვევლინება, დამოუკიდებელი ქართული სამთავრობოს, სამცხე-საათაბაგოს შემადგენლობაში. ოსმალებს არ შეუძერებია დამყრობლური ომები, XVI საუკუნეში სამცხე-საათაბაგო დაიპყრო, რის შედეგადაც სამცხე-ჯავახეთი „გურჯისტანის ვილაიეთში“

გააერთიანეს, რომელსაც მოგვიანებით ახალციხის საფაშოდ მოიხსენიებდნენ. ამ დროიდან იწყება სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის გამაჰმადიანება, რაც რათქმაუნდა ოსმალთა სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის შედეგი გახლდათ. ასე ნელ-ნელა ქართველი მოსახლეობის დიდი ნაწილი გამაჰმადიანდა, ზოგმა მეზობელ რეგიონებს შეაფარა თავი, ზოგიც ქრისტიანული სარწმუნოების შენარჩუნების მიზნით, კათოლიკურ აღმსარებლობას იღებდა. ეს იყო თურქეთსა და კათოლიკურ ეკლესიას შორის შეთანხმების შედეგი. რომის პაპი მფარველობდა ჯავახეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ კათოლიკეებს ამ მძიმე პერიოდის, რუსეთ-ოსმალეთის ომების ფონზე, სამცხე-ჯავახეთი რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ექცევა. აღნიშნული ომების შედეგად, ქართველი, უკვე გამაჰმადიანებულ მოსახლეობის ნაწილი თურქეთში გადასახლდა მათ ნაცვლად რუსეთის ხელისუფლებამ თურქეთიდან, 1830 წელს, სომხური და ბერძნული მოსახლეობის დიდი ჯგუფი ერზრუმიდან ჩამოასახლა, აღნიშნული მოსახლეობა დასახლდა წალკასა და ახალქალაქში. რუსეთიდან კი ქრისტიანული სექტის მიმდევრების მცირე ჯგუფი, ე.წ. დუხოზურები. მაშინ, როდესაც საქართველომ პირველი დამოუკიდებლობა მოიპოვა, სამცხე-ჯავახეთში საქართველოს ხელისუფლების კანონმდებლობა დამყარდა. II მსოფლიო ომის დროს, აქ დარჩენილი მაჰმადიანი მოსახლეობა, რომელთა უმრავლესობას მესხი - ქართველები შეადგენდნენ, საბჭოთა რეჟიმის მიერ 1944 წელს იძულებით იქნენ გადასახლებულნი შუა აზიაში. მათ ადგილას კი საბჭოთა ხელისუფლებამ ზემო იმერეთიდან და რაჭის მთლიანი სოფლებიდან ჩამოასახლა მოსახლეობა. გაჩნდა ეკომიგრანტთა დასახლებებიც.

ცნობილმა გერმანელმა გეოგრაფმა კარლ რიტერმა (1779-1859 წწ.) ჯავახეთს „ჰაერიტა და წყლით მდიდარი კუნძული“ უწოდა. ჯავახეთისთვის დამახასიათებელია ცივი კონტინენტური ჰავა. იქიდან გამომდინარე, რომ ჩაკეტილი მთიანი რეგიონია, კლიმატიც შესაბამისად საკმაოდ მკაცრია. ზამთარი ცივი და ხანგრძლივი, ზაფხული-თბილი. რეგიონი მდიდარია ისეთი ბუნებრივი რესურსით, როგორცაა ბაზალტი, პერლიტი, და მარმარილო, ასევე მინერალური წყლით, ჩამოთვლილი რესურსების გამო, სამცხე-ჯავახეთს სამშენებლო წარმოების განვითარების დიდი პოტენციალი აქვს, თუმცა რეგიონის აქტივობის მთავარი სფერო, მაინც სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაა. სამცხე ჯავახეთში სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი 396 ათასი ჰექტარია, საიდანაც 77.6 ათასი ჰექტარი

სახნავ-სათესია. როგორც ცნობილია ძირითადად მარცვლოვანი მცენარეები და საყოველთაოდ ცნობილი ჯავახური კარტოფილი მოჰყავთ. სოფლის მეურნეობის დარგიდან ჯავახეთში საყურადღებოა მეფუტკრეობა. ეთნოგრაფიული მასალებით დადასტურებულია, რომ სამცხე-ჯავახეთში, განსაკუთრებით კი ჯავახეთში მეფუტკრეობა ძალზედ წარმატებული ყოფილა. ამის შესახებ ვახუშტი ბაგრატიონიც წერდა: „ფუტკარნი მრავალნი, და თაფლნი კარგნი და მრავალნი“. „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარის“ მიხედვით, კი გადასახადი თაფლის სახით შეწერილი ჰქონდა 702 სოფელს. მეცნიერების გამოთვლით, ეს დაახლოებით 600-700 ათასი კილოგრამი უნდა ყოფილიყო წლიურად [სამცხე-ჯავახეთი. ცნობარი, 2016].

ტერასული მეურნეობის ნაშთები დღესაც თვასაჩინოა ჯავახეთში. ტერასებზე გაშენებულ ვენახსა თუ ხეხილს კარგი საირიგაციო სისტემა ჰქონდა. თავად ტერასები ამფითეატრს მოგაგონებთ. მსგავსი ტერასების თვალსაჩინო მაგალითია, ჯავახეთის მიმდებარე ტერიტორიაზე სოფელი თმოგვის ტერასები. ამ ადგილის მკვიდრნი, დღესაც იგივე დანიშნულებითა და ისეთივე აქტიურობით იყენებენ აღნიშნულ ტერასებს, რომლებიც როგორც უკვე აღვნიშნეთ, გარდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისა, სანახაობრივადაც შეუდარებელს ხდის ამ მხარეს.

ჯავახეთის ადგილობრივ არქიტექტურული და კულტურული მემკვიდრეობა, ნათელი მაგალითია, საქართველოს სახელმწიფოებრივი ძლიერებისა. ჯავახეთში იგებოდა ეკლესია-მონასტრები, ციხე-ქალაქები, ვითარდებოდა მხატვრობა, განსაკუთრებით კი, ფრესკული მხატვრობის ბევრი ნიმუშია შემორჩენილი, ასევე მნიშვნელოვნად განვითარდა ოქრომჭედლობა. ჯავახეთში თვალშისაცემი იყო ქვის მხატვრული დამუშავება, რომელიც სათავეს იღებს შუაფეოდალური ხანიდან დაწყებული, თითქმის XIX საუკუნემდე. ჯავახეთში ქვისგან აქანდაკებდნენ სხვადასხვა ცხოველის გამოსახულებას, განსაკუთრებით ხშირია ცხენებისა და ვერძების გამოსახულებები, რომლებსაც დღესაც უხვად შეხვდებით ნასაყდრალბთან.

ახალქალაქის ციტადელი, აბულისა და შაორის ციხე-სიმაგრეები ჯერ კიდევ უხსოვარი დროიდან ქმნიდა სამხრეთ საქართველოს თავდაცვით ნაგებობათა მთლიან ჯაჭვს. ახალქალაქის სოფლებში თავდაცვითი ნაგებობები იყო მიწისქვეშა სამალავი საცხოვრებლები, რომლებსაც აქ, დარნებად მოიხსენიებენ. დარნებს საჰაერო არხები და წყალმომარაგების ქსელი ჰქონდათ. დარნების მონახულება

დღესაც შეუძლია დაინტერესებულ პირს ჯავახეთის პლატოზე, კერძოდ აბულისა და შაორის შემოგარენში.

ჯავახეთის სოფლებში ასევე შეხვდებით ბანიან სახლებს, სამეურნეო ნაგებობებით. ნაგებობები ერთმანეთზე იყო მიდგმული და ერთმანეთს საიდუმლო კარით უკავშირდებოდნენ. ყოველივე ამის მიზეზი, რათქმაუნდა ისტორიული ავბედითობით იყო გამოწვეული. ზოგ სახლს გვირაბებიც ჰქონდა, რომლის გამოყენებითაც სოფლის მოსახლეობა, სოფლიდან იპარებოდა მტრისგან თავის დასაცავად. ასევე დარბაზული ტიპის ერდოიან საცხოვრებელ სახლებს დღესაც შეხვდებით ჯავახეთის პლატოს ზოგიერთ სოფელში, მაგ: აფნია, გოგაშენი და სხვა. დარბაზის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი იყო, დარბაზის გვირგვინის თავში დატანებული ერდო, რომელსაც ორი ფუნქცია ჰქონდა-საკვამურისა და სარკმლის. ამ სარკმლიდან შემოსული მზის სხივი მთელ დარბაზს ანათებდა. ნიშანდობლივია ის, ფაქტიც, რომ მრავაწახნაგა გვირგვინებიან დარბაზში სიმღერა განსაკუთრებით ლამაზად ისმოდა.


რაც შეეხება ეკლესია-მონასტრებს ჯავახეთში, ცალკე აღნიშვნის ღირსია კუმურდოს X საუკუნის ერთადერთი გუმბათოვანი აქტივეტურის ეკლესია. სამწუხაროდ ამჟამად ტაძარს გუმბათი მორღვეული აქვს და მიმდინარეობს ტაძრის რესტავრაცია. კუმურდოს ეპისკოპოსი X საუკუნეში გახლდათ, იოანე კუმურდოელი, რომელიც შემდგომ სინას მთაზე მოღვაწეობდა ქართულ მონასტერში. კუმურდოს ტაძარი მოვარდისფრო, თლილი ქვით არის ნაშენები. საკურთხევლის ტაძარი რელიეფებითაა მორთული. კედლები მოხატულია ფრესკებით. აქ არის მეფე ბაგრატ III-ის დედის გურანდუხტის პორტრეტიც [გზამკვლევი. ჯავახეთი, 2014: 41].

ფარავნის ტბის დასავლეთ ნაპირას, სოფელ ფოკაში მდებარეობს ფოკის წმინდა ნინოს მონასტერი. როგორც უკვე აღვნიშნეთ წმინდა ნინო ჯავახეთიდან შემოვიდა საქართველოში და ამ მონასტრის დაარსების ისტორიაც წმინდა ნინო კაბადოკიელის სახელს უკავშირდება. მისი სახელობის დარბაზული ეკლესია ააგეს ჯერ კიდევ IX საუკუნეში. ქართველთა განმანათლებლის ჯავახეთში შემოსვლის ადგილას დაარსდა მამათა მონასტერი, ხოლო წმინდა ნინოს ეკლესიასთან – დედათა მონასტერი. დღესდღეობით ორივე მონასტერი მოქმედია და აქტიური სამონასტრო ცხოვრება მიმდინარეობს. დედები მისდევენ სოფლის მეურნეობას, მესაქონლეობას, აქვე გახსნილია სახელოსნო „ფოკანი“, სადაც ღვთისმსახურეობისთვის საჭირო ნივთები

მზადდება. აუცილებლად მიიპყრობს თქვენს განსაკუთრებულ ყურადღებას მონასტერში დედების მიერ დამზადებული ყველის ნაირსახეობა, რომლის შექმნა და დაგემოვნება აქვე შეგიძლიათ.

ასევე შეხვდებით - ქილდის, აბულის, ბავრის, განძანის, ბეჟანოს, კოთელიის, კაჭიოს, ყაურმის, სამსრის კდეში ნაკვეთ გუმბათოვან ეკლესიასა და ნამონასტრალს.

ასევე სიამაყით მინდა აღვნიშნო, რომ ახალქალქს აქვს ევროპული სტანდარტის რკინიგზის სადგურის შენობა, რომელიც დაპროექტებულია გერმანელი არქიტექტორის - იურგენ მეიერის მიერ. რკინიგზის სადგური უზრუნველყოფს როგორც სამგზავრო ასევე სატვირთო გადაზიდვებს. ახალქალაქში გაივლის ბაქო-თბილისი-სტამბოლის სარკინიგზო მიმართულებით, იგივე „რკინის აბრეშუმის გზაზე“ უახლესი, თანამედროვე ტიპის სწრაფმავალი და კომფორტული მატარებელი.



სურათი 1. ახალქალაქის მუნიციპალიტეტის რუკა

## თავი II

# ქართულ-სომხური ენების წარმატებული კონტაქტებისათვის გასათვალისწინებელი ლინგვისტური საკითხები

მიუხედავად იმისა, რომ ქართულ და სომხურ ენებს ისტორიული ურთიერთობის დიდი გამოცდილების გარდა დღევანდელი უმჭიდროესი სამეზობლო და კულტურულ-ეკონომიკური ინტერესებიც აკავშირებს, უნდა ითქვას, რომ თანამედროვე ქართულ-სომხურში ტიპოლოგიური ლინგვისტური კვლევების რაოდენობა უცნაურად მცირეა; ცხადია, გვაქვს ამ კუთხით უდავოდ მნიშვნელოვანი სამეცნიერო ნაშრომები, თუმცა მათი რაოდენობა და დღევანდელ საჭიროებებთან შესაბამისობა აუცილებლად უნდა გაიზარდოს<sup>4</sup> [შილაკაძე, 1971: 319]. ამიტომაცაა, რომ ამ ენათა სწავლებისას მაგალითების შეპირისპირებითი ანალიზი პრაქტიკოსი სპეციალისტის ინიციატივაზეა მინდობილი და არა ფუნდამენტურ კვლევათა მონაცემებზე. ჩვენი ნაშრომის ერთ-ერთი მიზანი ისიც იყო, რომ პრაქტიკოსებთან დაგროვილი ეს გამოცდილება სამეცნიერო სივრცეში გამოგვეხმო და შეგვეფასებინა. ამგვარმა მიზნებმა მიგვიყვანა პედაგოგიურ პრაქტიკასთან, რომელიც დაბეჯითებით ვფიქრობთ, რომ ჩვენი ნაშრომის მასალაა და არა ერთადერთი მიზანი.

### 2.1. სახელთა ბრუნება სომხურში

რამდენადაც ჩვენი ნაშრომის მიზანი თეორიული კვლევაა და პრაქტიკულიც, მასალა, რომელსაც საანალიზოდ მოვიხმობთ, ძირითადად ჩვენი პედაგოგიური პრაქტიკიდანაა აღებული. ესაა სხვადასხვა ასაკისა და ენობრივი კომპეტენციის მოსწავლეთა, სტუდენტთა და, ზოგ შემთხვევაში, უფროსი ასაკის პირთა წერითი და ზეპირმეტყველებითი მონაცემები ქართულში სახელთა ბრუნების ათვისების

---

<sup>4</sup> დღესაც ახალი სომხურის ყველაზე ფუნდამენტურ ქართულ სახელმძღვანელოდ ნახევარი საუკუნის წინ გამოცემული წიგნები და ნაშრომები მიიჩნევა. თუმცა, რა თქმა უნდა, ეს ნაშრომები მართლაც უაღრესად მაღალი დონისაა; მაგალითისთვის თუნდაც ი. შლაკაძის ნაშრომს დავასახელებთ. იხ.: შილაკაძე, ივანე, ახალი სომხური ენის გრამატიკა ქრესტომათიითა და ლექსიკონით: სახელმძღვ. სტუდენტებისათვის. - თბ. : თბილ. უნ-ტის გამ-ბა, 1971. - 319 გვ.



სიძნელეებისა და თავისებურებათა თვალსაზრისით [ნურისტანი: [http://pglu.ru/upload/iblock/15c/uch\\_2014\\_v\\_41.pdf](http://pglu.ru/upload/iblock/15c/uch_2014_v_41.pdf)].

ცხადია, ბრუნების თავისებურებებზე საუბრისას თავს იყრის სხვადასხვა ტიპისა და სირთულის საკითხები, რომელთა შორისაა:

1. ბრუნვათა რაოდენობა
2. ბრუნვათა მაწარმოებლები
3. ბრუნვათა თავისებურებები მხოლოდობითა და მრავლობითში
4. თანდებულიანი ბრუნვები
5. ბრუნვათა ნორმატიული ორგანიზაციის პრინციპები
6. ბრუნვათა ფუნქციები ტექსტში (წინადადებაში)

და სხვ.

გ. ნურისტანის ნაშრომში, რომელიც რუსულ-სომხური ენების ბრუნვათა სისტემების ტიპოლოგიას ეძღვნება აღნიშნულია, რომ ერთ ენაში გრამატიკული მნიშვნელობის მქონე ენობრივი ფაქტი მეორე ენისათვის შეიძლება სულაც არ იყოს გრამატიკული [იხ., აგრეთვე: Джаукян Г. Б., Хлгатын Ф. О. Армянский язык. Общие сведения. Стилистика. Ереван: Изд-во «Луїс», 1976]. აქედან გამომდინარე, ის რომ ქართულსა და სომხურს მხოლოდობით-მრავლობითისა თუ შვიდი ბრუნვის არსებობა ერთმანეთს ამსგავსებს, კიდევ არ ნიშნავს, რომ ამ კატეგორიათა გრამატიკული კვალიფიკაცია ავტომატურად იმეორებს ერთმანეთს, მით უფრო, რომ ბრუნვათა რაოდენობის საკითხი ქართველ გრამატიკოსებს სადავოდ მიაჩნიათ.

ბრუნვათა სისტემაზე საუბრისას, ცხადია, თავს იჩენს მრავლობითის წარმოების საკითხებიც; კერძოდ, ქართულისათვის სრულიად ბუნებრივი ორი მრავლობითი (– ებ–იანი და ნარ/თანიანი) სრულიად უცხოა სომხურისათვის, რომელსაც მრავლობითში შედარებით სტაბილური მაწარმოებლები დაერთვის (– եր (ერ) და – ներ (ნერ)), თუმცა სომხურსაც აქვს ძველი სომხურიდან შემონახული -ք-ქ, რომელიც ზოგიერთ რთულფუძიან სახელთან შეიძლება შეგვხვდეს [<http://www.languages-study.com/armenian-grammar.html>].

როდესაც ბრუნვათა სისტემაზე, და ამის გამო სახელთა მრავლობითის წარმოებაზე ვსაუბრობთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ვგულისხმობთ სომხურ სალიტერატურო ენას; იმ ენას, რომელსაც სამხეთის განათლების სისტემა სახელმძღვანელოდ და ნორმატიულ კრიტერიუმად იყენებს; წინააღმდეგ

შემთხვევაში ჩვენ ისეთ მრავალფეროვნებასთან აღმოვჩნდებით, რომელსაც წინამდებარე ნაშრომის ფორმატით მხოლოდ ზოგადი დახასიათების დროსაც კი ვერ გავწვდებით. ამ სირთულეს განაპირობებს სომხური ენის დიალექტების განსაკუთრებული სიმრავლე და მნიშვნელოვანი განსხვავება ამ დიალექტებს შორის.

## 2.2. სომხური ენის დიალექტების სიმრავლე და თავისებურებები

როგორც სომხური დიალექტოლოგიის სპეციალიტები აღნიშნავენ, სომხურს დაახლოებით სამოცამდე დიალექტი აქვს (დღეს მიღებული ტერმინოლოგიით მათ ტერიტორიულ-სოციალურ დიალექტებს უწოდებენ); ეს დიალექტები ორ ძირითად ჯგუფად იყოფა: დასავლურსომხურ და აღმოსავლურსომხურ დიალექტებად. ჩვენი დიალექტოლოგიის ტრადიციისაგან განსხვავებით, სომხები დიალექტთა კლასიფიკაციის დროს იყენებენ განსხვავებათა მაჩვენებელ ტერმინებს, მაგრამ არასოდეს ხმარობენ შიდაკლასიფიცირებელ ტერმინად „ენას“. ეს ტერმინებია: დიალექტური ჯგუფი, დიალექტი, დიალექტთაშორისი დიალექტი (შუამავალი დიალექტი, ქვედიალექტი/სუბდიალექტი და თქმა).

ჩვენ, როგორც უკვე ვთქვით, ამჯერად არ გვესაჭიროება სომხური ენის დიალექტთა დახასიათება, მაგრამ რამდენიმე ასპექტზე ყურადღების გამახვილება ნამდვილად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, კერძოდ:

1. საქართველოში მცხოვრები სომხურენოვანი სომხების უდიდესი უმრავლესობა სომხურ სალიტერატურო ენაზე კი არ საუბრობს, არამედ სომხურის იმ დიალექტებზე, რომლებიც ან საქართველოში ან თურქეთში ხიზნობისას განვითარდა და მნიშვნელოვნად განსხვავდება სომხურის სალიტერატურო ვერსიისაგან. ხოლო იმის გათალისწინებით, რომ სომეხი მწერლებისა და მოღვაწეების საკმაოდ ავტორიტეტული წარმომადგენლები თავისი შემოქმედებითი ფორმირების წლებში სწორედ საქართველოსთან იყვნენ დაკავშირებულნი, ლოგიკურად მიუთითებს, რომ საქართველოში განვითარებულმა სომხურის დიალექტებმა (განსაკუთრებით, სომხურის თბილისურმა დიალექტმა) გარკვეული გავლენა მოახდინეს სომხური სალიტერატურო ენის განვითარებაზე (საიათნოვა, რაფი, გაბრიელ სუნდუკიანი, ოვანეს თუმანიანი და სხვ.);

2. ჩვეულებრივ, გავრცელებული აზრი, სომხური სალიტერატურო ენის ერთიანობაზე, მთლად სიტყვასიტყვით ვერ გაიგება, რადგან სომხური სალიტერატურო ენა რამდენიმე დიალექტზე განვითარდა და თითოეულმა ვერსიამ მნიშვნელოვანი ინდივიდუალური თავისებურებებიც გამოიმუშავა (წარსულიდან მეტნაკლები სიმყარე შეინარჩუნეს იმ დიალექტებმა, რომლებსაც ე.წ. ახალი სომხურის საფუძვლად მოიაზრებენ: არარატის, ლორეს, ყორჩევანის და სხვ.). სომხურის სამოცი დიალექტის ჩამონათვალშია თბილისური დიალექტი და ახალციხისა და ახალქალაქის სუბდიალექტები, რომელზეც ლაპარაკობს ამ რაიონებში მცხოვრები სომხობა. ამდენად, აქ სომხურენოვანი სომეხი ბავშვისათვის სკოლაში ასათვისებელ სირთულეთა შორისაა სალიტერატურო სომხურის ის ვერსია, რომელიც მის სალაპარაკო ენას არ ემთხვევა).

3. სომხურის დიალექტთა სამეცნიერო ორგანიზაციის თვალსაზრისით, ყველაზე გავრცელებულად ჰრაჩია აჰარიანის (1876–1953) კლასიფიკაცია მიიჩნევა, რომლის თანახმადაც, სომხურში სამი ძირითადი დიალექტური ჯგუფია გამოყოფილი: „-უმ“, „-კე“ და „-ელ“. ამ ჯგუფებიდან, მაგალითად, თბილისის (კერძოდ, ავლაბრული) სომხური „უმ“ ჯგუფისაა. დასავლური დიალექტები თვით სომხეთში ნაკლებადაა გავრცელებული, მათ შესახებ საერთოდ ინფორმაცია არაა სრულყოფილი და დასაბუთებული; მეტნაკლებად გაზიარებული ინფორმაციით, ე.წ. დასავლური დიალექტები დასტურდება სომხეთში, ახლოაღმოსავლეთის ქვეყნებში, რუსეთის დიასპორაში, აშშ–ში, საფრანგეთსა და სხვა ქვეყნებში; საქართველოს სამხრეთში სწორედ დასავლურსომხური დიალექტია დადასტურებული;

4. სომხურის დიალექტებზე შექმნილია დიდძალი ლიტერატურა, ამის მიუხედავად მათ სომხები ცალკე ენებად კი არ აცხადებენ, არამედ მთლიანად სომხური სალიტერატურო ენის პროდუქციად განიხილავენ;<sup>5</sup>

5. დღეს ოფიციალურად ცნობენ ორ თანამედროვე სალიტერატურო (სამწერლობო) დიალექტს: დასავლურს (რომელიც თავდაპირველად ოსმანთა იმპერიის მწერლებს უკავშირდებოდა) და აღმოსავლურს (რომელიც რუსეთის მწერლებთან იღებს სათავეს); ამჟამად ეს სალიტერატურო ენა გაწმენდილია

---

<sup>5</sup> ე. წ. ახალსომხურის დიალექტების მნიშვნელოვანი ნაწილი მეჩვიდმეტე საუკუნიდან მოყოლებული მეცხრამეტე საუკუნის ბოლომდე ჩნდება; მათ შორისაა ყარაბაღული, არარატის, ჯულფის, ახალნახჩევანური და თბილისური დიალექტები, რომლებზეც შექმნილია დიდძალი ლიტერატურა და ჩაწერილია მრავალი ფოლკლორული ტექსტი და მხატვრული ნაწარმოებები.

თურქული გავლენებისაგან და ეს რეფორმა თურქეთში სომეხთა გენოციდს უკავშირდება;

6. სომხური ენობრივი პოლიტიკა მიდრეკილია პურიზმისაკენ, ანუ ენაში უცხო გავლენების წინააღმდეგ ბრძოლისა და სესხების მაქსიმალური შეზღუდვისაკენ, ეს კი დიალექტების თავისებურებათა შეზღუდვასაც მოასწავებს, თუმცა ჯერჯერობით, როგორც აღვნიშნეთ, დიალექტთა მრავალფეროვნება სომხურში უდიდესია;

საინტერესოა სომეხ დიალექტოლოგთა პრინციპი, რომ დიალექტების ჩამოთვლისას დაასახელონ გავრცელების ადგილი და არა დიალექტის სახელწოდება. დიალექტოლოგიურ კვლევათა უმრავლესობაში დიალექტები ჩამოთვლილია, მაგალითად, ასე: „უმ“ ჯგუფის ტერიტორიული დიალექტები დასტურდება შემდეგ ადგილებში: ერევანი, დოგუბაიაზეთი, თებრიზი (კალასა და ლილავის კვარტლები), ჰავარი, თბილისი (ავლაბრის კვარტალი), შუშა, განჯა, შეკი, ბაქო, აქსთაფა, დილიჟანი, ვანაძორი, ლორეს ოლქი, მთიანი ყარაბაღი, ბურდური, ოდემისი, შემახა, ხუბა, ასტრახანი, ჯულფა, ისპაჰანი, შირაზი, ჰამადანი, ბუმირი... (და არა: ერევნული, თებრიზული, ჰავარული და სხვ.);

7. სომხეთის რესპუბლიკასა და მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკაში ოფიციალურ დონეზე გამოიყენება მხოლოდ აღმოსავლურსომხური სალიტერატურო ენა, ხოლო დიალექტები არ ისწავლება (და არ გამოიყენება) სკოლებსა და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

კიდევ ერთხელ დავაზუსტებთ, რომ დიალექტოლოგიური საკითხები ჩვენთვის ამჟამად არ არის აქტუალური, მაგრამ მას მაინც შევეხეთ გარკვეული მიზეზითა და მიზნით:

- სამცხე-ჯავახეთის სომხურენოვანი მოსახლეობა ლაპარაკობს დიალექტზე, რომელიც სრულიად განსხვავდება სომხური სალიტერატურო ენისაგან (როგორც აღვნიშნეთ, სომხური სალიტერატურო ენა ორია), ხოლო სკოლაში (ცხადია, სომხურ სკოლაში) სწავლობს სომხური სალიტერატურო ენით მოწოდებულ პროგრამას, რომელიც არ ემთხვევა მის საოჯახო ენას, და რომლის ათვისებაც საგანგებო შრომას მოითხოვს მოსწავლისაგან;

- სამცხესა და ჯავახეთში მცხოვრები სომხების ლოკალური ცხოვრების წესი სხვადასხვაა. ჯავახეთის სომხობას გაცილებით ნაკლები კონტაქტი აქვს ქართულ მოსახლეობასთან, ვიდრე სამცხისას; ამდენად ჯავახეთის სომხობისათვის ქართულის

ათვისებაც უფრო ძნელია, ვიდრე სამცხის მკვიდრთათვის. თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ საცხე-ჯავახეთის ქართველობის მეტყველებაც დიალექტურია და ამდენად სამცხელი სომეხი ბავშვისთვისაც არ არის ადვილი, საყოფაცხოვრებო კონტაქტების წყალობით ქართული დიალექტის ათვისების შემთხვევაშიც კი, სალიტერატურო ქართულის დაუფლება;

და რამდენადაც ჩვენ მიერ საანალიზო მასალად ხშირ შემთხვევაში აღებულია ის ენობრივი შეცდომები, რომლებიც ქართულ-სომხური ენების ბრუნვათა სისტემების სხვადასხვაობის საფუძველზე ჩნდება და საგანამანათლებლო სივრცეში დასტურდება, ამიტომ შეცდომათა მიზეზების ძიებაც გვიწევს მათ აღმოსაფხვრელად სწორი სტრატეგიის შემუშავების მიზნით. თუმცა ნაშრომის ძირითადი ხაზით, ცხადია, ჩვენ სალიტერატურო სომხურის მონაცემებზე ვსაუბრობთ.

### თავი III

## სახელთა ბრუნების თავისებურებები სომხურ-ქართული ენობრივი შეხვედრების ჭრილში

თანამედროვე სამეცნიერო კვლევებში კავკასიის ენათა კვლევამ კიდევ ერთი (უკვე მერამდენედ უახლეს ისტორიაში) ტენდენცია წარმოაჩინა: ტრადიციული თვალსაზრისი კავკასიონის ორივე ქედზე მცხოვრები ავტოქთონი მოსახლეობის ენათა ნათესაობისა და დანარჩენ ინდოევროპული წარმომავლობის ენათა გენეზისური სხვაობის შესახებ, რასაც საუკეთესოდ გამოხატავდა (და გამოხატავს) ტერმინი „იბერიულ-კავკასიური ენები“, შეიცვალა „კავკასიაში არსებული ენების (ნებისმიერი მათგანის) ერთმანეთთან სიახლოვის ოდენ ტიპოლოგიური მსგავსებით ახსნის ახალი ხაზით. ამჯერად ამ ფრიად ვრცელი და რთული საკითხის ახსნა ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს; ჩვენთვის ახლა მთავარი ისაა, რომ სომხური და ქართული ამ ორივე ვერსიაში ოდენ ტიპოლოგიურად მსგავს ენებს წარმოადგენდნენ და ხანგრძლივი ისტორიული თანამეზობლობის მიუხედავად, მათი მსგავსება ნამდვილად დაფუძნებულია არა ნათესაურ, არამედ თანამეზობლურ სიახლოვეზე, რაც ნათესაობაზე არანაკლებ მნიშვნელოვანია; და რაკი მსგავსებები ტიპოლოგიურ ხასიათისაა, ამიტომ სწავლების სიმწიფეებიც ქართულ-სომხური ენობრივი შეხვედრების, მსგავსება-განსხვავებათა პრაქტიკული გამოვლინებებისა და სხვაობათა გათვალისწინებით, ტიპოლოგიური გრამატიკის მეშვეობით უნდა დაიდლოს.

დავაზუსტებთ, რომ მიღებულია „ტიპი“ განისაზღვროს, როგორც ნიშან-თვისებათა ისეთი ერთობლიობა, რომელიც წარმოქმნის ურთიერთკავშირების შინაგანად მყარ ბირთვს და ამ სახეობაში თვითონ ხდება ტიპოლოგიური ცოდნის კონკრეტული „ერთეული“. აქ სირთულეს ქმნის ტიპის სპეციფიკის განსაზღვრა „სახეობასა“ (ცოდნის გენეტიკური ერთობლიობის ლოგიკური კავშირი) და „გვარეობასთან“ (საკლასიფიკაციო ერთეული) მიმართებაში.

გასაოცარია, რომ დღემდე ასეთი გრამატიკა არ დაწერილა, და ქართულ-სომხურ ენობრივ (და არა მარტო ენობრივ) კონტაქტებს ნაკლებადაა აქვს დაძეგნილი მსგავს და

განსხვავებულ შესატყვისობათა გრამატიკული, ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური და სტილისტიკური ახსნა-განმარტებები. და რამდენადაც ამ შემთხვევაში ჩვენ გვექნებოდა შესაძლებლობა ერთი მხრივ შემთხვევითი და მეორე მხრივ მიზეზთა გამო წარმოქმნილი მსგავსებები დაგვეჯგუფებინა და ისე გვესწავლებინა მაგალითად, სომხურენოვანი ბავშვებისათვის ქართული ენა. [ხაჩატურიანი,2019:148-152]

### **3. 1. ბრუნვის ფორმათა შესაბამისობის პრობლემა**

#### **ქართულსა და სომხურ ენებში**

წარმოდგენილ ნაშრომში საკითხი ასე დგას - არაქართულენოვან მოქალაქეებს, რომელთაც სახლმწიფო ენის არცოდნა ან ცუდად ცოდნა, მრავალი საზოგადოებრივი სფეროს წიაღში დამკვიდრებასა და ინტეგრირებაში უშლის ხელს, რაც შეიძლება მეტად უნდა დავეხმაროთ ქართულის დაუფლებაში. ამ მიზნით კი ქართულისა და ნაციონალური ენების ყველაზე ძნელად დასაძლევ უბნებისაკენ უნდა მივმართოთ ჩვენი ძალისხმევა.

როგორც დაკვირვებამ გვიჩვენა, ამ მხრივ საუკეთესო რესპონდენტებად არაქართულენოვანი სკოლების ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები და ე.წ. ნაციონალური სკოლების მოსწავლეები ჩანან. მათ ყოველდღიურად უწევთ ერთი ენიდან მეორეზე პრაქტიკული თარგმნის ოპერაციების ჩატარება და ყველა ცთომილება მყარად ამახსოვრდებათ.

როგორც არაერთმა ინტერვიუმ დაგვარწმუნა (და საკუთარი პრაქტიკული გამოცდილებაც ამასვე გვიდასტურებს) განსაკუთრებით თვალშისაცემია სიმძნელები სახელთა ბრუნების სწავლებაში (კერძოდ, მოთხ. ბრუნვა; წოდებითი ბრუნვა); ჩვენი ამოცანაა, გავარკვიოთ ასაკობრივი გრადაციის მიხედვით, რატომ უჭირთ წინადადების აგებისას საჭირო ბრუნვის ფორმის შერჩევა და როგორ უნდა დავეხმაროთ ამ პრობლემის მოგვარებაში.

ამ გზაზე კი სპეციალისტებისათვის გასათვალისწინებელია ორივე ენის ბრუნვათა სისტემების ჩამოყალიბების ისტორია, და შემდეგ ამ ორი ენის შეხვედრისას წარმოქმნილი პრობლემები. ჩვენი სინამდვილე, არაქართულენოვანი

პირებისათვის ქართული ენის სწავლების თვალსაზრისით, სპეციფიკურია (განსაკუთრებით სამცხე-ჯავახეთში).<sup>6</sup>

არსებობს მრავალი ნაშრომი (მათ შორის სადისერტაციო კვლევები და მეთოდოლოგიური მონოგრაფიები), რომლებშიც მეტ-ნაკლებად განხილულია ტიპობრივი შეცდომები შესასწავლი ენის ათვისების გზაზე; ეს საკითხიც არ შეიძლება მხოლოდ განზოგადებულად განვიხილოთ, რადგან შესასწავლ ენაში დაშვებული შეცდომები ძირითადად დედაენის სისტემური თავისებურებებითაა განპირობებული.

როგორც ცნობილია, ენა, რომელზეც იწყებს ლაპარაკს ადამიანი, სამყაროს შეცნობის პირველი საშუალება და სათქმელის სამეტყველო რეალიზაციის პირველი ყალიბი ხდება, ამიტომაც, ცნობიერად თუ ქვეცნობიერად, მოლაპარაკე ყველა სხვა ენის ცოდნას თავისი მეტყველების ამოსავალ ყალიბებთან ათანხმებს და, ფაქტობრივად, ყველა შესაძლო შეცდომა სწორედ ამ ყალიბთა სხვაობითაა განპირობებული [ტაბიძე, 2008: 294-304].

ქართულ მხატვრულ ლიტერატურას უამრავი მასალა აქვს ფიქსირებული სომხების ქართულად მეტყველებისას ყველაზე ტიპური შეცდომების თვალსაზრისით; საინტერესოა, რომ ეს დაკვირვებები თითქმის სრულად თანხვედრა დღეს საგანმანათლებლო და სამეცნიერო სივრცეში აღნუსხულ ტიპურ შეცდომებს. ამ ნაშრომებში ძირითადად ყურადღებაა გამახვილებული მშობლიური ენის ინტერფერენციულ გავლენაზე შესასწავლი ენის სტრუქტურულ (და ხშირ შემთხვევაში) სემანტიკურ-კონოტაციურ) შეცდომებზე. არის ცდები, შედგეს შეცდომათა ტიპოლოგიური ნუსხები, რომლებშიც გათვალისწინებული იქნება

---

<sup>6</sup> ჯავახური დიალექტის თავისებურებები გავლენას ახდენს იმ სოხურზე, რომელიც, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, საქართველოში ჯავახეთში მცხოვრები სომხების მეტყველებაში სომხურის სრულიად დამოუკიდებელ დიალექტად – სომხურის ჯავახეთში მცხოვრები სომხების დიალექტად გვევლინება. ქართული ენის ჯავახური დიალექტი იქ ჩასახლებული სომხებისათვის პირველხარისხოვანი სესხებისა და გავლენის წყაროა. უნდა ითქვას, რომ სომხურიდან შესული ლექსიკა თვით ჯავახურშიც დასტურდება. ასე, რომ იმ უცნაური ფაქტის მიუხედავად, რომ ამ დროისათვის ჯავახეთში მცხოვრები უფროსი ასაკის სომხები ქართულს ვერ ფლობენ ამ მეტყველებათა ურთიერთშეხებისა და გავლენის ფაქტი აშკარაა. ქართული ენის ჯავახური დიალექტი დასტურდება ახალქალაქის რაიონის სოფლებში: აფნია, გოგაშენი, ოკამი პტენა, ჩუნჩხა, კოთელია, მურჯახეთი, ვარევანი, ბარალეთი, გოკიო), ასპინძის რაიონის სოფლებში: ხიზაბავრა, თოკი, სარო, ვარგავი). ბორჯომის რაიონის სოფლებში: ბალანთა, ჭიხარულა... თუნდაც ორი-სამი ასწლეულის წინათ ქართული ენის ჯავახური დიალექტი გაცილებით დიდ ტერიტორიას ფარავდა. როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია მითითებული ჯავახურს ბევრი საერთო აქვს ქართლის კილოებთან, განსაკუთრებით ახლოა იგი მესხურთან. ჯავახური შეზავებულია დასავლურქართული კილოების თავისებურებებით. ლექსიკა-ფრაზეოლოგიაში უხვად არის დანერგილი თურქულ-არაბული ენობრივი შეხვედრების კვალი. ამ მოვლენას. ცხადია, ისტორიული ახსნა აქვს, თუმცა ამჯერად ამ საკითხებზე არ შვჩერდებით.



შეცდომათა გამოვლინების ყველა კატეგორია (ტიპურობა, სიხშირე, მდგრადობა); „შეცდომათა ანალიზის“ მეთოდს („error analysis“) დიდი ყურადღება ეთმობა უცხოელ ავტორებთან (S. P. Corder, E. Haugen, G. Helbig, C. James W. Nemser, G. Nickel, J. C. Richards). ამ ავტორთა უმრავლესობას მიაჩნია, რომ შეცდომებს აქვს რეგულარული, სისტემური ხასიათი და მოსწავლის ცნობიერებაში უკვე ჩამოყალიბებული მყარი სურათისაგან განსხვავებული ფაქტორების (ეს ფაქტორებია სხვა ენობრივი სისტემისა და სამყაროს სხვა ენობრივი სურათის ცდომილებები ენობრივი შეხვედრების დროს) ზემოქმედებისას ვლინდება.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ შეცდომათა ანალიზი საშუალებას იძლევა დადგინდეს ობიექტური სიძნელეები და კანონიზომიერებები სწავლების კონკრეტული ვარიანტის შემთხვევაში; ამ გზით კი სწავლების რეალისტური მიზნების დასახვა მოხერხდება, თუ ცალ-ცალკე მიმოვიხილოთ ბრუნების სტრუქტურას ქართულსა და სომხურ ენებში. ცხადია, ბრუნვათა რაოდენობა სხვადასხვა ენაში სხვადასხვაგვარია.

როგორც ვიცით, თანამედროვე ქართულში შვიდი ბრუნვაა (თუმცა ეს რაოდენობა სადავოა, მაგრამ ოფიციალურ სტანდარტში, რომლითაც ჯერჯერობით ხელმძღვანელობს განათლების სამინისტრო, სწორედ შვიდი ბრუნვა სახელდება). ქართულში სახელები ყველა იბრუნვის, ისეთებიც კი, რომლებიც ნასესხებია ბრუნვის უქონელი ენებისაგან (მაგ. ფრანგულისაგან) ან ისეთი ენებისაგან, რომლებსაც სახელთა ბრუნვა შეიძლება მოეპოვებოდეს საზოგადოდ, მაგრამ ზოგიერთი სახელი მაინც უბრუნველი ჰქონდეს (ასეთია, მაგალითად რუსული ენა). სიტყვები „პალტო“ და „დეპო“ ფრანგულისაგან რუსულშია ნასესხები, რუსულიდან კი ქართულშია გადმოსული. არც ერთი მათგანი არ იბრუნვის არც ფრანგულში არც რუსულში, მაგრამ ქართულში ისინი ბრუნებადია. [ხაჩატურიანი, 2019: 148-152]

ბრუნვათა რაოდენობაზე საუბრისას, უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართულში ბრუნვათა რაოდენობის გამოყოფისა და მიმდევრობის დღევანდელი სურათი (მეტ-ნაკლებად გაზიარებული და სტანდარტად დადგენილი) საკმაოდ ხანგრძლივი ლინგვისტური აზროვნების შედეგია [ჩიქობავა, 1956: 34-40].

1. დღესაც ძირითადად მიღებული ბერძნულ-ლათინურ-რუსულ რიგის მიხედვით გაწყობილი ვარიანტი წარსულთან შედარებით მცირედაა შეცვლილი (სადაც მოთხრ. ბრ.-ს აკუზატივის ადგილი უკავია, ხოლო ვითარებითი წოდებითს

უსწრებს წინ); ამ რიგს მორფოლოგიურთან ერთად სინტაქსური მხარეც განაპირობებს, რაც უდავოდ, ლოგიკურია;

2. ძველ გრამატიკაში ბრუნვათა დალაგება მეტ-ნაკლებად შემთხვევით ხასიათს ატარებდა, ანდა გათვალისწინებული იყო ევროპული ენების ვითარება. მაგალითად, სახელობითის შემდეგ იდგა ნათესაობითი, შემდეგ მიცემითი, მას მოჰყვებოდა მოთხრობითი;

3. ამჟამად სტანდარტად მიჩნეული ანუ სახელმძღვანელოებში დაცული და ა. შანიძის მიერ დადგენილი ბრუნვათა რიგი - სახელობითი, მოთხრობითი, მიცემითი, ნათესაობითი, მოქმედებითი, ვითარებითი, წოდებითი დაფუძნებულია მორფოლოგიისა და სინტაქსის მოთხოვნებზე: ჯერ მოცემულია სუბიექტის ბრუნვები (სახელობითი, მოთხრობითი, მიცემითი). ამ მიმდევრობას ისიც უჭერს მხარს, რომ სწორედ ამ ბრუნვებში ვლინდება ფუძეუკუმშველობა და უკვეცელობა [შანიძე, 1956].

ქართულში ყველა სახელი ერთნაირად არ იბრუნვის. ფონეტიკური ფაქტორის ზეგავლენით ზოგი სახელის ფუძე იკუმშება ან იკვეცება, ზოგის ფუძე უცვლელია; ზოგჯერ კიდევ ბრუნვის ნიშანი განიცდის ცვლილებებს

უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ სომხური ენა, რომელიც ნორმატიული თვალსაზრისით პურიზმისკენაა მიდრეკილი, მისი გავრცელების ყველა ადგილას ერთნაირად არ განიცდის დროის ცვლილებას. მაგალითად, როდესაც 1922–1924 წლებში განხორციელდა სომხური ენის ორთოგრაფიული რეფორმა უცხოეთში მცხოვრებმა სომხობამ რეფორმის მოთხოვნები არ გაიზიარა და კვლავ ძველ ორთოგრაფიას მიჰყვა.

ამჟამად სომხურ ენაშიც დატრიალდა ის პროცესი, რომელიც პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ე.წ. „ცენზურირებული“ ნორმების უნიფიკაციურ მოქმედებას განაპირობებდა. საბაზრო ეკონომიკამ მედია ცენტრალიზებული მართვისაგან გამოათავისუფლა და ნორმოზრივი აღრევა ყველგან აღინიშნა. არც სომხური აღმოჩნდა გამონაკლისი [ჩინჩალაძე, პოლოსიანი, 1998].

სომხურშიც, დღევანდლამდე ბრუნვათა სახელწოდებებს, რიგსა და ფუნქციებს გრძელი გზა აქვს გამოვლილი [შილაკაძე, 1971]. მრავლობითს აქვს თავისი ნიშნები, ეს ნიშნებია ერთმარცვლიანი სიტყვებისათვის ლქ და ერთზე მეტმარცვლიანი სახელებისათვის -სქქ. მრავლობითის ნიშანი ემატება სახელის ფუძეს, რომლის

შემდეგ დაისმის ბრუნვის ნიშანი. ე.ი. ახალ სომხურში მრავლობითი რიცხვის გაფორმება სახელებში ქართულის მსგავსია;

ბრუნვა კი ხუთია, თუ დავდგებით იმ თვალსაზრისზე, რომ მორფოლოგია დამოუკიდებელ ბრუნვად მიიჩნევს განსხვავებულ ფორმას. სომხურ გრამატიკულ ლიტერატურაში კი ამჟამად გაბატონებული მოსაზრების გამო ბრალდებითაც ცალკე ბრუნვად გამოყოფენ, თუმცა პირდაპირ დამატებას (ბრალდებითს) არასოდეს მოეპოვება თავისი საკუთარი ფორმა: იგი ან სახელობითის, ან ნათესაობით-მიცემითის ფორმას იყენებს, ამიტომ უფრო მართებულია მისი განხილვა სინტაქსში და არა მორფოლოგიაში. ყველა სხვა ბრუნვას თავისი საკუთარი ფორმა აქვს. ამრიგად, ახალი სომხური ენის ბრუნვებია:

1. სახელობითი – ուղղასკან
2. ნათესაობით-მიცემითი – սեռასკან-տրასკან
3. დაწყებითი – բացասასკან
4. მოქმედებითი – գործիასკან
5. ადგილობითი – ներգოյასკან

როგორც ვხედავთ, ბრუნვათა სისტემა ქართულსა და სომხურში საკმაოდ განსხვავებულია ერთმანეთისგან. სწორედ ამ განსხვავებული სტრუქტურის თანხვედრის მიზეზიცაა, მთელი რიგი შეცდომებისა ენის შესწავლის პროცესში.

მაგალითისთვის წარმოვადგენთ ერთ-ერთ ტექსტს, რომელშიც თვალსაჩინოდაა მოცემული, სომეხი მოსწავლისათვის სრულიად ტიპობრივი რამდენიმე შეცდომა ქართული ტექსტის შევსების დროს (მე-10 კლასი. 15-16 წელი)

როგორც მოსალოდნელი იყო, პრობლემა შექმნა მოთხრობითმა ბრუნვამ წარსული დროის ერთპირიანი ზმნის ფორმასთან.

შეცდომაა:

„მამაჩემმა ევროპაში მოგზაურობდა...“

„არტურმა სწავლობდა ადმინისტრირების სკოლაში“

ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია ის დაკვირვებები, რომელიც ფიქსირდება მხატვრულ ლიტერატურაში არაქართველთა, კონკრეტულად სომეხების ქართულად მეტყველების დროს ქართველი მწერლების მიერ. როგორც სპეციალისტები მიუთითებენ, ამა თუ იმ ენაზე ლაპარაკი შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც უპირველეს ყოვლისა, ამ ენის სისტემის ათვისება ხდება

[[https://cciir.ge/images/pdf/1348829210\\_BE\\_3\\_GEO.pdf](https://cciir.ge/images/pdf/1348829210_BE_3_GEO.pdf)]. ხოლო რამდენადაც სისტემა ლინგვისტიკის შესწავლის სფეროა, სწორედ ლინგვისტიკის მონაცემების მომარჯვებაა საჭირო ენის შესასწავლად.

როგორც პრაქტიკა აჩვენებს, ხშირად ენის სისტემის შესწავლაზე უფრო დიდი ძალა მეტყველების ათვისებას აქვს. რამდენადაც მეტყველება არის მთავარი კომუნიკაციის დროს. კომუნიკაცია კი ცალკე სამსჯელო თემაა (ამ საკითხს კიდევ შევხებით).[ხაჩატურიანი,2019:151]

ბრუნვათა სისტემაზე საუბრისას გასათვალისწინებელია ბრუნებადი მეტყველების ნაწილების თავისებურებები. ამიტომ ცალცალკე უნდა შევხვით არსებით, ზედსართავ, რიცხვით სახელებსა და ნაცვალსახელს, რომლებიც ქართულში (ისევე როგორც სხვა ენებში) ბრუნებისას გარკვეულ სხვადასხვაობას გვიჩვენებენ.

ჩვენი მიზანი არ არის (და ვერც იქნებოდა) ქართულ-სომხური ბრუნების სრული შეპირისპირებითი დახასიათება, რადგან საკითხი ძალიან ფართოა, ისტორიულ წიაღსვლებსა და ტიპოლოგიური მეთოდოლოგიის ყოველმხრივ გამოყენებას მოითხოვს, რაც აღემატება საკვალიფიკაციო ნაშრომის ფორმატს. თუმცა, ვიმედოვნებთ, რომ ამ მიმართულებით მუშაობისთვის წინამდებარე კვლევასაც შეიძლება ჰქონდეს მნიშვნელობა. ამჯერად კი, როგორც უკვე ვთქვით, ვესწრაფვით სომხურენოვანი კონტინგენტისათვის ქართულის სწავლებისას წარმოქმნილი პრაქტიკული სიძნელების აღნუსხვას, განხილვას, შეფასებასა და, შემდგომში დაგვარად, რეკომენდაციების შემუშავებას.

ნაცვალსახელთა ბრუნებისას სომხური გარკვეულ თავისებურებას იჩენს: მაგალითად. კუთვნილებით ნაცვალსახელს მყარი ადგილი აქვს, ის აუცილებლად წინ უძღვის საზღვრულს; ამით სომხური მკვეთრად განსხვავდება ქართულისაგან, რომელსაც კუთვნილებითი ნაცვალსახელის დასმა ყველგან შეუძლია საზღვრულის წინაც და საზღვრულის შემდეგაც, იქამდე, ქართულში ნაცვალსახელი (და ნებისმიერი სხვა მსაზღვრელად გამოყენებული სახელი) შეიძლება სხვა წევრმაც დააშოროს საზღვრულს და მაინც სინტაქსური კავშირი არ დაირღვევა:

ქართული	სომხური სიტყვასიტყვითი (ელექტრონული თარგმანი)	სალიტერატურო სომხური
ჩემო ტკბილო მეგობარო	Իմ քաղցր ընկերը	Իմ քաղցր ընկերս
მეგობარო ჩემო ტკბილო	Ընկեր իմ քաղցր	Ենկերս իմ քաղցր
მეგობარო ტკბილო ჩემო	Ընկերսկան քաղցր իմ	Ընկեր իմ քաղցր

### ცხრილი 1. ელექტრონული და სალიტერატურო თარგმნა

სალიტერატურო სომხურში მრავლობითის წარმოებისას რამდენიმე წესი მუშაობს, რომლებიც დიალექტებში დაცული არაა:

ა) ე.წ. უთვლადი სახელები (ქართულში რომ კრებითს ვუწოდებთ) მრავლობითს არ აწარმოებენ; ქართულისა არ იყოს, ამ სახელების მრავლობითში ჩასმა შეიძლება, მაგრამ ასეთ შემთხვევაში შეიცვლება სახელის შინაარსი ან კონოტაცია. (მაგალითად: թեյ–ჩაი, հաց–პური, մեղր–თაფლი, կարագ–კარაქი, կաթ – რძე, და სხვ. );

ბ) ქართულის მსგავსად სომხურში მრავლობითზე მიმანიშნებელი მსაზღვრელის არსებობის შემთხვევაში საზღვრული სახელი აღარ აწარმოებს მრავლობითს და მხოლოდითში რჩება (այստեղ երեք կարմիր ბაղიყ է – აქ არის სამი წითელი ყვავილი) [<https://www.dissercat.com/content/subnicheskie-gruppy-armyan>].

მიუხედავად იმისა, რომ ორივე წესი ქართულსა და სომხურს საერთო აქვთ, შეცდომები ამ ორივე წესთან დაკავშირებულ მაგალითებში მაინც გვხვდება:

## 3. 2. სახელთა ბრუნება სომხურში

თანამედროვე სომხური ენის გრამატიკის ქართულ სახელმძღვანელოდ დღემდე შეუცვლელად რჩება პროფესორ ივ. შილაკაძის მონოგრაფიული ტიპის ნაშრომი „თანამედროვე სომხური ენის გრამატიკა, რომელშიც საფუძვლიანადაა განხილული სომხური სალიტერატურო ენის გრამატიკის ძირითადი საკითხები. ცხადია,

დასახელებულ წიგნში სახელთა ბრუნების საკითხებიც სიღრმისეულადაა განხილული. ჩვენთვის ამ ნაშრომმა საძირკვლის როლი შეასრულა და ქართულ-სომხური ენების ბრუნების სისტემებსა და ბრუნვათა მსგავსება-განსხვავების საკითხებზე მუშაობისთვის ორიენტირები გვაპოვნინა.

ჩვენთვის სრულიად დამაჯერებელია პროფ. ივ. შილაკაძის მიერ თანამედროვე სომხურის ინდო-ევროპულ ენათა ოჯახთან კუთვნილების მიუხედავად მასში იბერიულ-კავკასიური ენების გავლენით გამოწვეულ თავისებურებებზე მითითება. დღეს ჯავახეთის სომხობის მეტყველებაზე ჯავახური დიალექტის გავლენის ხასიათი და ამ გავლენის, ასე ვთქვათ, ხილული, პრაქტიკაში დადასტურებული პროცესი (ყოველ შემთხვევაში, სახელთა ბრუნებაში ჩვენ ამ პროცესს ნამდვილად ვაკვირდებით) კიდევ უფრო განამტკიცებს ივ. შილაკაძის მოსაზრებას.

ამჯერად, ჩვენი მიზანი არ არის სომხური ენის ეთნოგენეზისისა და ლინგვისტურ მოცემულობათა დიაქრონიული ანალიზი, მხოლოდ გავიმეორებთ ივ. შილაკაძის წიგნიდან ერთ აზრსაც, რომელიც ჩვენ მიერ განხორციელებული კვლევით გამოვლენილი ენობრივი ფაქტების წარმომავლობის ასახსნელად უდავო საფუძველია: „სომხური ენის ფონეტიკაში, ლექსიკასა და მორფოლოგიაში არაინდოევროპულ, კერძოდ, იბერიულ-კავკასიურ მასალასაც გამოყოფენ (როგორც სომეხი ენათმეცნიერები - ჰ. აჭარიანი, გრ. ხაფანციანი, ა. ასმანგულიანი, ისე უცხოელი ენათმეცნიერებიც - გ. დეეტერსი, ჰ. ფოგტი... ნ. მარი სომხურს ნარევი ენად თვლიდა). შეიძლება სადავო იყოს, თუ რა ხვედრი წონა აქვს სომხურის შედგენილობაში არაინდოევროპულს და, კერძოდ იბერიულ-კავკასიურ მასალას, შეიძლება სხვადასხვაგვარად ახსნან ამ არაინდოევროპული მასალის წარმომავლობა, მაგრამ სადავო არ არის ორი რამ: ერთი ის, რომ სომხური ენა ამჟამად წარმოადგენს ინდო-ევროპულ ენას, და მეორე ისაა, რომ სომხურის შედგენილობაში იბერიულ-კავკასიური მასალა შეიმჩნევა. სარკვევია, ოღონდ, მხოლოდ ქართველ ენებთან აქვს მას კავშირი თუ სხვა ჯგუფის იბერიულ-კავკასიურ ენებთანაც.“

ივ. შილაკაძე თავის წიგნში, რომელიც 1971 წელს გამოიცა, მიუთითებს, რომ ქართულ სამეცნიერო სივრცეში სომხური შესწავლისას ძირითადად ძველი სომხური ენის აგებულებით ინტერესდებოდნენ, თანამედროვე სომხურს კი აქა-იქ გამოცემულ სასაუბროებსა და ლექსიკონებში თუ აქცევდნენ ყურადღებას. ამან გამოიწვია ის, რომ თანამედროვე სომხურის გრამატიკული ანალიზი ქართულად ნაკლებად ხდებოდა.

### 3.3. ბრუნება ახალ სომხურ ენაში

ანტიკურ ხანასა და ადრე შუა საუკუნეებში ამიერკავკასიის ტერიტორიაზე სამი განვითარებული სახელმწიფო და სამი ცივილიზებული ხალხი – ქართველები, სომხები და ალბანელები – სახლობდა. სამივე ქვეყანა ერთ გეოპოლიტიკურ სივრცეში მოქმედებდა, ერთმანეთთან უმჭიდროესად იყო დაკავშირებული და ერთად უპირისპირდებოდა უძლიერეს გარეშე პოლიტიკურ თუ კულტურულ ძალებს. სამივე ხალხმა თითქმის ერთდრულად მიიღო ქრისტიანობა და თითქმის ერთდროულად შექმნა თავისი მწიგნობრული კულტურა. ამიერკავკასიის ამ ცივილიზებულ ხალხთა შორის ერთ-ერთი გამორჩეულია სომხური ლიტერატურული მემკვიდრეობა, რომელმაც ორიგინალურ თუ თარგმნილ თხზულებათა ბრწყინვალე ნიმუშები შემოგვინახა.

თავად სომხურმა ენამ განვითარების საკმაოდ ხანგრძლივი და რთული გზა განვლო, ვიდრე ახალ სომხურ სამწერლო ენად ჩამოყალიბდებოდა. სომხური ენის განვითარების ისტორია სამ ეტაპად იყოფა: ძველი სომხური, ე.წ. გრაზარი (V-XI სს.), საშუალო სომხური (XII-XVI სს.) და ახალი სომხური (XVII საუკუნიდან დღემდე).

ახალი სომხური ენის ნიმუშები ჯერ კიდევ მე-17 საუკუნიდან ჩნდება, თუმცა ახალი სომხური სალიტერატურო ენის (ე.წ. აშხარაზარის) საბოლოოდ ფორმირება მე-19 საუკუნის სომეხი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ხაჩატურ აბოვიანის სახელთან არის დაკავშირებული. ახალი სომხური ენა, თავის მხრივ, ორი მიმართულებით განვითარდა, კონსტანტინოპოლის დიალექტი საფუძვლად დაედო დასავლურ სომხურ ენას, არარატის დიალექტი კი – აღმოსავლურ სომხურს.

მიუხედავად იმისა, რომ ახალი სომხური ენა აგებულებით განსხვავდება ძველი სომხური ენისაგან, ახალმა სომხურმა ენამ ძველ სომხურ ენასთან გარკვეული საერთო ფორმები შეინარჩუნა. შეიძლება ითქვას, ახალი სომხური ენა ჩამოყალიბდა სომეხი ხალხის სამეტყველო ენის საერთო ელემენტების, საშუალო და ძველი სომხური ენის გარკვეული ფორმების სინთეზით, თუმცა მისი ფორმირების პროცესი საკმაოდ ნელა მიმდინარეობდა. უპირველეს ყოვლისა, ეს გამოწვეული იყო იმით, რომ სომხეთში არსებული არეულობა, სომეხი ხალხის პოლიტიკური და

ეკონომიკური ყოფა, კულტურული და ლიტერატურული განვითარების ნელი ტემპი, ყოველივე ეს დიდ გავლენას ახდენდა ენის განვითარებასა და სრულყოფაზე, რის გამოც აშხარაბარს არ შეეძლო ასე ადვილად გათავისუფლებულიყო მსგავსი შინაარსის გამომხატველი სხვადასხვა გრამატიკული ფორმებისაგან.

კიდევ ერთხელ უნდა აღვნიშნოთ, რომ ბრუნვათა სისტემის ჩამოყალიბებისა და განვითარების გზა ქართულსა და სომხურში (მით უფრო უძველესი პერიოდებიდან მოყოლებული დღემდე) ერთი სადისერტაციო ნაშრომისათვის მიუწვდომელი ამოცანა გახლავთ. მით უფრო, რომ ჩვენი მიზანი არ არის ამ საკითხის ესოდენ ფუნდამენტური შესწავლა. ჩვენ ვესწრაფვით ქართულ-სომხური ენობრივი შეხვედრების დროს ბრუნვის ფორმათა შესაბამისობის დადგენის მოწადინე პრაქტიკოსი სპეციალისტებისათვის რაციონალური რეკომენდაციების შეთავაზებას.

სწორედ ამ კონკრეტული მიზნით შევეცდებით, მოკლედ აღვწეროთ ახალი სომხური ენის ბრუნების სისტემა და ვაჩვენოთ ის ძირითადი ნიშნები, რაც ახალ სომხურსა და ძველ სომხურ ენებს ახასიათებს, და რაც წარმოადგენს ქართულში შედარებით ანალოგიურ ბრუნვათა, ან სათანადო კონტექსტისათვის შესაფერის ბრუნვათა შერჩევის კანონზომიერებათა დადგენის გზას.

დავიწყებთ იმით, რომ სომხურ ენაში რიცხვი ორია: მხოლობითი და მრავლობითი. მრავლობითი რიცხვი იწარმოება მხოლობითი რიცხვის სახელებზე - ლქ, -ნქ, -ք, -ჩქ მაწარმოებლების დართვით. მათგან ყველაზე გავრცელებულია -ლქ, -ნქ სუფიქსით მრავლობითის წარმოება: -ლქ სუფიქსი გამოიყენება ერთმარცვლიანი, ხოლო -ნქ - ერთზე მეტმარცვლიანი სახელებისათვის. მრავლობითის მაწარმოებელი ნიშანი ემატება სახელის ფუძეს, რომლის შემდეგ დაისმის ბრუნვის ნიშანი, მაგ.:

მხ. რ.	მრ. რ.
մնծ (დიდი)	մնծ-լք (დიდ-ები)
պատ (კედელი)	պատ-լք (კედლ-ები)
սեղան (მაგიდა)	սեղան-նქ (მაგიდ-ები)
եկեղեցի (ეკლესია)	եկեղեցի-նქ (ეკლესი-ები)



## ცხრილი 2. მრავლობითი რიცხვის წარმოება

ამ საზოგადო წესს, აქვს გარკვეული გამონაკლისებიც.

სომხური ენის გრამატიკის სახელმძღვანელოებში აღნიშნულია მრავლობითი რიცხვის წარმოების შესახებ არსებული გამონაკლისები და ნაჩვენებია მათი წარმოების თავისებურებანი.

ახალ სომხურ ენაში გვაქვს ისეთი სიტყვები, რომელთა პირველი მარცვალი გამოითქმის, მაგრამ არ იწერება - თანხმოვანთგამყარი -ը, არ ჩანს, სინამდვილეში კი ორმარცვლიანი სიტყვაა. ამიტომ ასეთი სიტყვები მრავლობით რიცხვს -ნქ სუფიქსის დართვის აწარმოებენ. მაგალითად, բիշկ-բիշկներ, դպրոց-դպրոցներ, նկար-ნկარներ, գրող-գրողներ, գլուխ-գլուխներ, սրբիչ-սրբիչներ, ժպիտ-ժպիտներ და სხვ.

სახელები, რომლებიც ძველ სომხურში -ն გრაფემით ბოლოვდებოდა და ფუძეცვალებადი ჯგუფის სახელებს განეკუთვნებოდა, ახალ სომხურში ეს ბოლოვიდური -ն მოკვეცილი აქვს, მაგრამ მრავლობითი რიცხვის ლე ფორმატის დართვისას ერთმარცვლიანი სიტყვა ამ -ნ-ს აღიდგენს და მისი გაფორმება -ნქ ფორმატიანი სახელების მრავლობითს ემსგავსება; მაგ: եզ (< ძვ. სომხ. եզն) – եզներ, ուտ (< ուտն) – ուտներ, մատ (< մատն) – մատներ, լեռ-լեռներ, ծուխ-ծխներ, դուռ-դռներ და ა.შ.

7. საქართველოს კონსტიტუციის ----- მიმართ ~~შესახებ~~ ქვეყნის ნამდვილმა მოქალაქემ ბევრი რამ უნდა იცოდეს.
8. ვფიქრობ, ჩემ ----- გარდა ----- სხვასაც აქვს ასეთი შეხედულება, ამიტომ გამოკითხვა ჩაატარეთ.

#### სურათი 9. მოსწავლის ნამუშევარი

როგორც მოსალოდნელი იყო, განსაკუთრებულ სირთულეს მოთხრობითი ბრუნვა ქმნის. თუმცა როგორც ვიცი, ამ ბრუნვას თანდებული არ დაერთვის. შესაბამისად, გარდამავალი ზმნის სამი კონსტრუქციიდან (ნომინატიური, ერგატიული და დატიური) პრობლემას ერგატიულ კონსტრუქციასთან ვაწყდებით, რაც მხედველობაში უნდა ვიქონიოთ სწავლების დროს, ანუ, გავითვალისწინოთ არა მაინცადამაინც ბრუნვათა თანმიმდევრობა, არამედ მათი სირთულე და მოსალოდნელი პრობლემები. ენის შემსწავლელებისთვის ერთ-ერთ რთულად დასაძლევ საკითხს წარმოადგენს მოთხრობითი ბრუნვის ფორმის შეწყობა ზმნასთან და მისი სწორი გამოყენება ზეპირმეტყველებაში. მოთხრობითი, ქართულისთვის დამახასიათებელ სპეციფიკურ ბრუნვად მიიჩნევა. ამ ბრუნვაში მდგარი სახელი გარდამავალ ზმნასთან შეწყობილი სუბიექტია. „მოთხრობითი ბრუნვის ქონა, ანუ ბრუნების ეს თავისებურება განპირობებულია გარდამავალი ზმნის თავისებურებით. იგი მიუთითებს მოქმედზე, აქტიურზე და ამიტომ იხმარება მხოლოდ გარდამავალ ზმნებთან [გოგოლაშვილი, 2011: 83].

მოთხრობითი ბრუნვა იმ სახითა და ფუნქციით, რომლითაც მას ქართული იყენებს, არ გვხვდება არც ერთ ევროპულ ენაში. იგი დასტურდება იბერიულ-კავკასიურ ენებში. მოთხრობითი ბრუნვის აღმნიშვნელი ტერმინია ერგატივი.

„კონსტრუქცია, რომელსაც მოთხრობითის ხმარება ახასიათებს, იწოდება ერგატიულ კონსტრუქციად [ჩიქობავა, 2011: 345]. ქართულში მოთხრობითი ბრუნვის მთავარი თავისებურება ისაა, რომ იგი ოდენ სასუბიექტო ბრუნვაა.

არაქართულენოვან ჯგუფებში ქართული ენის სწავლებისას წარმოქმნილი სირთულის ერთ-ერთი არსებითი მიზეზი ისიცაა, რომ ბევრ ენაში ქართულისგან განსხვავებით, სუბიექტიც და ობიექტიც ერთი და იმავე ფორმით ეწყობა ზმნას ყველა მწკრივში. თუმცაღა სომხურში სუბიექტი და ობიექტი ერთი და იმავე ფორმით არ ეწყობა ზმნას, მაგრამ მოთხრობითი ბრუნვა მისთვის უცხოა. ამ ბრუნვის არარსებობა კი ზმნის გარდამავლობამდე მიდის და მართლწერის ერთ-ერთ უმთავრეს საკითხად დაჩნდება. ამის გამოა, რომ, მნიშვნელოვანი შეცდომები გვხვდება სომხურენოვანი პირის ქართულად წერასა თუ მეტყველებაში. სომხურში, ხშირ შემთხვევაში სუბიექტის ბრუნვაა სახელობითი ბრუნვა, ობიექტი კი დგას მიცემითში, *ხայցასკან* (*винительн.*), მაგალითად:

1. სქინს (ილიქ.) *გჰიქ* (ხაყ.) *ქ* სარქილ:
2. სქინს (ილიქ.) *გჰიქ* (ხაყ.) *ქ* სარქილ:
3. სქინს (ილიქ.) *გჰიქ* (ხაყ.) *ქ* სსარქა:
4. სქინს (ილიქ.) *გჰიქ(ქ)* (ხაყ.) *ქ* სარქაგ:

ან

ნინო მიუახლოვდა სარკეს, მაგიდას...


სქინს (ილიქ.) *მითხგაქ* *ხაქელის* (თრასკან), *სხელანქ* (თრასკან) - მიც.

1. ნინო კითხულობს წიგნს (ნინონ გირქ ე კარდუმ)
2. ნინო კითხულობდა წიგნს (ნინონ გირქ ერ კარდუმ)
3. ნინო წაიკითხავს წიგნს (ნინონ გირქ ე კვარდა)
4. ნინომ წაიკითხა წიგნი (ნინონ გირქ ე კარდაც)

როგორც ვხედავთ, პარალელისთვის მოხმობილ სომხურ ენაში სუბიექტისა და ობიექტის ფორმები თითქმის უცვლელად მიჰყვება ზმნას. განსხვავებული ვითარებაა ქართულში, სადაც სუბიექტის / სუბიექტ-ობიექტის ან ობიექტების ბრუნვათა ფორმებს განაპირობებს ზმნა, კერძოდ, გარდამავალია იგი თუ გარდაუვალი (კითხულობს – ნინო წიგნს; წაიკითხა – ნინო-მ წიგნი; წაუკითხავს ნინო-ს წიგნი; ტირის – ბავშვი, იტირა – ბავშვ-მა, უტირია – ბავშვ-ს; იზრდება – ბავშვ-ი, გაიზარდა – ბავშვ-ი, გაზრდილა – ბავშვ-ი). მსმენელებს შეიძლება მივუთითოთ, რომ

დაუკვირდნენ (სხვაობა იმაშია, რომ სომხურში ქვემდებარე თითქმის ყოველთვის დგას სახელობით ბრუნვაში. გარდამავალ (მოქმედებითი გვარის) ზმნებთან ობიექტი დგას ხაყსაქსან (винительн.)-ში, გარდაუვალთან - მიცემითში, მაგ.: დაყოფე ყაათილხანը (ხაყსაქსან): შითესაქ ყაათილხანს (თრასაქსან):

მაგალითისთვის გამოვიყენებ ჟვანიას სკოლის B1+ -ის მსმენელის ტესტს.



**სურათი 10.** მოსწავლის ნამუშევარი

- შეცდომა: 1. **უმრავლესობა** კანონპროექტს მხარი დაუჭირა.  
 2. **საჯარო მოხელეების** პროტესტის ნიშნად სამსახური დატოვეს.  
 3. **ჩვენ საზოგადოების** ბევრი საინტერესო მოსაზრება აქვს ქვეყნის განვითარებასთან დაკავშირებით.  
 4. **მათი ინიციატივამ** ვერ მიიღო სათანადო მხარდაჭერა.

ზმნის დროის ფორმები, რა თქმა უნდა, არ არის მარტივად სასწავლი, თუმცა დროის გაგებაც შეიძლება ფორმულის სახით, წესად ჩამოვუყალიბოთ მსმენელებს. პრაქტიკოსი მასწავლებლებლის გამოცდილებამ აჩვენა, რომ ეს მეთოდი მეტწილად გამართლებულია.

მაგალითად:

1. (ახლანდელი დრო) ბავშვი ჭამს ხაჭაპურს.

S -ი სახელობით ბრუნვაში დგას, O -ი მიც. ბრუნვაში

2. (წარსული წყვეტილი) ბავშვმა შეჭამა ხაჭაპური.

S-ი მოთხრობით ბრუნვაში დგას, O-ი სახელობითში.

3. (მომავალი დრო) ბავშვი შეჭამს ხაჭაპურს.

S-ი სახელობით ბრუნვას მოითხოვს ახლანდელის მსგავსად და O-ი – მიცემითს.

სამიზნე ჯგუფებში ზმნის გარდამავლობაზე, მწკრივთა ფორმებზე და ქვემდებარის ბრუნვებზე ყურადღების გამახვილება საჭიროდ არ მიგვაჩნია და არც არის აუცილებელი. ყოველივე ეს მასწავლებლისა და ენის შემსწავლელის მხრიდან დიდ დროსა და ენერგიას მოითხოვს. როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, ამ მოცულობის თეორიას სწავლების საწყის ეტაპზე გამოვრიცხავთ, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ერგატივის და საზოგადოდ, თუნდაც რთული კონსტრუქციების სწავლებაზე უარი უნდა ვთქვათ. მსმენელებისა და ჩვენი მიზანი უნდა იყოს ის, რომ ენის შემსწავლელის ყური მიეჩვიოს ქართულ მეტყველებაში მოთხრობითბრუნვიანი კონსტრუქციის ჟღერადობას. აქედან გამომდინარე, აქცენტი უნდა გაკეთდეს მათ სმენით და მხედველობით მეხსიერებაზე.

მისაღები და გასათვალისწინებელია ზოგიერთი პრაქტიკოსი მასწავლებლის

რჩევა – არაქართულენოვანებს წარმოსათქმელად რთულ ბგერებზე მუშაობის პარალელურად შევთავაზოთ ისეთი წინადადებები, რომლებშიც გამოყენებული იქნება სახელები მოთხრობითი ბრუნვის ფორმებით, თუმცა გასათვალისწინებელია ის მომენტიც, რომ სომხურ ენაში, ქართულისგან განსხვავებით, არ არსებობს მხოლოდ „ყ“ ბგერა, მაგრამ მათ ამ ბგერების წარმოთქმაში მაინც სჭირდებათ ვარჯიში [გაბუნია, ... 2010: 34].

მაგალითად:

ს-კ — საათ-მა დარეკა, ბებია-მ სათვალე გაიკეთა...

ყ-ჩ — ბაყაყ-მა ისკუპა, დავით-მა ჩაი დალია...

ნ-წ — ნანა-მ გაკვეთილი ისწავლა, დათვ-მა დაიძინა...

ქ-ხ — ქეთო-მ ქუდი იყიდა, მაიმუნ-მა ხეზე დაიძინა...

შ-ტ — ეთერ-მა ტორტი გააკეთა, შოშია-მ ბუდე გაიკეთა, მზია-მ ბუშტი გაბერა...

ფ-ღ — ლევან-მა ფოთოლი დახატა, ძალღ-მა დაიყვანა, კატა-მ გაიღვიძა...

ც-ჭ — ციყვ-მა ფულუროში დაიძინა, ჭრიჭინა-მ იჭრიჭინა...



პ-ჟ — არჩილ-მა თოვლის პაპა გააკეთა, ჟუჟუნა-მ პომიდორი იყიდა...

ჯ-პ — ჯემალ-მა ჰამაკი მოიტანა, ჯარჯი-მ ჯობი იპოვა...

ამ ხერხის გამოყენებით, რამდენიმე პრაქტიკულ შედეგზე გავდივართ, მათ შორისაა მოთხრობითბრუნვიანი კონსტრუქციის ათვისებაც. პროცესს კიდევ უფრო ამარტივებს მასწავლებლის მიერ დასმული შეკითხვები და პასუხები: ვინ გაიკეთა სათვალე? –

ბებია-მ; რამ ისკუპა? – ბაყაყ-მა; ვინ დალია ჩაი? – დავით-მა; ვინ ისწავლა გაკვეთილი? – ნანა-მ; რამ გაიკეთა ბუდე? – შოშია-მ; ვინ იყიდა პომიდორი – ჟუჟუნა-მ და ა.შ. [კობიაშვილი, 2015:67 ].

პრაქტიკული თვალსაზრისით, ასევე მნიშვნელოვანია ნათესაობითი ბრუნვის სწავლების საკითხიც. ქართულში მისი ერთ-ერთი ფუნქცია კუთვნილების გამოხატვაა. სასწავლო პროცესში ნათესაობით ბრუნვაზე ყურადღების გამახვილება შეიძლება თავიდან, სწავლების საწყისი ეტაპიდანვე, თუნდაც მასწავლებლის მხრიდან გაცნობისა და წარდგენის დროს.

მაგალითად:

გამარჯობათ, მე ჟანა ვარ, თქვენი ქართული ენ-ის მასწავლებელი. დღეს წერ-ის გაკვეთილი გვაქვს... ამის შემდეგ, დასმული შეკითხვებით კიდევ უფრო ვამახვილეთ ყურადღებას ნათესაობითბრუნვიან სახელებზე და ნათესაობითი ბრუნვის თანდებულებზე: რა მქვია მე? მე ქართული ენ-ის მასწავლებელი ვარ? დღეს წერ-ის გაკვეთილი გვაქვს?

კუთვნილებითობის წინ წამოწევა, კონკრეტული სიტუაციების გათამაშება, ინფორმაციების მიწოდება საკუთარი თავის, საცხოვრებელი ადგილის, საქმიანობის, ასაკის შესახებ აადვილებს ნათესაობითი ბრუნვის შესწავლას და პრაქტიკაში გამოყენებას.

როგორც მოთხრობითი, ისე ნათესაობითი ბრუნვების სწავლების დროს გასათვალისწინებელია სახელის ფუძე: ხმოვანფუძიანი სახელები მოთხრობითსა და ნათესაობითში (სხვა ბრუნვის ფორმებზე ამჯერად არ ვსაუბრობთ) გამარტივებულ ბრუნვის ნიშნებს მოითხოვენ: მა -ს ნაცვლად — მ-ს და ის - ნაცვლად — ს-ს. შედარების თვალსაზრისით, კარგი იქნება, თუ სწავლების პროცესში წინადადებებში, დიალოგებში, სავარჯიშოებსა და მარტივ ტექსტებში მოთხრობითსა და ნათესაობით ბრუნვებში ხმოვანფუძიანი სახელების პარალელურად (უთო, დრო...ია, მზია, ლალი...)

გამოვიყენებთ თანხმომავანფუძიან სახელებსაც (წიგნი, უნივერსიტეტი, თამარი, ლევანი, მარიამი, მერაბი...), რადგან თანხმომავანფუძიანებში კარგადაა გარჩეული ბრუნვის ნიშნები [შარაშენიძე, ოძელი, 2011: 45].

მაგალითად, ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლაში, ქართულ ენაში მოსამზადებელი მოკლევადიანი პროგრამის ფარგლებში, ნათესაობითი ბრუნვის ფორმების სწავლება, პირველივე კვირიდან იწყება, მარტივი წინადადებების ასაგებად, თუმცა, გარკვეულ სირთულეებს ქმნის ის გარემოებაც, რომ სამცხე -ჯავახეთში არაქართველებს, ჩვენს შემთხვევაში სომხებს, შესასწავლ ენასთან ურთიერთობის თითქმის არანაირი გამოცდილება არ გააჩნიათ. პრაქტიკოსი მასწავლებლები დიდი გამოწვევის წინაშე დგებიან.

ნათესაობითის ფორმებიანი პირველი ტექსტი, რომლის მოსმენა, კითხვა და წერა უხდებათ დაწყებითი საფეხურის მსმენელებს, შემდეგია:

„ჩემი მეგობრის მამას გერმანული მანქანა ჰყავს, ის ჩემი ძმის მასწავლებელია, აფთიაქის მარჯვნივ ბანკია, ნინოს ძმა ჩემი მეგობარია, და ა.შ.

როგორც პრაქტიკამ აჩვენა, ბრუნვებთან ერთად უკეთესია თუ მსმენელებს, ამ ბრუნვის თანდებულებსაც ავუხსნით, რადგან თანდებულების გარეშე წინადადებების აგება (რომელიც მათ, ამ მოკლევადიან კურსების დროს ძალიან სჭირდებათ, რადგან მათ უწევთ თემების წერა და გამოცდაზე ამის საშუალებით თავიანთი კომპეტენციის დადასტურება. მინიმუმ 50-80 სიტყვიანი და, რასაკვირველია, მათ მოუწევთ ყველა ბრუნვის თანდებულის გამოყენება).

ნათესაობითი ბრუნვის თანდებული -თვის, რომელიც დანიშნულებას აღნიშნავს და სიტყვას ერთვის, სომხურში შეიძლება სხვადასხვაგვარად შეგვხვდეს. მაგალითად:

1. ფრანკს ცოლისთვის უნდა ეს კაბა.
2. ფრანკი იძულებული გახდა ცოლისთვის დაერეკა.

ორივე შემთხვევაში -თვის თანდებული დანიშნულებას გამოხატავს, თუმცა ამ წინადადებებს სომხურად თუ ვთარგმნით, პირველ შემთხვევაში

1. (წარსსსს აჟუ ცცსსსს სსსსსს სს სსსს ხსსსსს (ნათ. ბრუნვა და თანდებული):
2. წარსსსს ასსსსსსსს სს ცსსსსს სსსსსს (მიც. ბრუნვა, თანდებულის გარეშე):

-თვის სომხურშიც, ისევე როგორც ქართულში დანიშნულებას აღნიშნავს, ხოლო მეორე შემთხვევაში (ცოლისთვის უნდა დაერეკა) იცვლება თანდებული და თანაობას

აღნიშნავს. ანუ იგივეა, თუ ვიტყვით, ცოლს უნდა დაერეკა. ვერაფრით ვერ ვიტყვით აღნიშნული თანდებულებით, ამ შინაარსის წინადადებას - ცოლისთვის უნდა დაერეკა - სომხურად.

-კენ თანდებულები ქართულ ენაში ნათესაობით ბრუნვას დაერთვის და გამოხატავს მიმართულებას: სკოლ-ის-კენ, ქალაქ-ის-კენ... მისი სომხური შესატყვისია (դესაქი) თანდებულები. ისიც მიმართულებას გამოხატავს და განსხვავებით ქართულისაგან, მიცემით - հայցական ბრუნვაში მეოფ სახელს ახლავს: դესაქი თուն სკოლ-ის-კენ - Դեսაქի դպրոց, თქვენ-კენ - Ջեր կողմ: ანუ თქვენი მხრიდან; როგორც ქართულში, ასევე სომხურში თანდებულის ფუნქციაა გამოხატოს საგნის მდებარეობა, მიმართულება, მსგავსება და სხვა, ხოლო პარალელურ ფუნქციებზე დაკვირვება, სწავლების დროს სათანადო მაგალითების მოხმობა და სავარჯიშოებზე მუშაობა აადვილებს შესასწავლი მასალის აღქმას [ქირია, 2012: 115].

შემდეგი თანდებულები -გან, -გამო, მიმართ, გარდა, -ებრ (მსგავსებას აღნიშნავს), მიერ, შესახებ... შესაბამისი სავარჯიშოების, ტექსტების კითხვისა თუ მოსმენის საშუალებით შედარებით ადვილად ხდება ამ თანდებულების ათვისება.

მაგალითად:

1. დედაჩემისაგან მივიღე წერილი.
2. ავადმყოფობის გამო ვერ წავედი სკოლაში.
3. მასწავლებლის მიმართ დადებითად ვარ განწყობილი.
4. დირექტორის გარდა ყველა მოვიდა.
5. სახლისკენ გაემუրნენ პატარები.
6. მგლისებრ იქცევა ეს ძაღლი.
7. ნინოს მიერ შესრულებულმა დავალებამ მოწონება დაიმსახურა.
8. ამ ინფორმაციის შესახებ არაფერი გამიგია.

ეს წინადადებები ასე გამოითქმის სომხურად:

1. Մայրիկիցս նամակ ստացա: (ბრუნვის ნიშანშია ჩადებული თანდებულის აზრი)
2. Հիվանդության պատճառով դպրոց չգնացի:
3. Ուսուցչուհու(ս) նկատմամբ դրական եմ տրամադրված:
4. Բացի տնօրենից բոլորն եկան:
5. Երեխաները գնացին դեսաქի տուն:

6. აქა ჯიღრე გაყიქ აქა ზ ჰიქნ აყახიღ:

7. სქიღიქ კიღიქიგ კასიარაბ ათიღაღიქსიღრე ჰაქსანიღქიქსი აქიქსიღსაღსაღ:

8. სიქ თიღიქსაიღიქიქსი მასიქნი იქიქს ჯღნი ლსიქ:

რაც შეეხება, მოქმედებითა და ვითარებით ბრუნვებს, ისინი ბევრ ენაში არ არის წარმოდგენილი. მაგალითად, სომხურში მოქმედებითი ბრუნვა არის, მაგრამ არ არის ქართული ვითარებითის ტოლფასი ბრუნვა. შესაბამისად, ამ ბრუნვების ფორმათა სწავლება სასურველია მათი ძირითადი ფუნქციების გათვალისწინებით. მოსწავლეებს უნდა ავუხსნათ, რომ მოქმედებითი ბრუნვა აღნიშნავს საგანს, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება მოქმედება.

1. ჩანგლ-ით ვქამ.

2. ჭიქ-ით ვსვამ.

3. ბურთ-ით ვთამაშობ.

იგივე შინაარსი სომხურში შემდეგნაირად გადმოიცემა:

1. იღიღნი ჰნი აყსიარაბაღიქ:

2. იღიღნი ჰნი რაქსიქიქ:

3. იღიღნი ჰნი გიღიქსიქიქ:

ყურადღება უნდა გავამახვილოთ იმაზეც, რომ მოქმედებითი ბრუნვით ხდება დროის გამოხატვა: ზაფხულობ-ით, ზამთრობ-ით, დილი-თ...

თანდებულებიანი ფორმებიც პრაქტიკული მასალის საფუძველზე ისწავლება.

სასურველია, საწყის ეტაპზე ვასწავლოთ ადგილის, დროის და ვითარების გამოხატველი კონსტრუქციები:

1. ადგილის გამოხატვა: სამსახურ-ი-დან მოვიდა;

2. დროის გამოხატვა: დიღ-ი-დან დავიწყოთ;

3. ვითარების გამოხატვა: ყურადღებ-ით უსმენს.

შევადაროთ სომხურ ენას

1. ჯანსაყარჰნი ანიგნიღნი ზ ანიღიღიქიქ: - ადგილის გამოხატვა (ქანაპარინ ანცნუმე ანტაროვ.)

2. გიღსი მსიქ ანიღიქიქ: - დროის გამოხატვა (გნაც მეკ ამსოვ)

3. ლიღნი ზ იღიღიქიქსიარაბ - ეს მოქმედებითი გვარის განსხვავებული დაბოლოებაა (ლსუმე უმადრუთიამბ)

ეს ენობრივი მოდელებიც შემსწავლელს უნდა მივაწოდოთ ანალიზის გარეშე, უპირველესად, საკომუნიკაციო ფრაზებში დიალოგების ასაგებად.

- გამარჯობა, ნანას სთხოვეთ.
- არ გახლავთ, სკოლაშია.
- მალე მოვა სკოლიდან?
- სამ საათზე.

სასურველია, რომ ყველა დიალოგი (მით უფრო, თუკი მასში ახალი ენობრივი მოდელია გამოყენებული) გათამაშდეს წყვილებში ან ჯგუფებში (მელიქიძე, 2006: 73).

აღსანიშნავია მოქმედებითი ბრუნვის ფორმის -ურთ თანდებულებიც, მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე ქართულ სასაუბრო ენაში იგი არც ისე ხშირად გამოიყენება, ტექსტებში მაინც ხვდებით მსმენელებს, და მასწავლებელს მისი ახსნა მაინც მოუწევს. ურთ თანდებულებიც თანაობას აღნიშნავს თან-ის მსგავსად. მაგალითად: ნინო სახლში მეგობრითურთ მოვიდა. მისი წარმოება დიდ სიძნელებებს არ წარმოქმნის, ყურადღების გამახვილება გვიწევს იმაზეც, რომ სიტყვა მეგობარი იკუმშება ანუ სიტყვის შუაში ა ხმოვანი იკარგება. სომხურში ეს წინადადება ასე იქნება. 1. Նինոն տուն եկավ ընկերուց հետ:

ოჯახითურთ - ընտանյուք հանդերձ

ამგვარადვე უნდა გავითვალისწინოთ ვითარებითი ბრუნვის ფუნქციები და მათ შორის პირველ ეტაპზე ვასწავლოთ შემდეგი კონსტრუქციები (ანალიზის გარეშე):

1. მდგომარეობის აღნიშვნა: ავ-ად არის;
2. ვითარების გამოხატვა: ჩუმ-ად ზის. ცუდ-ად იქცევა;
3. მიზნის გამოხატვა: სამუშაო-დ წავიდა;
4. საქმიანობის აღნიშვნა: მასწავლებელ-ად მუშაობს;

შევადაროთ სომხურს, სადაც ბრუნვების თანხვედრა არ ხდება:

1. հիվանդ
2. լուռ
3. աշխատանքի
4. որպես ուսուցիչ

ენის შემსწავლელებს უნდა გავაგებინოთ, რომ კითხვაზე როგორ? ქართულ ენაში მეტწილად - „ად – ბოლოსართიანი (ვითარებითი ბრუნვისნიშნისანი) სახელები პასუხობენ (როგორ ხარ?– კარგ-ად, ცუდ-ად...).

– მდე თანდებულნი ფორმებს პირველ რიგში მხოლოდ ორი ფუნქციით მივაწოდებთ:

1. ადგილის აღნიშვნა: თბილისა-მდე, სკოლა-მდე.

2. დროის აღნიშვნა: საღამო-მდე;

შევადართ სომხურს ენას:

1. აქსჯს მძიქიქსი, აქსჯს იყიიი

2. აქსჯს ხრხკი, აქსჯ ხრხკი

რაც შეეხება წოდებით ბრუნვას, მას არ გააჩნია თანდებული. აქ მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ ამ ფორმის სწავლებისას აუცილებელია ყურადღების გამახვილება მის სპეციფიკურ ბუნებაზე, კერძოდ, იგი ცალკე დგას და მისი ფუნქცია მიმართვის როლით შემოიფარგლება: თუმცა, წოდებითი ბრუნვის ხმარებისას არაქართველები, კერძოდ სომხები, ხშირად უშვებენ შეცდომას. კერძოდ, მიმართვის ფორმას ანუ წოდებით ბრუნვას იყენებენ მესამე პირზე საუბრისას.

მაგალითად:

1. ქალბატონო თამარს სთხოვეთ!

2. ქალბატონო ნინომ უთხრა.

3. ბატონო ნუგზარი მოვიდა .

4. ქალბატონო თამარს მივმართე თხოვნით და ა.შ.

მოსწავლეები მათ შეცდომებს ასე ხსნიან, რომ ესმით წოდებითი ბრუნვის დანიშნულება, თუმცა საუბრისას უნებლიეთ მოსდით შეცდომა, ვფიქრობ, რეალურად მშობლიური ენის გავლენაა მიზეზი. პრაქტიკოსი მასწავლებლები ცდილობენ, დიალოგებით მიაწოდონ მსმენელებს ეს ფორმა, მეტი სიმარტივისთვის.

მაგ:

1. შვილო, ის წიგნი მომიტანე!

2. ძმაო, სად მიდიხარ?

3. მეგობარო, ტაბიძის ქუჩას ვერ მიმასწავლი?

თუ ამჯერადაც პარალელებს მივმართავთ, უნდა აღვნიშნოს, რომ წოდებითი ბრუნვა სომხურ ენაში არ არის, სომხურში მიმართვის ფორმა სახელობითი:

კერძოდ, ზემოთ მოყვანილი წინადადებები სომხურ ენაში ასეთ ფორმას მიიღებს:

სომხურში:

1. ირქია, აქნა ცხიქუ ქერ:
2. ზიქაქი, n<sup>o</sup> იქ ხა ცნიოქ:
3. ცნიქერ, სიქიქერნი სქიქერნი დანიასაქიქ:

წოდებითი ბრუნვის ნიშანი ორი სახით გვხვდება; თანხმოდანფუძიანებთან გვაქვს -ო (კაც-ო, ქალ-ო, მეგობარ-ო...), ხოლო ხმოდანფუძიანებთან -ვ (დედა-ვ, სტუდენტობა-ვ...). ზოგ ერთ და ორმარცვლიან ხმოდანფუძიან სახელებში ბუნებრივია -ო დაბოლოება: და-ო, მზე-ო, დედა-ო... მოსწავლისთვის სირთულეს წარმოადგენს ონომასტიკური სახელების წოდებითიც: ტოპონიმებს წოდებითის ნიშანი დაერთვის (თბილისო, მტკვარო ზარზმავ,... მაგრამ რაც შეეხება პირთა საკუთარ სახელებს (ანთროპონიმებს), მათ წოდებითში ნიშანი არ დაერთვის და ისინი ფუძის ფორმას იყენებენ.

წარმოდგენილი მასალა ქართულ-სომხური ბრუნების შეპირისპირებითი პრაქტიკის მხოლოდ ნაწილია.

ცხადია, ამ შემთხვევაშიც მრავალი სირთულე იქნეს თავს, მაგრამ მთავარი ისაა, რომ სწავლების პროცესი ორიენტირებული იყოს პრაქტიკული ცოდნისა და შესაბამისად, აუცილებელი სამეტყველო უნარ-ჩვევების დაუფლებაზე.

ჩვენი სინამდვილე ქართული ენის არაქართულენოვანი პირებისათვის სწავლების თვალსაზრისით სპეციფიკურია (თუმცა არა ერთადერთი თანამედროვე პოსტსაბჭოთა სივრცისათვის); საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, სხვა საბჭოთა რესპუბლიკების მსგავსად, საქართველო აღმოჩნდა დილემის წინაშე – მისი მოქალაქეების გარკვეული ნაწილი, საბჭოთა რუსიფიკაციული პოლიტიკისა და რესპუბლიკათა დამოუკიდებლობის შეზღუდვის რეჟიმის პირობებში, საქართველოს კონსტიტუციის მერვე მუხლით განსაზღვრული უმთავრესი მოთხოვნის (რომ საქართველოს სახელმწიფო ენა არის ქართული) მიუხედავად, არ ფლობდა ქართულს, რადგან ეთნიკური ჯგუფების თავმოყრის ადგილებში სკოლები მუშაობდნენ ან რუსულად, ან ეთნიკური ჯგუფის ენაზე; [კაჭკაჭიშვილი, 2006]

ენის სწავლების გზაზე (ჩვენ შემთხვევაში, სომხების მიერ ქართულის შესწავლისას) ცოდნის ხარისხის დასადგენად წერისა და ზეპირის დროს ცალკე შეფასებას მიმართავენ; ზეპირი ექსპრესიული მეტყველების შეფასებისას მნიშვნელობა ენიჭება:

- ფრაზების რაოდენობას,

- ფონეტიკის,
- ლექსიკის,
- გრამატიკის სისწორეს.

თუმცა პრაქტიკაში, ხშირად დაშვებული შეცდომების რაოდენობა მიიჩნევა უცხო ენის ფლობის უმთავრეს მაჩვენებლად. შესაბამისად, განათლების სისტემის გადასახედიდან, კომუნიკაციის დროს გაგებინების ხარისხი შეიძლება დაჩრდილოს დაშვებული შეცდომების სიუხვემ.

„უცხო ენის სწავლებაზე“ საუბრისას ვითვალისწინებთ, რომ ქართული, საქართველოს სახელმწიფო ენა, საქართველოს მოქალაქისათვის არ შეიძლება „უცხო ენად“ იყოს განხილული. მაგრამ ეს ოფიციალური ტერმინოლოგიური ასპექტი გახლავთ, რეალურ ცხოვრებაში კი ახალციხის ან ახალქალაქის რაიონის სომეხი მოსახლეობის უდიდესი ნაწილისათვის ქართული ჯერჯერობით სრულიად უცხოა... ამიტომ ამ კონტინგენტისათვის ქართულის სწავლების პროცესი მეთოდოლოგიურად ძალიან ჰგავს ჩვეულებრივი „უცხო ენის“ სწავლებას [ტაბიძე, 2010: 192-206]. უნდა ითქვას, რომ ეს ფაქტი, უაღრესად გულსატკენი სამოქალაქო ჰარმონიისა და პოლიტიკური თვალსაზრისით, გარკვეულად, ამსუბუქებს ენის სწავლებისას მეთოდოლოგიურ სიძნელეებს, რადგან ზოგ შემთხვევაში უცხო ენათა სწავლებაში დანერგილი ის მეთოდოლოგია, რომელიც დიდი ტრადიციებისა და გამოცდილების საფუძველზეა შემოწმებული და შერჩეული, საქმეს უადვილებს პედაგოგებსაც და თეორეტიკოს მეთოდისტებსაც. ვფიქრობთ, გამართლებულია მოსწავლეთა (ამ შემთხვევაში არა აქვს მნიშვნელობა, მოსწავლის ასაკს) მიერ ენის ათვისებაზე დაკვირვება წარმართოს რამდენიმე მიმართულებით:

ამ ბოლო დროს ენის სწავლების პრაქტიკაში დიდი ყურადღება ეთმობა პედაგოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტების ერთმანეთთან შეჯერებას.

ფსიქოლოგიის სფეროდანაა ისეთი საკითხები, როგორცაა: მეხსიერება, აღქმის უნარი, მეტყველების უნარი, ადამიანის პიროვნული სამეტყველო ქცევის თავისებურებები, ზოგადი კომუნიკაბელურობა; ამ გზით დგინდება სწავლების მეთოდები, რომელთაგან პირველია – ზეპირი სამეტყველო ენის სწავლება ბუნებრივ მდგომარეობაში; ამ მეთოდიკით პირველი დონე ფონეტიკური ერთეულებია, შემდეგი – ლექსიკა და უფრო მაღალი საფეხური – ფრაზები... ამ დროს მთავარი ამოცანა გაგებინებაა... მცდარი ფორმის გასწორება მხოლოდ მაგალითის დონეზე



ხდება; შეცდომის მიზეზის ახსნა და სწორი ფორმის სწავლება–დასაბუთება კი ქართული ენის ტრადიციულ გაკვეთილზე უნდა მოხდეს.

უნდა აღინიშნოს, რომ ამჟამად არსებობს მრავალი ნაშრომი (მათ შორის სადისერტაციო კვლევები და მეთოდოლოგიური ხასიათის მონოგრაფიები), რომლებშიც განხილულია ტიპობრივი შეცდომები შესასწავლი ენის ათვისების გზაზე; ეს საკითხიც არ შეიძლება მხოლმხოლოდ განზოგადებულად განვიხილოთ, რადგან შესასწავლ ენაში დაშვებული შეცდომები ძირითადად დედაენის სისტემური თავისებურებებითაა განპირობებული[გაბუნია,2010:78].

ამ ნაშრომებში ძირითადად ყურადღებაა გამახვილებული მშობლიური ენის ინტერფერენციულ გავლენაზე შესასწავლი ენის სტრუქტურულ (და ხშირ შემთხვევაში) სემანტიკურ–კონოტაციურ) შეცდომებზე. არის ცდები, შედგეს შეცდომათა ტიპოლოგიური ნუსხები, რომლებშიც გათვალისწინებული იქნება შეცდომათა გამოვლინების ყველა კატეგორია (ტიპურობა, სიხშირე, მდგრადობა); მასწავლებლის საბოლოო და მთავარი მიზანი სწორედ ამ შეცდომათა მინიმუმამდე დაყვანაა [ტაბიძე, 2008: 294-304]. მოსწავლის მეტყველება (ზეპირი) ორ მდგომარეობაში უნდა იქნეს შესწავლილი: მონოლოგურსა და დიალოგურში. ჩვეულებრივ უფრო მეტი ნაშრომი მონოლოგურ მეტყველებას ეძღვნება, თუმცა აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ მაჩვენებელი ამ ორ კატეგორიას სხვადასხვა აქვს. მონოლოგური ტექსტი, როგორც წესი, უფრო გააზრებული და კონტროლირებულია მოლაპარაკის მიერ, ვიდრე დიალოგური, რომელსაც მეორე კომუნიკანტის (კომუნიკანტების) გავლენაცა და სამეტყველო აქტის ტემპიც სამეტყველო რესურსების გამოყენებასთან დაკავშირებით სხვა ტიპის გადაწყვეტილებებისაკენ უბიძგებს, ვიდრე მონოლოგის შემთხვევაში. „შეცდომათა ანალიზის“ მეთოდს („error analysis“) დიდი ყურადღება ეთმობა უცხოელ ავტორებთან (S. P. Corder [324]; E. Haugen [331]; G. Helbig [333]; C. James [338]; W. Nemser [345]; G. Nickel [346]; J. C. Richards [348; 349; 350]). ამ ავტორთა უმრავლესობას მიაჩნია, რომ შეცდომებს აქვს რეგულარული, სისტემური ხასიათი და მოსწავლის ცნობიერებაში უკვე ჩამოყალიბებული მყარი სურათისაგან განსხვავებული ფაქტორების (ეს ფაქტორებია სხვა ენობრივი სისტემისა და სამყაროს სხვა ენობრივი სურათის ცდომილებები ენობრივი შეხვედრების დროს) ზემოქმედებისას ვლინდება.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ შეცდომათა ანალიზი საშუალებას იძლევა დადგინდეს ობიექტური სიძნელეები და კანონიზომიერებები სწავლების კონკრეტული ვარიანტის შემთხვევაში; ამ გზით კი სწავლების რეალისტური მიზნების დასახვა მოხერხდება.

როდესაც ენის სწავლების მოკლე კურსი მუშავდება, შეცდომათა საგანგებო ანალიზის დრო ნაკლებია, მაგრამ სკოლაში, სადაც მოსწავლის მიერ ენის ასათვისებლად გამოყოფილი დრო დიდია, საგანგებოდაა დასამუშავებელი ტიპობრივი შეცდომები.

ჩვენ მაგალითისთვის წარმოვადგენთ ერთ-ერთ ტექსტს, რომელშიც თვალსაჩინოდაა მოცემული, სომეხი მოსწავლისათვის (მე-10 კლასელის 16 წლის არტურ ირიციანის) სრულიად ტიპობრივი რამდენიმე შეცდომა ქართული ტექსტის შევსების დროს.

როგორც მოსალოდნელი იყო, პრობლემა შექმნა მოთხრობითმა ბრუნვამ წარსული დროის, წყვეტილის ფორმამ. მაგალითად მოვიყვანე ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის მსმენელთა ტესტები. ასაკი 17-18 წელი.

„მამაჩემმა ევროპაში მოგზაურობდა...“

„არტურმა სწავლობდა ადმინისტრირების სკოლაში“

სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა  
ახალქალაქის რეგიონული სასწავლო ცენტრი

6. გადაიყვანეთ წინადადება წარსულ დროში

ნიმუში: ბავშვები სკოლის ეზოში თამაშობენ / ბავშვები სკოლის ეზოში თამაშობდნენ.

1) მამაჩემი ევროპაში მოგზაურობს.

მამაჩემი ევროპაში (იმოგზაურა) მოგზაურობდა

2) ყოველ დღით მიკროავტობუსით ვმგზავრობ..

ყოველ დღით მიკროავტობუსით ვმგზავრობდი

3) არტური სწავლობს ადმინისტრირების სკოლაში.

არტური სწავლობდა ადმინისტრირების სკოლაში

4) კონცერტზე წითელ კაბას ვიცვამ.

კონცერტზე წითელ კაბას ვიცვამდი

5) საუზმეზე ვჭამ ხაჭაპურს და ვსვამ ჩაის.

საუზმეზე ვჭამ ხაჭაპურს და ვსვამდი ჩაი.

7. უპასუხეთ ნიმუშის მიხედვით:

3.

ეს მოსწავლე ზარმაცია?

არა, ეს მოსწავლე შრომისმოყვარეა.

1) აშოტი ყურადღებიანი მსმენელია?

დიახ, აშოტი ყურადღებიანი მსმენელია

2) ამ აუდიტორიის ქვემოთ არის სპორტდარბაზი?

არა, ამ აუდიტორიის ზემოთ არის სპორტდარბაზი

3) ნუნეს ბიძაშვილი საზღვარგარეთ ცხოვრობს?

დიახ, ნუნეს ბიძაშვილი საზღვარგარეთ ცხოვრობს

4) გამგებლის კაბინეტი მარჯვნივაა?

არა, გამგებლის კაბინეტი მარცხნივაა

5) თქვენი სახლიდან სამსახურამდე ვიწრო ქუჩაა?

არა, სახლიდან სამსახურამდე ვიწრო ქუჩაა

5

8. დაწერეთ ტექსტი – „ახალქალაქი“

სურათი 11. მოსწავლის ნამუშევარი

სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა  
ახალქალაქის რეგიონული სასწავლო ცენტრი

6. გადაიყვანეთ წინადადება წარსულ დროში

ნიმუში: ბავშვები სკოლის ეზოში თამაშობენ / ბავშვები სკოლის ეზოში  
თამაშობდნენ.

1) მამაჩემი ევროპაში მოგზაურობს.

ჩემამამამ ევროპაში მოგზაურობდა.

2) ყოველ დილით მიკროავტობუსით ვმგზავრობ..

ყველა დღით მიკროავტობუსით ვმგზავრობდი.

3) არტური სწავლობს ადმინისტრირების სკოლაში.

არტურმა სწავლობდა ადმინისტრირების სკოლაში.

4) კონცერტზე წითელ კაბას ვიცვამ.

ყველა კონცერტზე წითელი კაბა ვიცვამდი.

5) საუზმეზე ვჭამ ხაჭაპურს და ვსვამ ჩაის.

ყველა საუზმეზე ვჭამდი ხაჭაპურს და ვსვამდი ჩაი.

7. უპასუხეთ ნიმუშის მიხედვით:

ეს მოსწავლე ზარმაცია?

არა, ეს მოსწავლე შრომისმოყვარეა.

1) აშოტი ყურადღებიანი მსმენელია?

დიახ, აშოტი ყურადღებიანი მსმენელია.

2) ამ აუდიტორიის ქვემოთ არის სპორტდარბაზი?

არა, ამ აუდიტორიის ქვემოთ არის ყაფი.

3) ნუნეს ბიძაშვილი საზღვარგარეთ ცხოვრობს?

დიახ, ნუნეს ბიძაშვილი საზღვარგარეთ ცხოვრობს.

4) გამგებლის კაბინეტი მარჯვნივაა?


არა, გამგებლის კაბინეტი მარცხენაა.

5) თქვენი სახლიდან სამსახურამდე ვიწრო ქუჩაა?

არა, ჩვენი სახლიდან სამსახურამდე ვიწრო ქუჩაა.

8. დაწერეთ ტექსტი – „ახალქალაქი“

სურათი 12. მოსწავლის ნამუშევარი



**სურათი 13. მოსწავლის ნამუშევარი**

შეცდომებია:

1. წითელი კაბა ვიცვამდი;
2. არტურმა სწავლობდა ადმინისტრირების სკოლაში;
3. მამაჩემმა ევროპაში მოგზაურობდა;
4. ჩემი მოწინააღმდეგემ ყურადღება სატელევიზიო სიუჟეტზე გადაიტანა;
5. ნამდვილი მოქალაქეს კარგად იცის;
6. ძველი მონადირე საოცარი რამ მიაშო;
7. უშვილო ცოლ-ქმარი პატარა გიორგი ბავშვთა სახლიდან წამოიყვანა.
8. ჩვენს გამგებელს გუშინ ოფიციალური სხდომა დანიშნა.
9. თქვენი უბნის ამომრჩეველს ასეთი გადაწყვეტილება მიიღო.
10. პროდუქტის გამყიდველი 4 კილოგრამი პომიდორი ამიწონა.
11. პრეზიდენტის მრჩეველის შესავალ სიტყვაში საქართველოში შექმნილ სიტუაციაზე გაამახვილა ყურადღება;
12. გამომსვლელი დიდხანს ისაუბრა ევროკომისიის რეკომენდაციებზე.
13. ამ უვადო ხელშეკრულებას შესაძლებელია მნიშვნელოვანი პრობლემა მოხსნას;
14. ჩემ წინ ფორმიანი პოლიციელი გადაირბინა.

15. რა უნდა ქნას უფულო კაცი;
16. ასეთი შედეგი ჩემმა დაბნეულობა გამოიწვია.
17. გიორგის წიგნიერებით გამაკვირვა;
18. ორი თვის წინ სვანეთში ვიყავი და ბუნების მშვენიერებამ ვისიამოვნე.
19. ასეთი შედეგი ჩემი დაბნეულობა გამოიწვია.
20. გიორგის წესიერებით გამაკვირვა.
21. ქვეყნის ძლიერება მისი ეკონომიკა განსაზღვრავს.

## თავი IV

### სომხურენოვანი ლიტერატურული პერსონაჟი, როგორც „ენობრივი პიროვნება“

ე.წ. ანთროპოცენტრული ლიტერატურის ერთ-ერთი საინტერესო სფეროა ლიტერატურული პერსონაჟი, როგორც „ენობრივი პიროვნება“, ხოლო ამ კუთხით ნაციონალურ უმცირესობათა მეტყველებითი სპეციფიკა მრავალმხრივ შეიძლება შევისწავლოთ. ჩვენ ამჯერად დავაკვირდით სომეხი პერსონაჟების სამეტყველო თავისებურებებს ქართულ მწერლობაში.

სპეციალისტები ჩვეულებრივ ლიტერატურული ნაწარმოების ანალიზის დროს ორ სახეს გამოყოფენ: ა) ლიტერატურულს ლიტერატურული პერსონაჟის სახე); და სამეტყველოს (ენის გამომსახველობითი თავისებურებები).

ენობრივი პიროვნების დახასიათების დროს, ცხადია, პირობითობის ხარისხი დიდია. ლიტერატურული პერსონაჟის ლექსიკონი, სიტყვის მარაგი, სამეტყველო დიაპაზონი, ლექსიკის „ხარისხი“ მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა ამ პერსონაჟის ხასიათის, სინამდვილისადმი დამოკიდებულების, სოციალური კუთვნილების, გემოვნების, პრიორიტეტებისა და სხვ. მონაცემთა შესახებ [თურქია, 2003: 34-35].

ამ მხრივ, მწერლები აქტიურად იყენებენ პერსონაჟის მეტყველებაში სლენგს, ნასესხობებს, დიალექტიზმებს, ტროპულ საშუალებებს, ინტელექტუალიზმებსა და სხვ. ლექსიკა–ფრაზეოლოგიასა და გრამატიკულ „ვარიაციებს“. თუმცა, როგორც მიუთითებენ ლექსიკონი მაინც დამხმარე საშუალებაა და არა უმთავრესი ნიშანი გმირის ამოსაცნობად. ძირითადი დატვირთვა მოდის ე.წ. საკვანძო სიტყვებზე და იმაზე, თუ: 1. რამდენად ხშირად იყენებს ამ სიტყვებს პერსონაჟი; 2. რამდენად მნიშვნელოვანი სახასიათო სცენა ვითარდება თეზაურუსისა და ლექსიკონის გადაკვეთისას.

როგორც აღნიშნავენ, მწერალი პერსონაჟის ლექსიკონსა და გრამატიკონს მისი თეზაურუსის შესადგენად იყენებს, ამ გზით კი ბოლოს პრაგმატიკაზე გადის და ენობრივი პერსონაჟის „სიღრმისეულ ფენებამდე“ აღწევს [თურქია, 2019].

მწერლები ხშირად მიმართავენ უცხოელთა მეტყველების გადმოცემის გზით პერსონაჟის ხასიათის ან მოქმედების ატმოსფეროს წარმოჩენას. ამ ხერხებს შორისაა ე.წ. კონტამინირებული მეტყველება, როდესაც ორი ენის თავისებურებებია ერთმანეთში შერეული.

ჩვენი ყურადღება ამ საკითხმა მიიპყრო იმით, რომ დღეს სომხების ქართულში არსებული ენობრივი შეცდომები ზოგჯერ მხოლოდ მეთოდის ნაკლად განიხილება და არა ენათა სტრუქტურული განსხვავებით. სწორედ ამიტომაც მოვიხმეთ ქართულ მწერლობაში სომეხი პერსონაჟების (ცხადია, არა მარტო სომხების) მეტყველებაში ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნეში შემჩნეული სპეციფიკური ცთომილებები.

კონტამინირებულ მეტყველებად განიხილება არა მარტო უცხოელთა მეტყველება, არამედ ისეთი შემთხვევებიც, როგორცაა: ბავშვის ენა, დეფექტური მეტყველება (ენაბლუობა, გაუმართავი მეტყველება, „დამტვრეული ლაპარაკი“, ენის მოჩლექა, ფონეტიკური დამახინჯებები და ა.შ.). ამ გზით ხშირად პერსონაჟის ინდივიდუალურობის ხაზგასმაც ხდება [ტაბიძე, 1999: 71].

პერსონაჟის მეტყველების ინდივიდუალური თავისებურებები ხშირად განზოგადების საშუალებასაც იძლევა.

სტილიზაცია, პაროდია, კონტამინაცია, ილიტერატები (ბგერები, რომელთა გადმოცემა წერისას ვერ ხერხდება. მაგ/. ამოხვრა, მთქნარება...), იდიოლექტი, კოლორიტი, ხმაბაძვითობა...

მწერლები ხშირად მიმართავენ **ეგზოტიზმებსა და ბარბარიზმებს** უცხოელთა მეტყველებაში; ასეთ შემთხვევაში ნაწარმოების სტილისტიკური ხაზის განმაპირობებელიც კი შეიძლება იყოს უცხოენოვანი სიტყვების ან კონსტრუქციების ჩართვა ტექსტში პერსონაჟის მეტყველების მაგალითზე. ხშირია ტრანსლიტერირების მაგალითების გამოყენების შემთხვევებიც. ასევე ხშირია ენობრივი ნორმის დარღვევის ასეთი მკაფიოდ გამოხატული დემონსტრირება ე.წ. უცხოტომური სიტყვებითა და ფორმებით ენათა შერევის საშუალებით იქმნება განსაკუთრებული ატმოსფერო, რომელიც ან ძაბავ, ან პირიქით, განტვირთავს (უფრო ხშირად!) ვითარებას და მეტწილად, კომიკურობას სძენს სიტუაციას; თუმცა არის შემთხვევები, როდესაც უცხოენობრივი ჩანართები საკუთარ ენასთან შედარებით უცხო ენის უპირატესობისა და პრესტიჟულობის გაცნობიერებულ ან გაუცნობიერებელ აღიარებასაც ნიშნავს (ასეთ მაგალითებად შეიძლება დავასახელოთ მეცხრამეტე



საუკუნის რუსულ ლიტერატურაში ფრანგულად მოსაუბრე არისტოკრატია, რომელიც ამის პარალელურად საფრანგეთთან ომის მდგომარეობაშია (მაგ. ნაპოლეონთან ომი ტოლსტოის „ომსა და მშვიდობაში“, ან ქართველი თავადობის რუსულად საუბარი და რუსულ–ფრანგული ჩანართები რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის ფონზე [ნაჭყებია..., 2014: 449-452]).

უცხო სიტყვის ან უცხო ფორმის გამოყენება მხატვრულ ტექსტში, შეიძლება ითქვას, პოლიფუნქციურია და მიანიშნებს:

- ა) პერსონაჟის სოციალურ, კლასობრივ კუთვნილებაზე;
- ბ) პერსონაჟის ამა თუ იმ ხელობის, პროფესიის წარმომადგენლობაზე.
- გ) პერსონაჟის განათლების ხარისხზე;

დ) მიმღებ ენაში უცხოტომელი პერსონაჟის მეტყველების შესახებ არსებულ სტერეოტიპებსა, და ამ მხრივ ჩამოყალიბებულ კლიშეებზე; ეს კლიშეები გარკვეული პრინციპით შეიძლება დაჯგუფდეს (რეფრენები, შორისდებულები, მოფერებითი ან სალანძღავი ფორმულები და სხვ.

სახელთა ბრუნების ტიპოლოგიაზე საუბრისას აუცილებლად უნდა შევჩერდეთ სომხურ ანთროპონიმთა მოქართულების საკითხზეც, რომელიც ერთ-ერთი საინტერესო მაგალითია სახელთა ბრუნების შესწავლის თვალსაზრისით. ქართულში არის სომხური პირთა სახელების ტიპობრივი ნუსხა, რომელიც პოპულარულია საქართველოში მცხოვრები სომხებისათვის. როგორც თითქმის ყველა ენაში, ქართულშიც პირთა სახელების განზოგადების მეშვეობით ხდება ხოლმე სხვადასხვა ეროვნების ან სხვადასხვა კუთხის წარმომადგენლის მოხსენიება [ტაბიძე, 2017: 45]. (გავიხსენოთ: რუსი– ივანუშკა/მარფუშკა, ამერიკელი – ჯონი, აზერბაიჯანელი – მამედა, სომეხი – სეროჟა და ხაჩიკა/ სირანა (სირანუშა), კახელი მიხო, მეგრელი ძუკუ, ქუთაისელი ჭიჭიკო და ა.შ.);

საინტერესოა, რომ ქალთა სახელები სომხურში მრავალფეროვანი არაა, როგორც სპეციალისტები მიუთითებენ, ისტორიულად, სომეხ ქალს საზოგადოებაში პასიური როლი ჰქონდა, რის გამოც მას ხშირად იხსენიებდნენ, როგორც „ნერშპუხ არცრუნის ცოლს“, ბდეშხა აშუშის მეუღლეს“, ან „ლადიშოს დედას“, ათომ გუნის დედას“ და ა.შ.

თარგმანებში –უპი, –ი, –ეცი, –აცი დაბოლოებების მქონე სომხურ პირთა სახელებს ქართული ხშირად ი ხმოვანს მოთხრობითა და მიცემითში აცილებს, რამდენადაც მას სახელობითი ბრუნვის – ი ნიშნის ტოლფასად მიიჩნევს.

სომხური ენის ბგერითი სისტემის ქართულ ენაზე ტრანსკრიფცია-ტრანსლიტერაციის სახელმძღვანელო წესები, რომელიც მიღებულია სახელმწიფო ენის ექსპერტთა კომისიის 2019 წლის 6 დეკემბრის სხდომაზე (ოქმი №9) ადგენს სომხური ანთროპონიმების ქართულად ჩაწერის ნორმას სომხური პირთა სახელების დაბოლოებათა გათვალისწინებით: Աշոտ - (Ashot) - აშოტ-ი, Արմեն - (Armen) - არმენ-ი, Մինաս - (Minas) - მინას-ი, Բարսեղ - (Barseg) - ბარსელ-ი, Բագրատ - (Bagrat) - ბაგრატ-ი, Աբգար - (Abgar) - აბგარ-ი, Աբրահամ - (Abraham) - აბრაჰამ-ი, Բեկ-Հովսեփյան - (Bek-hovsefian) - ბეკ-ჰოვსეფიან-ი, Մելիքսեթ-Բեկ//Մելիքսեթ-Բեկ - (Meliksetbeg//meliksetbek) - მელიქსეთ-ბეგ-ი//მელიქსეთ-ბეკ-ი, Գրիգոր - (Grigor) - გრიგორ-ი, Գուրգեն - (Gurgen) - გურგენ-ი, Բագրատ - (Bagrat) - ბაგრატ-ი, Թորգոմ - (Torgom) - თორგომ-ი, Սարգիս - (Sargis) - სარგის-ი, Գևորգ - (Gevorg) - გევორგ-ი, Սարգիսյան - (Sargisian) - სარგისიან-ი და ა.შ.

თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ წერილობითი ნორმისაგან განსხვავებით, ქართულ ზეპირმეტყველებაში გევორგი გეურქაა, სარგისი – სარქისი//სარქისა და ა.შ. ქართულში სომხურ სახელებს ქართული კნინობითური „-ა“-ც ხშირად ემატება და მსგავსად ქართული სახელებისა (გოგია, გრიგოლა, ვანუა, თენგიზა და სხვ.) სომხური სახელებიც ასე იწარმოება: სარქისა, მიკირტუმა, გასპარა და ა.შ. ამ შემთხვევაში ამ სახელების ბრუნება ქართული ხმოვანფუძიანი საკუთარი სახელების ყალიბს იმეორებს (ვახტანგამ, ვახტანგას...) სომხ. გეურქამ, გეურქას...

ამით იმის თქმა გვსურს, რომ ზეპირმეტყველებაში სომხური ანთროპონიმები მნიშვნელოვან ფონეტიკურ და მორფოლოგიურ ცვლილებებს განიცდიან. თუმცა წოდებითში ხშირად ქართველები ამოკვეცილ ფორმებს იყენებენ: გეურქ, ტიგრან, აშოტ და ა.შ.

პერსონაჟთა სახელდება განსაკუთრებულ სტილისტიკურ კატეგორიად მიიჩნევა და ქართველი მწერლების მიერ სხვადასხვა მიზნის მისაღწევად გამოიყენება;

### **სახელობითი ბრუნვა:**

კარაპეტა: „ასე მიყურებენ, ანბობენ თუ საწყალი კარაპეტ, ის კი არა თუ კარაპეტა მეფეა.“ (სახელობითი ბრუნვის ნიშნის გამოტოვება)

კარაპეტა: „სულელო! სიცხემ გაწყენს. ეგ ლოყამ წაგიხდება.“ (მოთხრობითი სახელობითის ნაცვლად)

„იმიტომა ხარ ლამაზი შენცა და ჩემი ხამფერაც, რომ პური სჭამთ.“ (სახელობითი მიცემითის ნაცვლად; და აქვეა რიცხვში შეუთავსებლობაც: „ხარ ლამაზი შენცა და ჩემი ხამფერაც“)

კარაპეტა: „მიხვალ სახლში, სულ იუროპიულათ ნაქნარია: ეკიპაჟი, პოვარ, ლაქეი.“ (ფუძე, სახ. ბრ. ნიშნის გარეშე).

კარაპეტა: „მაგრამ რისა მეშინია? ტანბაჩა შიგა ძევს... აბა ერთი ქურდი ხელი ახლოს... დინგ, გავარდა, ქურდი მოკვდა.“ (სახელობითი მიცემითის ნაცვლად).

კარაპეტა: „ქართველი... რა კაცია, ჩემი წაღებს მივცემ, რომ ჩაიცვას?! ... ქართველი ფულის მტერია, ნიმუტი ფული არ დააყენებს ჯიბეში...“ (სახელობითი მიცემითის ნაცვლად).

### **მოთხრობითი ბრუნვა:**

კარაპეტა: „წელიწადში ჩემი ქალმა და ეს გოგომ თხუთმეტი თუმანი ღირს. მაგრამ ბალა ეს არის, ვის მივცე.“ (მოთხრობითი სახელობითის ნაცვლად)

კარაპეტა: „ხედამ ამ მუჟიკმა! ყაირათი არ იციან ფულისა. აგება ყალბი იყო, აგება მოვიპარე.“ (მოთხრობითი მიცემითის ნაცვლად)

კარაპეტა: „მშვიდობა შენი, ჩემო ზანდუკო, მინდა შენ ფულმა გაჩუქო.“ (მოთხრობითი სახელობითის ნაცვლად)

„ფულმა... შეაქცევს გულმა! ფული, გიცხონებს სული!“

### **მიცემითი ბრუნვის ნაცვლად სახელობითი:**

„კარაპეტა: ჰო, ქალი თხოულობ? ეგრე მითხარ და, მე მეგონა თუ ფული თხოულობ. რატომ, რატომ, მაგრამ ქართველი არ მივცემ.“

კარაპეტა: „ექიმი მოვიყვან... რომ მეტყვის თუ ვკვდები, დავადნობ ჩემს ფულს.“

კარაპეტა: „გაგიგონიათ ოჰყალი ჯადო რომ იყო, ისე ვიქ: **სოფელი** თავდაყირა უზამ. რამდენი კეთილი საქმე ვიქ! პირველი, ვინც ბედოვლათია **ჯალათი** უთხრამდი: თავი კტრე!

კარაპეტა: „ასე შეგინახავთ, როგორც **თვალეზი**. — (დაჰკეტავს, დაჯდება და მოიკეცს) როგორ მოტყულებდა კაცი! ბაზარში თავი არ მიკვრენ...“

კარაპეტა: „სიცივე ასე გაგაწითლებს, როგორც **ვარდი**, აი აქა, ჰა...“

#### **ვითარებითი ბრუნვა:**

კარაპეტა: „**ქართული** რამეები მისწავლებია. ვეფხვის ტყავი ზეპირ იცის...“  
(ფუძე –ად ბრ.–ის ნიშნის გარეშე)

#### **დარღვევები მსაზღვრელ–საზღვრულის ბრუნებაში:**

კარაპეტა: „დაიღუპოს ის დღე, როცა (წუწუნით) ცხონებული **ჩემი მარმარუამ** ხამფერა ქართველის სახლში მისცა სასწავლებლად.“

კარაპეტა: „გებნები, **ჩვენი ქალაქელებს** თვალში აქვთ ჰკუა!..“

როგორც ცნობილია, ანთროპონიმთა ლექსიკურ–სემანტიკური ჯგუფები ადამიანის მღვაწეობის სხვადასხვა სფეროს ასახავს, აქ იგულისხმება ადამიანის მატერიალური და სულიერი კულტურა, თვით ადამიანის ბუნება. უცხოენოვანი ლიტერატურული პერსონაჟების სამეტყველო თავისებურებები ძირითადად დაკავშირებულია არა მხოლოდ ლინგვისტური კომპეტენციის დეფიციტთან, რამდენადაც ექსტრალინგვისტურ კონტექსტთანაც. ასე რომ მიკირტუმ გასპარიჩ ტრდატოვისა თუ კარაპეტ პოლოსოვის შეცდომებით სავსე ქართული მეტყველება უფრო მათი ნუვორიშული ბიოგრაფიის ჩვენების სურვილითაა ნაკარნახევი, ვიდრე მათი ეროვნების ხაზგასმის მისწრაფებით. აქ მიზანი იმის ჩვენებაა, რომ ქართველი არისტოკრატის პრეტენზიული ფუქსავატობით დაკარგული კაპიტალი ნუვორიშების ხელში გადადის, ნუვორიშთა მთავარი თავისებურება კი სულიერებისა და განათლება–კულტურის ნაკლებობაა, რაც, ცხადია, მეტყველებაზეც აისახება. (ეს პრობლემა, კი როგორც ცნობილია, მეცხრამეტე საუკუნის ევროპული ლიტერატურისთვისაც ძალზე ახლობელია (თუნდაც ბალზაკის „გობსევი“ გავიხსენოთ).

ამრიგად, ქართულად მეტყველებისას სომეხი ვაჭრისათვის დამახასიათებელი გრამატიკული ცთომილებების ასე ხაზგასმული თავმოყრა არა მხოლოდ სახისმეტყველებითი საშუალება ან ლინგვიტური კანონზომიერებების წარმოჩენის სურვილითაა ნაკარნახევი, არამედ სოციალური მოტივაციისა და სხვა ექსტრალინგვისტური გარემოებების გათვალისწინების აუცილებლობითაც [Туркия, 2008: 178].

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მეტყველებითი თავისებურებების ხაზგასმის გზით სოციალური კუთვნილებისა თუ პოლიტიკური და კულტურული პრიორიტეტების ჩვენება საერთოდ დამახასიათებელია მხატვრული ლიტერატურისათვის (გავიხსენოთ ბერნარდ შოუს „პიგმალიონი“, ტოლსტის, ტურგენევის, მოპასანის ნაწარმოები და სხვ.); გიორგი ერისთავის ჩვენ მიერ უკვე ციტირებულ ნაწარმოებს შეიძლება ამ კუთხით დავუმატოთ ქართველი თავადის ივანე დიდებულის მორუსულეული ქართული (მაგალითად: „ივანე: ღვინო! ქართული ღვინო! ეტო გლუპოსტ! რა ღვინოა, ჰსწორეთ კლუკვენი კვასია! კლუკვას რა ჰქვიან? ძა... ძახველი. ან რა შემოგდით? დასაღევათაც არ გეყოფათ!“ ან იქვე: ივანე: ფული რომ დაგჭირდებათ უნდა ეხვეწნეთ კაკოვო ნიბუდ მიკირტიჩ გასპარიჩ! და ა.შ.). შესაბამისად, ეროვნების მიუხედავად, კრიტიკა ეხება ყველას, ვინც ამას იმსახურებს.

## თავი V

# საქართველოს მოქალაქეთა სომხურენოვანი ნაწილის ენობრივი კომპეტენციის ზოგი პრაქტიკული ასპექტი სოციოლინგვისტური გამოკითხვების მიხედვით

წინამდებარე ნაშრომის ერთ-ერთი თავისებურება, ჩვენი აზრით ისაა, რომ თეორიამდე უშუალო პრაქტიკიდან მივდივართ. რამდენადაც სომხური და ქართული ენების შეპირისპირებითი გრამატიკები შექმნილი არ არის, და არც ცალკეული გრამატიკული საკითხი არ არის შეპირისპირებითი კუთხით ნაკვლევია, ჩვენ ვერ გავბედავდით, და ვერც მოვერეოდით, ამ დიდ სამუშაოსთან შეჭიდებას. ამასთან, წინამდებარე თემასთან ჩვენ სწორედ პრაქტიკამ მიგვიყვანა. სხვადასხვა ასაკისა და სხვადასხვა ენობრივი კომპეტენციის მსმენელებთან მუშაობისას ბრუნების სწავლებაში თავჩენილი შეცდომებისა და სიძნელების გადალახვის გზის ძიებისას ვიგრძენით, რომ პრაქტიკის განზოგადებისა და თეორიული ასპექტების გათვალისწინებით სასურველ შედეგს უკეთ მივაღწევდით.

რაკი ასეთ რთულ საქმეს მოვკიდეთ ხელი, გადავწყვიტეთ, რომ მხოლოდ საკუთარი გამოცდილებით არ უნდა შემოვფარგლულიყავით; ამიტომაც შევარჩიეთ მიზნობრივი ჯგუფები, უპირველეს ყოვლისა ის კოლეგები, რომლებიც ქართულის შესწავლის მიმართულებით მუშაობენ სომხურენოვან კონტინგენტთან.

მიზნობრივი ჯგუფების გამოკითხვებმა, ვფიქრობთ, ბევრი საინტერესო საკითხი გამოავლინა, რომელთა შორის უშუალოდ ჩვენი კვლევისთვის საყურადღებო ინფორმაციასთან ერთად სამომავლო კვლევების დიდი პერსპექტივაც გამოჩნდა. შევეცდებით ამ თავში წარმოვაჩინოთ და, შეძლებისდაგვარად, გავანალიზოთ, გამოკითხვათა შედეგები.

სანამ შედეგების გაცნობაზე გადავიდოდეთ, ვფიქრობ უმჯობესია, ამჟამად ჯავახეთში არსებული ენობრივი სიტუაციის აღწერით დავიწყოთ.

ყველასთვის ცნობილია, რომ დღემდე სახელმწიფოს მთავარ გამოწვევად რჩება სახელმწიფო ენის სწავლების საკითხი, მისი პოპულარიზაცია და ამასთანავე

სრულფასოვნად დაუფლებისაკენ მოწოდება. როგორც ცნობილია ქვეყნის სუვერენიტეტი დამოკიდებულია სახელმწიფო ენის სიმდიერეზე, ენაზე ზრუნვა. მისი დაცვა და პოპულარიზაცია სახელმწიფო სიმტკიცის წინაპირობაა. აქედან გამომდინარე ქვეყანაში ენობრივი პრობლემა, აშკარად მიანიშნებს სამოქალაქო ინტეგრაციის დეფიციტიზე. სამოქალაქო ერთობის ერთადერთი და აუცილებელი გარანტი ენაა, სულ მცირე, ადამიანებს ერთმანეთის უნდა ესმოდეთ, მარტივად რომ ვთქვათ, ერთ ენაზე უნდა საუბრობდნენ. ენა ხომ აზრის გამოხატვის საშუალებაა, რომლის საშუალებითაც ადამიანები აგვარებენ პრობლემებს, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებებს და ერთად ზრუნავენ ქვეყნის მომავალ კეთილდღეობაზე. როცა გვესმის სიტყვა „ენა“, ადამიანებს უნებურად ასოციაცია უჩნდებათ სახელმწიფოსი. იმ სახელმწიფოსი, რომელშიც ესა თუ ის ადამიანები ცხოვრობენ და იმ ქვეყნის მოქალაქის სტატუსს ატარებენ. სახელმწიფო ენის სრულფასოვანი ცოდნა ვფიქრობ, ყველა ქვეყნისთვის ერთმნიშვნელოვნად პრიორიტეტია, და კიდევ უფრო მგრძობიარეა ეს საკითხი ისეთი ქვეყნებისთვის, რომლებიც ეთნიკური მრავალფეროვნებით გამოირჩევიან. სამოქალაქო გაუცხოება, ეს ჩვენი ქვეყნისთვის სამწუხაროდ დღესაც აქტუალური თემაა, სახელმწიფოს მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს ქვეყნის მოსახლეობის ერთიან სოციალურ სივრცეში ინტეგრირება, და ეს გზა მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფო ენის ფლობაზე გადის. ინტეგრაციის მთავარი მიზანი მონაწილეობა გახლავთ. მონაწილეობაში ვგულისხმობ ისეთ პროცესებს, როდესაც მოქალაქეები ჩართულნი არიან ქვეყნის მართვასა და ზრუნვაში. ინფორმირებულნი არიან ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე. რათქმაუნდა ჩვენ მიერ ჩამოთვლილი ქმედებები, ნებაყოფლობითი უნდა იყოს და არამც და არამც იძულებითი ხასიათის. სამოქალაქო ინტეგრაცია რომ ასე მარტივად არ ყალიბდება, კარგადაა ცნობილი. უმნიშვნელოვანეს როლს ამ საკითხში თამაშობენ სახელმწიფო და სამოქალაქო ინსტიტუტები. ამ ინსტიტუტებიდან კი, მსოფლიო გამოცდილების თანახმადაც უდიდესი ადგილი სკოლას უჭირავს [კაჭკაჭიშვილი, 2006:146]. აღსანიშნავია ის საკითხიც, რომ სამოქალაქო ინტეგრაციის ინდიკატორად, ჩვენ მიერ წამოჭრილი ძალიან მგრძობიარე საკითხი, სახელმწიფო ენის ცოდნის ხარისხია მიჩნეული.

დღესდღეობით თითქმის არ შეცვლილა საზოგადოებაში გავრცელებული სტერეოტიპი, რომ ქართული მენტალობის მოქალაქეს ზრდის ქართული სკოლა,

ხოლო არაქართული სკოლები არაქართველებს, პოტენციურ ემიგრანტებს [ხარშილაძე, 2010: 98]. ამას ხსნიან იმ ფაქტით, რომ არაქართულ სკოლებში ქართული უცხო ენის სტატუსს უთანაბრდება. უცხო ენა ეს არის ენა, რომლის გამოყენების არეალიც არ არის მასშტაბური. შესაბამისად მისი შესწავლაც ნაკლები მოტივაციით ხორციელდება. ეს განპირობებულია, იმ ფაქტითაც, რომ შემსწავლელები არ არიან სახესხვაობებთან კონტაქტში და მხოლოდ ვირტუალური კონტაქტებით შემოიფარგლებიან [გაბუნია, ეზუგბაია, ქირია, 2010: 34-40]. როგორც ვხედავთ შემსწავლელები და მათი ოჯახის წევრები უცხო ენასა და მეორე ენას ერთმანეთთან ათანაბრებენ, რაც რათქმაუნდა მცდარი შეხედულებაა. მეორე ენას შემსწავლელი ეუფლება, უცხო ენას კი ვასწავლით, როგორც საგანს. ენის დაუფლება თავისთავად გულისხმობს კულტურული კომპეტენტურობის შექმნას და ამ დროს ადამიანი ენასთან ერთად სწავლობს სახესხვაობებთან თანაცხოვრებას [ხარშილაძე, კერძაია, 2010:67].

ჩვენი მხრივ დავსძენთ, რომ ეროვნული/ნაციონალური ენა, უკავშირდება ეროვნულ იდენტობას. მშობლიური ენის საკითხი ადამიანებისთვის მეტად მნიშვნელოვანია, რადგან ეს წარმოადგენს პიროვნების თვითიდენტიფიკაციას. იმ ადამიანებს, რომლებიც სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე ცხოვრობენ, მუდმივი შიში აქვთ საკუთარი ენისა და იდენტობის დაკარგვის, ამიტომ მშობლიური ენის შენარჩუნებით ცდილობენ ეროვნულობის შენარჩუნებას. ჩვენ ვეთანხმებით რუსუდან ამირეჯიბის მოსაზრებას, რომელიც დააფიქსირა სტატიაში, „ენობრივი პოლიტიკა“, რომ ერთსა და იმავე ადამიანს შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა ეროვნული და ეთნიკური იდენტობა. რაც თავის თავში გულისხმობს, იმას რომ ეთნიკური იდენტობა დამყარებულია ეთნიკურ ენაზე, ხოლო ეროვნული იდენტობა ეროვნულ ენაზე. მაგალითად ჯავახეთში მცხოვრების სომხისთვის, ეთნიკური ენა სომხურია, ხოლო ეროვნული ენა უნდა იყოს ქართული [ამირეჯიბი, [http://www.icgl.org/articles/statia\\_enobrivi\\_politikaze.pdf](http://www.icgl.org/articles/statia_enobrivi_politikaze.pdf)].

მიუხედავად სახელმწიფო ენის შესაბამისად ქვეყნის მიზანი ეთნიკური უმცირესობებისთვის იდენტობის წართმევა კია არა, ქართული ეროვნული იდენტობის შექმნა უნდა იყოს პრიორიტეტი. ეროვნულ იდენტობას კი ქართული ენის სრულფასოვანი შესწავლა განსაზღვრავს.

სწავლების კუთხით განხორციელებული მრავალი ღონისძიებისა, რომელზეც უამრავი ადამიანური თუ ტექნიკური რესურსი დაიხარჯა წლების განმავლობაში,



საქართველოს მთავრობისთვის ჯერაც, ერთ-ერთ ბოლომდე გადაუჭრელ და, ამიტომაც, პრიორიტეტულ საკითხად რჩება, ეთნიკური უმცირესობებისთვის ქართული ენის შესწავლის საჭიროების პოპულარიზაცია და მისი სრულფასოვნად დაუფლებისაკენ მოწოდება.

გამომდინარე იქიდან, რომ ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციის მთავარ პრობლემას ენობრივი ბარიერი წარმოადგენს, ამ მიმართულებით მუდმივად მიმდინარეობდა სხვადასხვა პროგრამის გამოცდა. 2009 წლიდან დაინერგა პროგრამა „ვასწავლოთ ქართული, როგორც მეორე ენა“, რომელიც გულისხმობდა მასწავლებლების პროფესიულ განვითარებას, რომლებიც ასწავლიდნენ არაქართულენოვან სკოლებში. პროგრამაში მონაწილეობის ბევრი მსურველი აღმოჩნდა, გადამზადდნენ და გადანაწილდნენ [მატეუ, 2016: 26].

2011-2012 წელს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ (TPDC) შემუშავდა პროგრამა სახელწოდებით, „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“. აღნიშნული პროგრამით საკმაოდ ბევრი მასწავლებელი დაინტერესდა და მისი დანერგვის პირველივე წელს 800-მდე კანდიდატმა მიიღო მონაწილეობა, საბოლოოდ კი გასაუბრებით 186 კანდიდატი იქნა შერჩეული, რომლებსაც ქ. ქუთაისში ზ. ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლაში, შემდეგ საგნებში ჩაუტარდათ ტრენინგი: სწავლისა და განვითარების თანამედროვე მეთოდები, კულტურული მრავალფეროვნება, თანაცხოვრება და ბილინგვური განათლება. (საგანმანათლებლო ამბების სააგენტო).

კიდევ ერთი პროგრამა, რომელიც განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ დაინერგა უმცირესობათა სამოქალაქო ინტეგრაციის და ენის დაუფლების მიზნით, იყო „არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებლების პროფესიული განვითარება“

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა 2009 წლიდან სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელების გზით დაიწყო ეთნიკური უმცირესობებისათვის სახელმწიფო ენის სწავლება და ინტეგრაციის ხელშეწყობა. აღნიშნული ღონისძიებები უზრუნველყოფდა ეთნიკური უმცირესობებისთვის თანაბარი განათლების მიღებას, სახელმწიფო ენის პოპულარიზაციასა და ეროვნული უმცირესობების ენობრივი და კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნებას. (მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი).

2016 წლიდან ცენტრმა დაიწყო არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებლების პროფესიული განვითარების პროგრამა. ეს პროგრამა აერთიანებდა ზემოთ ხსენებულ პროგრამებს, რომელიც გასულ წლებში განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ იყო განხორციელებული. ეს პროგრამებია: „ვასწავლოთ ქართული, როგორც მეორე ენა“ და „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“. პროგრამების მიზანს როგორც ვიცით სახელმწიფო ენის შესწავლა და სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობა წარმოადგენდა.

რაც შეეხება არაქართულენოვანი მასწავლებლების პროფესიული განვითარების პროგრამას, მისი მიზანი იყო არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებლების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესება. ამასთან ერთად, პროგრამა ორიენტირებული იყო ადგილობრივი მასწავლებლების საგნობრივი გამოცდებისთვის მომზადებაზე და მათთვის სახელმწიფო ენის შესწავლაზე [საქართველოს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები, 2004].

პროგრამის ფარგლებში დაიბეჭდა და მასწავლებლებს დაურიგდათ მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის გზამკვლევი, თვითშეფასების კითხარი, სქემის სხვა დამხმარე დოკუმენტები და სატრენინგო მასალები.

ასევე პროგრამის ფარგლებში, კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში (სამცხე-ჯავახეთი, ქვემო ქართლი და კახეთი) არაქართულენოვან სკოლებში მასწავლებელთა სამი ჯგუფი იქნება მივლენილი.

- ქართულის, როგორც მეორე ენის კონსულტანტ-მასწავლებლები;
- ქართულის, როგორც მეორე ენისა და საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნების (ისტორია, გეოგრაფია) დამხმარე მასწავლებლები;
- ბილინგვი დამხმარე მასწავლებლები, რომლებიც 1+4 პროგრამის კურსდამთავრებულები არიან, რომლებიც ადგილობრივ მასწავლებლებთან ერთად მუშაობენ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ნებისმიერ სასკოლო საგანში. (მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი)


მიუხედავად, ზემოთ ჩამოთვლილი არაერთი ღონისძიებისა, რომელიც სახელმწიფომ გაატარა კომპაქტურად დასახლებულ ეთნიკურ უმცირესობათა ჯგუფში, პრობლემა მაინც არ არის გადაჭრილი, კერძოდ ჯავახეთის მოსახლეობამ და უფრო მეტიც, საჯარო სკოლის მასწავლებლებმა დღესაც არ იციან, ან სრულყოფილად

ვერ ფლობენ სახელმწიფო ენას, რომელიც მათ პროფესიულ საქმიანობაში ასე ძალიან სჭირდებათ. აუცილებლად და დიდი სიხარულით უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ახალგაზრდა თაობაში ეს პრობლემა ნაწილობრივ დაძლეულია და ისინი თავიანთ განვითარებაზე ზრუნვას არ წყვეტენ. ზრდასრულთათვის კი, სახელმწიფო ენა, კვლავ გადაუჭრელ პრობლემად რჩება. სწორედ ზრდასრულებისთვის ქართული ენის შესწავლის გაუმჯობესების მიზნით ჯერ კიდევ 2004 წელს შეიქმნა ენის სახლები. 2016 წლისთვის სამცხე-ჯავახეთში ორი ენის სახლი ფუნქციონირებდა და, როგორც წესი, მას კარგი შედეგები უნდა მოეტანა, თუმცა მაინც არსებობდა პრობლემა. პრობლემას ენის კურსების ხელმისაწვდომობის არასრულყოფილება ქმნიდა და, შესაბამისად, ფერხდებოდა ქართული ენის შესწავლაც. 2011 წლიდან ენის სახლს ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა უწევდა ადმინისტრირებას. 2014 წელს კი მათი დახმარებით დაიწყო ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი საჯარო მოხელეებისთვის სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამა და ამავე წელს სამცხე-ჯავახეთში ორმა ცენტრმა დაიწყო მუშაობა. ცენტრი, უკვე ენის შესწავლის ყველა მსურველთათვის იყო ხელმისაწვდომი, რამაც ძირეული გარდაქმნები შეიტანა სახელმწიფო ენის შესწავლის საკითხში [მატეუ, 2016:56].

თუმცა, რაც შეეხება დამოკიდებულებას სახელმწიფო ენის მიმართ, ზრდასრულებშიც და ახალგაზრდა თაობაში, მიუხედავად მათი სახელმწიფო ენის ცოდნის დაბალი დონისა, ძალიან არის შეცვლილი, 10 თუ 15 წლის წინანდელ საზოგადოებასთან შედარებით. ისინი პოზიტიურად არიან განწყობილნი, იაზრებენ იმ ფაქტს, რომ თუ სურთ რეალიზებულ და წარმატებულ პიროვნებად იქცნენ, პირველ რიგში სახელმწიფო ენას უნდა ფლობდნენ. მათ პოზიტიურ დამოკიდებულებას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ ბოლო წლების განმავლობაში შეინიშნება მსმენელთა თუ სტუდენტთა გაზრდილი რაოდენობა უნივერსიტეტებსა და ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლაში. ამასთანავე, უნივერსიტეტში ტესტირება და თითოეული დონის ცოდნის დამადასტურებელი გამოცდები, რომელიც ადგენს მსმენელთა ენობრივ დონეს გვიჩვენებს, რომ წლებთან ერთად მაღალქულიან სტუდენტთა რაოდენობა იზრდება. რა თქმა უნდა, არიან მოსწავლეები, რომლებიც ენის საკმაოდ დაბალი ცოდნის დონით მოდიან უნივერსიტეტში, მაგრამ ამასთანავე იზრდება მათი რაოდენობა, ვინც შედარებით

უკეთ ფლობს ქართულ ენას. (ქართულის, როგორც მეორე ენისა და ინტეგრაციის პროგრამის ადმინისტრაცია)

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ შედეგები უკეთესია იმ სკოლებში, სადაც სასწავლო რესურსები უკეთესია და სადაც ქართული ენის სწავლება პრიორიტეტად მიიჩნევა. ხოლო, იმ სკოლებში, სადაც ჯერ კიდევ ქართული ენის სწავლება პრიორიტეტი არ არის და შესაბამისად მწირია აღნიშნულ სკოლებში სასწავლო რესურსი, აკადემიური მიღწევები ბევრად დაბალია ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებში. ამის მაგალითია წიგნიერების საერთაშორისო კვლევის (PIRLS) შედეგები:



### დიაგრამა 1. პირლზის კვლევა

სახელმწიფო ენა რომ პრიორიტეტად იქცა არაქართველ მოსახლეობაში, კერძოდ სამცხე-ჯავახეთის ახალგაზრდა თაობაში, ამას ადასტურებს 1+4 პროგრამაზე, ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობაც, როგორც სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ასევე ზოგადად ყველა უნივერსიტეტში, სადაც მოქმედებს აღნიშნული პროგრამა.



**დიაგრამა 2.** ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობა

როგორც, დიაგრამიდან ჩანს, სტუდენტთა რაოდენობა წლიდან-წლამდე იზრდება, რაც ნამდვილად მისასალმებელია, თუმცა ზოგადი სურათი სამცხე-ჯავახეთში, კერძოდ ახალქალაქში, მაინც პრობლემურია. სახელმწიფო ენის ფლობის პრობლემა სახელმწიფოს უცხოეთნიკური წარმომავლობის მოქალაქეებისთვის უმწვავესია იმ პრობლემათა შორის, რომლებიც აბრკოლებს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების სოციალურ და პოლიტიკურ ინტეგრაციას, განსაკუთრებით პრობლემა თვალშისაცემია სკოლებში მოქმედ პედაგოგებში, რომლებიც ან საერთოდ ვერ ფლობენ სახელმწიფო ენას, ან სრულყოფილად ვერ ფლობენ.

იმის დასადგენად, თუ რა განაპირობებს მათში ენის ფლობის დაბალ დონეს, გადავწყვიტეთ კვლევის ჩატარება ახალქალაქისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტების საჯარო სკოლებში. კვლევა ჩავატარეთ კონკრეტულად საზოგადოებრივი მეცნიერების, დღესდღეობით ერთ-ერთ მოთხოვნად საგანში, როგორცაა - „სამოქალაქო განათლება“ და „მე და საზოგადოება“. თვალსაჩინოებისთვის დავდებთ საკვლევი საკითხების დოკუმენტს:

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტის, ჟანა ხაჩატურიანის

თეორიულ/ექსპერიმენტალური კვლევის ნაწილი. სამეცნიერო ხელმძღვანელი, პროფესორი მანანა ტაბიძე.

სამცქეს-დასქაქსეჩი აქთასკან ხამასარასი კრეიქას, ხომასიხთარ ს ათეჩასკან ეჩთოქონსნეჩი ჭასკიქსთი ექსთორასთ ოასა ოასათოქასი თესასკან / ქორქასკან ხეთაეითოქას (ოოთმასიქოქას) მი მასე: **ეჩთასკან ექსასარ, აქიქსთე ოასასა ოაქიქს:**

**საკვლევი საკითხი:**

„რამდენად დგას სახელმწიფო ენის ცოდნის საჭიროება ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სომხურენოვან საჯარო სკოლებში?!“

**კვლევის მიზანი:**

სახელმწიფო ენის ფლობის პრობლემა სახელმწიფოს უცხოეთნიკური წარმომავლობის მოქალაქეებისთვის უმწვავესია იმ პრობლემათა შორის, რომლებიც აბრკოლებს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების სოციალურ და პოლიტიკურ ინტეგრაციას. ჩვენი კვლევის მიზანია, გავიგოთ რამდენად აქვთ საჭიროება, და ამასთანავე მოტივაცია ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სომხურენოვანი საჯარო სკოლების პედაგოგებს, (მაგალითად საზოგადოებრივი მეცნიერებების, კერძოდ-სამოქალაქო განათლებისა და „მე და საზოგადოების“ პედაგოგებს) სახელმწიფო ენის შესწავლის ან უკეთ დაუფლების სურვილი, რადგან კერძოდ ამ საგნის პედაგოგებს, საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, უწევთ ფართო სოციუმთან, ადგილობრივ თვითმართველობასა და უამრავი პროგრამის წარმომადგენელთან ურთიერთობა. რამდენად უშლის ხელს მათ პროფესიულ საქმიანობაში ქართული ენის არცოდნა ან სათანადოდ არცოდნა; და ბოლოს, სახელმწიფო ენის ფლობა, წარმოადგენს თუ არა მათთვის იმ პრიორიტეტს, რომელიც დადებითად იმოქმედებს მათ პროფესიულ და კარიერულ წინსვლაზე.

კითხვარი მოიცავს 5-7 კითხვას, მისი შევსებისთვის დაგჭირდებათ 10-15 წუთი. გთხოვთ, დასმული კითხვები შეაფასოთ 10 ბალიანი სისტემით ან შესაბამის გრაფაში ჩაწეროთ თქვენი მოსაზრება საკუთარი გამოცდილებიდან. გაითვალისწინეთ, რომ ჩვენთვის არ არსებობს არასწორი პასუხები, ჩვენთვის მნიშვნელოვანია თქვენი პირადი შეხედულებები და გამოცდილება. წინასწარ გიხდით მადლობას კვლევაში მონაწილეობისათვის!

Շեջ: +995 551 085079 Ել-ցուց: [jkhachaturiani@gmail.com](mailto:jkhachaturiani@gmail.com)

### **Հետազոտության թեման`**

«Որքանով է ծառայած պետական լեզվի իմացության անհրաժեշտությունը Ախալքալաքի մունիցիպալիտետի հայալեզու հանրային դպրոցներում:

### **Հետազոտության նպատակը`**

Պետական լեզվի իմացության խնդիրը պետության այլ էթնիկ ծագման քաղաքացիների համար առավել սուր հնչողություն ունեցողն է այն հիմնախնդիրների շարքում, որոնք խոչընդոտում են էթնիկ փոքրամասնությունների ներկայացուցիչների սոցիալական և քաղաքական ինտեգրմանը: Մեր հետազոտության նպատակն է պարզել, թե Ախալքալաքի մունիցիպալիտետի հայալեզու հանրային դպրոցների ուսուցիչները (օրինակ` հասարակական գիտությունների, մասնավորապես` քաղաքացիական կրթության և «Ես և հասարակությունը» ուսուցիչները) որքանով կարիք ունեն, և միևնույն ժամանակ դրդապատճառ ուսումնասիրելու կամ պետական լեզվին լավագույնս տիրապետելու ցանկություն, քանզի մասնավորապես այս առարկայի ուսուցիչները` առարկայի առանձնահատկություններից ելնելով, պետք է հարաբերվեն լայն հասարակության, տեղական ինքնակառավարման մարմինների և բազմաթիվ ծրագրերի ներկայացուցիչների հետ: Ինչքանով է նրանց խոչընդոտում վրաց լեզվի չիմացությունը կամ անպատշաճ իմացությունը մասնագիտական գործունեության շրջանակներում, և վերջապես, պետական լեզվի իմացությունը նրանց համար հանդիսանում է արդյոք այն առաջնահերթությունը, որը դրական ազդեցություն կունենա նրանց մասնագիտական և կարիերային առաջընթացի վրա:

Հարցաթերթիկը ներառում է 5-7 հարց, այն լրացնելու համար ձեզ հարկավոր է 10-15 րոպե: Խնդրում ենք գնահատել հարցերը 10-բալանոց համակարգով կամ համապատասխան վանդակում գրել ձեր տեսակետը` սեփական փորձից ելնելով: Ի նկատի ունեցեք, որ մեզ համար սխալ պատասխաններ չկան, մեզ համար կարևոր են ձեր անձնական տեսակետներն ու փորձը: Կանխավ հայտնում ենք մեր շնորհակալությունը ուսումնասիրությանը մասնակցելու համար:

**Հեռ.՝ +995 551 085079 Էլ. փոստ: [jkhachaturiani@gmail.com](mailto:jkhachaturiani@gmail.com)**





(Գնահատեք 0-10 միավոր համակարգով)

---

5. ყოფაცხოვრებაში თუ დაგჭირვებიათ ქართული ენა, როგორც საკომუნიკაციო საშუალება? (შეაფასეთ 0-10 ბალიანი სისტემით) და თუ დაგჭირვებიათ, რაში გამოიხატება ეს საჭიროება, გააკეთეთ კომენტარი.

5. Առօրյա կյանքում ձեզ անհրաժեշտ եղել է արդյո՞ք վրացերենը որպես հաղորդակցման միջոց (Գնահատեք 0-10 միավոր համակարգով) և եթե այո, ապա մեկնաբանեք ինդիքს, թե ինչու է արտահայտվում այդ անհրաժեշտությունը

6. პროფილური ლიტერატურის დამუშავებისას, ოფიციალური დოკუმენტების გასაცნობად გჭირდებათ ქართული ენა? დადებითი ან უარყოფითი პასუხი გთხოვთ განგვიმარტოთ.

6. Պրոֆիლային գրականությունն մշակելիս, պաշտոնական փաստաթղթերին ծանոթանալու համար Ձեզ հարկավոր է արդյո՞ք վրաց լեզուն: Դրական կամ բացասական պատասխանը ինդիքում ենք պարզաբանել:

---

---

---

7. თქვენი აზრით, რა უშლის ხელს ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებს სახელმწიფო ენის ცოდნაში (მოტივაციის უქონლობა, დროის ნაკლებობა, ცუდად ორგანიზებული სწავლება, პრაქტიკული საჭიროების არარსებობა, ...ან სხვა მიზეზი–დაასახელეთ)

7. Ըստ Ձեզ, ի՞նչն է խանգարում էթնիկ փոքրամասնությունների ներկայացուցիչներին պետական լեզվի իմացության հարցում (շարժառիթների բացակայություն, ժամանակի պակաս, վատ կազմակերպված դասավանդում, գործնական անհրաժեշտության բացակայություն ... կամ այլ պատճառ, նշեք)

---

---

---

ჩვენი კვლევის მიზანია, გავიგოთ რამდენად აქვთ საჭიროება, და ამასთანავე მოტივაცია ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სომხურენოვანი საჯარო სკოლების

პედაგოგებს, (მაგალითად საზოგადოებრივი მეცნიერებების, კერძოდ-სამოქალაქო განათლებისა და „მე და საზოგადოების“ პედაგოგებს) სახელმწიფო ენის შესწავლის ან უკეთ დაუფლების სურვილი, რადგან კერძოდ ამ საგნის პედაგოგებს, საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, უწევთ ფართო სოციალურ თვითმართვებლობასა და უამრავი პროგრამის წარმომადგენელთან ურთიერთობა. რამდენად უშლის ხელს მათ პროფესიულ საქმიანობაში ქართული ენის არცოდნა ან სათანადოდ არ-ცოდნა; და ბოლოს, სახელმწიფო ენის ფლობა, წარმოადგენს თუ არა მათთვის იმ პრიორიტეტს, რომელიც დადებითად იმოქმედებს მათ პროფესიულ და კარიერულ წინსვლაზე.

#### **კვლევის ძირითადი ამოცანებია:**

- მასწავლებელთა დამოკიდებულება სახელმწიფო ენის შესწავლის საკითხის მიმართ, თვლიან თუ არა საჭიროდ ენის ცოდნას ყოფაცხოვრებასა და პროფესიულ საქმიანობაში;

- რა წარმოადგენს ყველაზე დიდ დაბრკოლებას მასწავლებლებისთვის ენის სწავლის პროცესში;

- რა გამოსავალს პოულობენ, როცა სახელმწიფო ენის ცოდნის აუცილებლობა დგება;

- რა სიძნელეებს ხვდებიან, იმ შემთხვევაში, თუ სჭირდებათ სახელმწიფო ენა და არ იციან, ან სათანადოდ ვერ ფლობენ მას.

კვლევაში მონაწილეობა მიიღო საჯარო სკოლის 25-მა მასწავლებელმა, რომლებიც ასწავლიან „სამოქალაქო განათლებასა“ და „მე და საზოგადოებას“.

## კვლევის შედეგები


კვლევაში მონაწილე პედაგოგების ასაკობრივი კატეგორია 30-დან 65-წლამდე მერყეობს. მასწავლებელთა უმრავლესობას სკოლაში მუშაობის დიდი სტაჟი აქვთ.

როგორც მოსალოდნელი იყო მასწავლებელთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ სახელმწიფო ენის ცოდნა აუცილებლობას წარმოადგენს.

25 მასწავლებლიდან, მხოლოდ ერთი აღმოჩნდა ისეთი, ვინც თვლის, რომ არ სჭირდება სახელმწიფო ენის ცოდნა არც ყოფაცხოვრებაში და არც პროფესიულ საქმიანობაში.

კვლევიდან მიღებული მონაცემები, კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ პედაგოგების დიდ ნაწილს გააზრებული აქვს სახელმწიფო ენის ცოდნის აუცილებლობა და მოქალაქეობრივი პაუხისმგებლობა.

1. რაც შეეხება შევითხვას, თქვენი საგნის სწავლებისას, ქართული ენის ცოდნა/ გამოყენება გჭირდებათ თუ არა? პასუხები ასე გადანაწილდა




დიაგრამა 3. სახელმწიფო ენის ცოდნის აუცილებლობა პროფესიულ საქმიანობაში

როგორც დიაგრამიდან ჩანს, გამოკითხულ პედაგოგთა 72% თვლის, რომ სახელმწიფო ენის ცოდნა საგნის სწავლებაში უმაღლეს დონეზე სჭირდება. 10 ბალიანი სისტემიდან 10 ქულაზე შეაფასეს. 20% პროცენტი ფიქრობს, რომ არის შემთხვევები, ტრენინგებში მონაწილეობა, გამოცდები და ასე შემდეგ, როცა შეიძლება დასჭირდეს სახელმწიფო ენის ცოდნა, ხოლო გამოკითხულთა 8% პროცენტი თვლის, რომ საერთოდ არ სჭირდება სახელმწიფო ენის ცოდნა პროფესიულ საქმიანობაში.

დასახელებული ორი პედაგოგი, რომელიც ფიქრობს, რომ საერთოდ არ სჭირდება სახელმწიფო ენის ცოდნა, არგუმენტად ასახელებს თავის სოციუმსა და სკოლას, სადაც თავად ასწავლის, ფიქრობს, რომ მშობლიური ენის გარდა, მას, მის სკოლაში სხვა ენა არ სჭირდება, არ არის ამ ცოდნის საჭიროება არც კარიერულ წინსვლაში.

რაც შეეხება კითხვას - რამდენად სჭირდებათ ქართული ენის ცოდნა იმ შემთხვევაში, როდესაც მისი გამოყენების საჭიროება იჩენს თავს (ეს კითხვა მიმართულია იმის დადგენისაკენ, თუ რამდენად აქვს პედაგოგს, თავისი ეთნიკური კოლექტივის განათლებულ წევრს შეხება ქართულენოვან საზოგადოებასთან და როგორ აგვარებს კომუნიკაციის საკითხს ამ გვარი კონტაქტის შემთხვევაში). შეაფასეთ 10 ბალიანი სისტემით, პასუხები ასე გადანაწილდა.



დიაგრამა 4. სახელმწიფო ენის ცოდნა დონეების მიხედვით

დიაგრამიდან ჩანს, რომ გამოკითხულ მასწავლებელთა უმრავლესობა ფიქრობს, თუ სახელმწიფო ენის გამოყენების საჭიროება დადგება, სასურველია, ენას ფლობდნენ სრულყოფილად, ხოლო გამოკითხულ მასწავლებელთა 20% -მა ჩათვალა, რომ საშუალო დონეზე, ათბალიანი შეფასების სისტემიდან 7-8 ქულაც საკმარისია.

გამოკითხული მასწავლებლები, რომლებიც ფიქრობენ, რომ ქართული ენის ცოდნა სრულყოფილად სჭირდებათ, მაგრამ ისინი, სრულყოფილად კი არა, თითქმის საკომუნიკაციო დონეზეც A1 სა და A2 –ზეც ვერ ფლობენ მას, ფიქრობენ, ამით ისინი დიდ სიძნელეებს აწყდებიან, ფაქტობრივად არა აქვთ კარიერული წინსვლის შანსი.

გთავაზობთ რამდენიმე პედაგოგის მიერ გაკეთებულ კომენტარს (მათი პასუხები სიტყვა-სიტყვით):

„სახელმწიფო ენის არასათანადო ცოდნა აბრკოლებს პროფესიულ ზრდას, მონაწილეობის შესაძლებლობა არ მაქვს ჩვერთო სხვადასხვა პროექტში, სრულიად ვინტეგრირდე საზოგადოებრივ და პოლიტიკურ პროცესებში.“

„ვერ ვეცნობი სკოლაში მოსულ ოფიციალურ დოკუმენტებს, სიახლეებს, მუდამ მჭირდება ქართული ენის პედაგოგის დახმარება“

„მეთოდური სახელმძღვანელოების გამოყენებისას ძალიან მჭირდება ენის ცოდნა, ზოგიერთი დოკუმენტის გასაცნობად, ეს არის ჩემი პრობლემა“

„უხერხული სიტუაციაა, გაგების პრობლემა წარმოიშობა“

„ჩემთვის ძალიან ძნელია ზმნების ფორმების გაგება და დამახსოვრება, მე უფრო კარგად მესმის, ვიდრე ვლაპარაკობ“

„ნებისმიერ მასწავლებელს სურს, რომ მისმა მოსწავლეებმა იცოდნენ უფრო მეტი, ის, რაც იციან, იცოდნენ ასევე სახელმწიფო ენაზე და მასწავლებელი შრომობს ამის საფუძველზე და ამ მიზნით. მაგალითად, თუკი მასწავლებელმა არ იცის სახელმწიფო ენა, როგორ უნდა ასწავლოს მოსწავლეს, მიაწოდოს სიახლეები, ის საკუთარ თავს დაადანაშაულებს, თუკი მეცოდინებოდა სახელმწიფო ენას, უფრო კარგად ვასწავლიდი მოსწავლეებს.“

„ვიყენებ ინტერნეტს, ლექსიკონს, ვთანამშრომლობ ქართული ენის მასწავლებლებთან /კოლეგებთან“

„ნორმალურად ვფლობ ქართულ ენას, მაგრამ კიდევ ზოგჯერ მხვდება შემთხვევები: ვდგები სიძნელეების წინაშე იმის გამო, რომ გრამატიკულად ვერ


ვაწოდებ წინადადებას და წერის დროს ზოგჯერ ვუშვებ შეცდომებს. რა თქმა უნდა, ესეც ხელისშემშლელი ფაქტორია, პროფესიულ საქმიანობში.“

„იძულებული ვარ, მივმართო სხვის დახმარებას“

„სახელმწიფო ენის არცოდნა უკვე სირთულეა. მაგალითად ,როცა საზღვარზე ხარ და არ შეგიძლია კომუნიკაცია მესაზღვრეებთან ქართულად“.

შემდეგ კითხვაზე - საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან, რესურსცენტრებთან ურთიერთობისას, დგება თუ არა ქართული ენის ცოდნის საჭიროება, გამოკითხულთა უმრავლესობა ფიქრობს, რომ თითქმის არ სჭირდებათ. უფრო ზუსტად, კი პასუხები შეგიძლიათ იხილოთ დიაგრამაზე გადანაწილებული პროცენტების სახით.

### ყოფა-ცხვრებაში სახელმწიფო ენის ცოდნის საჭიროება



**დიაგრამა 5.** ყოფა-ცხვრებაში სახელმწიფო ენის ცოდნის საჭიროება

კითხვაზე, ყოფა-ცხოვრებაში თუ დაგჭირვებიათ ქართული ენა, როგორც საკომუნიკაციო საშუალება? (შეაფასეთ 0-10 ბალიანი სისტემით) და თუ დაგჭირვებიათ, რაში გამოიხატება ეს საჭიროება, გააკეთეთ კომენტარი. შემდეგი პასუხები მივიღეთ:

„არა ხშირად, მაგრამ არის დრო, როდესაც აუცილებელია. 5 ქულა. მაგალითად, ვაჭრობაში ვერ შეძლებ კომუნიკაციას ქართველ გამყიდველებთან“

„დიახ, აუცილებელია. მაგალითად, როცა პრობლემები გაქვს პოლიციასთან ან სავადმყოფოში, მოგცემენ საბუთებს ქართულად და შენ არ გესმის, თუ რა არის დაწერილი, იძულებული ხარ გადათარგმნო“

„დიახ, ხშირად ვუკავშირდები ქართველ მეგობრებს, მსურს მათთან ურთიერთობა, მაგრამ მიჭირს, ვერ ვახერხებ. შეხვედრის დროს, ხშირად ვცდილობ, ვისაუბრო ქართულად, თუმცა საუბრის გაძნელებისას, ვიყენებ რუსულს.“

„სახელმწიფოს ყველა მოქალაქე ვალდებულია იცოდეს სახელმწიფო ენა იმიტომ, რომ ყოფაცხოვრებაში იგი არის საკომუნიკაციო საშუალება - მაღაზიებში, სავადმყოფოში, იუსტიციის სახლში და ა.შ“

„ყოველდღიურად მე არ მჭირდება ქართულის ცოდნა ჩემს სოფელში, მაგრამ ინფორმაციის მისაღებად, ოფიციალურ დაწესებულებებში, თბილისში ყოფნის დროს ძალიან მჭირდება ქართულის ცოდნა მაღალ დონეზე“

„ყოფა-ცხოვრებაში თითქმის არ მჭირდება, მხოლოდ, სამეცნიერო მასალებისა და ინფორმაციების წასაკითხად“

„დიახ, ქართული ენის პედაგოგთან კომუნიკაციის დროს - 3 ქულა.“

„ცხოვრებაში მჭირდება ქართული ენის ცოდნა იმიტომ, რომ ვცხოვრობ საქართველოში და სახელმწიფო ენის ცოდნა აუცილებელია“.

„დიახ, ენის არცოდნა ხელს მიშლის ურთიერთობაში ჩემი რეგიონის ქართველ მოსახლეობასთან.“

და ბოლოს, ვფიქრობ, უმნიშვნელოვანესი კითხვა, რომელზეც არაერთი ადამიანი, ექსპერტი, კრიტიკოსი მსჯელობს, - თუ, რა არის სახელმწიფო ენის შესწავლის ხელისშემშლელი ფაქტორი (მოტივაციის უქონლობა, დროის ნაკლებობა, ცუდად ორგანიზებული სწავლება, პრაქტიკული საჭიროების არარსებობა, ...ან სხვა მიზეზი - დაასახელებთ), როცა ამდენი ადამიანური თუ ფინანსური რესურსი, ასევე დრო იხარჯება, რატომ ვერა და ვერ მივაღწიეთ სასურველ შედეგს. გამოკითხული პედაგოგები ამ კითხვას ასე პასუხობენ:

„მოტივაციის ნაკლებობა, დროის ნაკლებობა“

„გარემოსა და კომუნიკაციის არარსებობა, ცუდად ორგანიზებული კურსები“

„დროის ნაკლებობა“

„პრაქტიკული საჭიროების არარსებობა“


„ყოველდღიურ ცხოვრებაში არ ვიყენებთ“

„კომუნიკაციის არარსებობა ქართველებთან და, ცოტაც, კომპლექსი“

„ძნელია ენის ფლობა, როცა ყოველდღიური კომუნიკაცია არ გაქვს ქართველებთან. ხელს უშლის არასწორი საუბარი. ახალი თაობა უკვე სკოლაში კარგად სწავლობს ქართულს. ენის სწავლის სირთულეები საშუალო ასაკის ადამიანებსა და ზრდასრულებთანაა დაკავშირებული.“

„პრაქტიკული საჭიროების არარსებობა უშლის ხელს ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებს სახელმწიფო ენის ცოდნაში“

25 არაქართველი - სომეხი მასწავლებლის პასუხი აღნიშნულ კითხვაზე, პროცენტულად ასე გადანაწილდა:



დიაგრამა 6. სახელმწიფო ენის შესწავლის ხელისშემშლელი ფაქტორები



## დასკვნა და რეკომენდაციები

სამცხე-ჯავახეთში არაერთი პრობლემა არსებობს, თუმცა სახელმწიფო ენის ფლობის პრობლემა სახელმწიფოს უცხოეთნიკური წარმომავლობის მოქალაქეებისთვის უმწვავესია იმ პრობლემათა შორის, რომლებიც აბრკოლებს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების სოციალურ და პოლიტიკურ ინტეგრაციას. წლების გასვლასთან ერთად თითქოსდა უნდა მოგვარდეს ეს პრობლემა, რადგან იზრდება იმ ახალგაზრდების რიცხვი, რომლებსაც სურთ სახელმწიფო ენის შესწავლა. კვლევის შედეგებმაც აჩვენა, რომ მასწავლებელთა უმრავლესობა საჭიროდ თვლის სახელმწიფო ენის ცოდნას საკმაოდ მაღალ დონეზე, მაგრამ რეალობა ჯერ მაინც არასასურველია...

✓ კვლევამ გამოკვეთა რამდენიმე პრობლემა, რის გამოც გამოკითხული მასწავლებლები ვერ აღწევენ სასურველ შედეგებს, როგორც აღმოჩნდა, მასწავლებლები, უმთავრეს პრობლემად კომუნიკაციის არარსებობას თვლიან. მათ ქალაქსა თუ სოფელში ქართველები თითქმის არ ცხოვრობენ, ან თუ ცხოვრობენ, ძალიან მცირე რაოდენობით, დაჩვეულებრივ, ეს ნაწილი კარგად ფლობს სომხურ ენას და მათი საკომუნიკაციო ენა სომხებთან სომხური ენაა. მასწავლებლები იმასაც უსვამენ ხაზს, რომ არაერთხელ სცადეს სახელმწიფო ენის შესწავლა, თუმცა, მისი გამოყენების სჭიროების არარსებობის გამო, ისევ ავიწყდებათ ნასწავლი.

✓ კიდევ ერთი პრობლემა, რომელსაც ასახელებენ მასწავლებლები აღნიშნული პრობლემის მოუგვარებლობის მიზეზად, არის დაბალი მოტივაცია, რაც ვფიქრობ, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და ხელისშემშლელი ფაქტორია. რასაკვირველია, აქ პრობლემების უწყვეტი ჯაჭვია, რომელიც ცალკეული რგოლისგან შედგება, მოტივაციის ნაკლებობას იწვევს, ზემოთ აღნიშნული კომუნიკაციის არარსებობის პრობლემა, ენის ცოდნის მინიმალური მოთხოვნა განათლების სამინისტროს მხრიდან და შესაბამისად საჭიროების ნაკლებობა.

✓ მასწავლებლების ძალიან ცოტა პროცენტი ასახელებს სახელმწიფო ენის სათანადოდ არცოდნის მიზეზად დროის ნაკლებობასა და ცუდად ორგანიზებულ სწავლებას.

✓ რაც შეეხება ცუდად ორგანიზებულ სწავლებას, ვფიქრობ, ეს ჯერ კიდევ მგრძობიარე თემაა ჩვენი ქვეყნისთვის. მიუხედავად უამრავი რეფორმისა, რომელიც გაატარა საქართველოს განათლების სამინისტრომ, რიგ სკოლებში, ისევ დგას კვალიფიციური კადრების დეფიციტი, რომელიც პირდაპირ აისახება მიმავალი თაობის განათლებაზე, ჩვენს შემთხვევაში სახელმწიფო ენის არცოდნაზე, რაც წარმატებისკენ მიმავალ გზაზე, ასეთი ხელისშემშლელი ფაქტორია ჩვენი მოქალაქეებისთვის.

✓ კვლევით დასტურდება, რომ მასწავლებლებს აშკარად აქვთ მზაობა სახელმწიფო ენის შესწავლისა, ახლა მთავარია ეფექტური და დროული ღონისძიებების გატარება, რათა უფრო მეტმა მასწავლებელმა შეძლოს ხარისხიანად და სრულყოფილად სახელმწიფო ენის შესწავლა. ამით, ისინი გახდებიან მაგალითი თავიანი მოსწავლეებისათვის, შეძლებენ ბევრ სასარგებლო პროექტში ჩართვას, რაც დიდ სიკეთეს მოუტანს სკოლას, მოსწავლეებსა და ასევე მათ თემს, დაეხმარებათ სამოქალაქო საზოგადოებასთან ინტეგრაციაში, ჩამოყალიბდებიან აქტიურ მოქალაქეებად, რომლებსაც შეეძლებათ როგორც თავიანთი, ასევე სხვისი უფლებების დაცვა, ყოველთვის შეძლებენ თვალყური ადევნონ ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს და აქტიურად ჩაერთონ ქვეყნის მართვაში, ისე, როგორც დემოკრატიული სახელმწიფოს მოქალაქეებსა და სამოქალაქო განათლების პედაგოგებს შეშვენით.

✓ სოციოლინგვისტური გამოკითხვის ფონზე, ვფიქრობთ უფრო გასაგებია, კონკრეტული ენობრივ-გრამატიკული კომპეტენციების ხარვეზების დანახვა და ახსნა. სწორედ ამიტომ წარვუმძღვარეთ ჩვენს ე.წ. საველე სამუშაოს სოციოლინგვისტური კითხვარები. ახლა კი წარმოვადგენთ იმ მონაცემებს, რომლებიც უშუალოდ ჩვენი ნაშრომის ძირითად საკითხს უკავშირდება, კერძოდ, სახელთა ბრუნების თავისებურებებსა და სწავლების სიძნელეებს ქართულსა და სომხურ ენებში; როგორც ნაშრომში არაერთგზის გვაქვს აღნიშნული, ჩვენ ქართულსა და სომხურში ბრუნების შეპირისპირებითი ანალიზი, მნიშვნელოვანწილად, სომეხი ბავშვების მიერ ხშირად დაშვებული შეცდომების საფუძველზე დავაფუძნეთ.

✓ სკოლა ის ადგილია, რომელშიც ყველაზე უკეთ ჩნდება მოსწავლეთა ენობრივი ცოდნის მრავალფეროვანი გამოვლინებები და ტიპური შეცდომებიც.

სკოლასა და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში მომუშავე პედაგოგებმა კი ყველაზე უკეთ იციან, რა ტიპის შეცდომებს უშვებენ არაქართული (ამ შემთხვევაში, სომეხი) ბავშვები. კვლევისთვის მოვამზადეთ საკვლევი დოკუმენტი. კვლევა განვახორციელეთ სომხურ სკოლებში და სომეხ მოსწავლეებთან, სხვადასხვა პროექტში მომუშავე ქართული ენის პედაგოგებთან.

თვალსაჩინოებისთვის (რა სახის კვლევა ჩატარდა მასწავლებლებთან) გთავაზობთ აღნიშნულ კითხვარს:

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტის, ჟანა ხაჩატურიანის თეორიულ/ექსპერიმენტალური კვლევის ნაწილი. სამეცნიერო ხელმძღვანელი, პროფესორი მანანა ტაბიძე.

#### **საკვლევი თემა:**

„სახელთა ბრუნების თავისებურებები და/სწავლების სიძნელეები, ქართულსა და სომხურ ენებში.“

#### **კვლევის მიზანი:**

„შეცდომათა ანალიზის“ მეთოდს („error analysis“)-დიდი ყურადღება ეთმობა უცხოელ ავტორებთან. ამ ავტორთა უმრავლესობას მიაჩნია, რომ შეცდომებს აქვს რეგულარული, სისტემური ხასიათი და მოსწავლის ცნობიერებაში უკვე ჩამოყალიბებული მყარი სურათისაგან განსხვავებული ფაქტორების (ეს ფაქტორებია სხვა ენობრივი სისტემისა და სამყაროს სხვა ენობრივი სურათის საფუძველზე ჩამოყალიბებული ცდომილებები ენობრივი შეხვედრების დროს) ზემოქმედებისას ვლინდება.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ენათა შეხვედრების გზასაყარზე გამოვლენილ შეცდომათა ანალიზი, საშუალებას იძლევა, დადგინდეს ენობრივი კონტაქტების დროს წარმოქმნილი ობიექტური სიძნელეები და კანონზომიერებები, რაც სწავლებისას, პრაქტიკაში, რეალისტური მიზნების დასახვაში დაგვეხმარება.

კითხვარი მოიცავს 6 კითხვას, მისი შევსებისთვის დაგჭირდებათ 10-15 წუთი.

გთხოვთ, დასმული კითხვები შეაფასოთ 10 ბალიანი სისტემით ან შესაბამის გრაფაში ჩაწეროთ თქვენი მოსაზრება საკუთარი გამოცდილებიდან.

გაითვალისწინეთ, ჩვენთვის მნიშვნელოვანია თქვენი პირადი შეხედულებები და გამოცდილება.

წინასწარ გიხდით მადლობას კვლევაში მონაწილეობისა და თანამშრომლობისთვის!

**ტელ: +995 551 085079, ელ-ფოსტა: jkhachaturiani@gmail.com**

1. სახელი, გვარი

---

2. აკადემიური წოდება, სტატუსი

---

3. რომელ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ასწავლით?

---

---

4. რომელ საგანს ასწავლით?

---

### **საკვლევი კითხვები**

1. თუ შეგიძლიათ გაიხსენოთ და ჩამოთვალოთ „თავსატეხი“ ბრუნვის ან ბრუნვების ტიპური მაგალითები/ მოსწავლეთა შეცდომები.

1. \_\_\_\_\_

2. \_\_\_\_\_

3. \_\_\_\_\_

2. რამდენად გჭირდებათ, მოსწავლეთა მშობლიურ ენასთან/სომხურთან, პარალელების გავლება, მაგალითების მოყვანა, ამ ბრუნვების თავისებურების ახსნისას.

შეაფასეთ 0 -10 ბალიანი სისტემით.

---

3. იმ შემთხვევაში, თუ არ ფლობთ სომხურ ენას, ისურვებდით თუ არა, პარალელის გასავლებლად, ამ უნარის ფლობას?

შეაფასეთ 0-10 ბალიანი სისტემით.

---

4. რა გამოსავალი გაქვთ ნაპოვნი „თავსატეხი“ ბრუნვების წინადადებაში სწორად გამოსაყენებლად? (დაწერეთ თქვენი მოსაზრება)

---

---

---

5. ტექსტის დამუშავებისას, რამდენად გჭირდებათ თანდებულიანი ბრუნვების გრამატიკული თავისებურებების ახსნა?

შეაფასეთ 0-10 ბალიანი სისტემით

---

6. თუ შეგიძლიათ გაიხსენოთ ტიპური შეცდომები, თანდებულიან ბრუნვებთან დაკავშირებით, რომლებსაც უშვებენ თქვენი არაქართველი/სომეხი მსმენელები საუბრისას და წერისას.

1. \_\_\_\_\_
2. \_\_\_\_\_
3. \_\_\_\_\_

როგორც მოგეხსენებათ, „შეცდომათა ანალიზის“ მეთოდს (“error analysis”) - დიდი ყურადღება ეთმობა უცხოელ ავტორებთან. ამ ავტორთა უმრავლესობას მიაჩნია, რომ შეცდომებს აქვს რეგულარული, სისტემური ხასიათი და მოსწავლის ცნობიერებაში უკვე ჩამოყალიბებული მყარი სურათისაგან განსხვავებული ფაქტორების (ეს ფაქტორებია სხვა ენობრივი სისტემისა და სამყაროს სხვა ენობრივი სურათის ცდომილებები ენობრივი შეხვედრების დროს) ზემოქმედებისას ვლინდება.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ენათა შეხვედრების გზასაყარზე გამოვლენილ შეცდომათა ანალიზი, საშუალებას იძლევა დადგინდეს ენობრივი კონტაქტების დროს წარმოქმნილი ობიექტური სიძნელებები და კანონზომიერებები, რაც სწავლებისას, პრაქტიკაში, რეალისტური მიზნების დასახვაში დაგვეხმარება.

### **კვლევის ძირითადი ამოცანებია:**

1. გამოკითხულმა მასწავლებლებმა მოგვაწოდონ, მათ მიერ დაფიქსირებული „თავსატეხი“ ბრუნვის ან ბრუნვების ტიპური მაგალითები/ მოსწავლეთა შეცდომები.
2. გავიგოთ, თუ რა გამოსავალი აქვთ ნაპოვნი პედაგოგებს „თავსატეხი“ ბრუნვების წინადადებაში სწორად გამოსაყენებლად?
3. სჭირდებათ თუ არა პედაგოგებს მოსწავლეთა მშობლიური ენის ცოდნა, პარალელების გასავლებლად.
4. ტექსტის დამუშავებისას რამდენად სჭირდებათ თანდებულიანი ბრუნვების გრამატიკული თავისებურების ახსნა?
5. გაიხსენონ და მოგვაწოდონ თანდებულიანი ბრუნვების ტიპური შეცდომები.  
კითხვარში მონაწილეობა მიიღო სამცხე-ჯავახეთის, კერძოდ ახალქალაქისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში მომუშავე ოცდახუთმა მასწავლებელმა, რომლებსაც მრავალწლიანი გამოცდილება აქვთ არაქართველ, კერძოდ, სომეხ მოსწავლეებთან სწავლა-სწავლების პროცესში.

### **კვლევის შედეგები:**

საქართველოში დაახლოებით 72 ათასი ეთნიკურად არაქართველი მოსწავლეა, რომელთაგან 67953 მოსწავლე, ანუ დაახლოებით 94% არაქართულენოვან სკოლებში (წმინდა ან შერეულ ენობრივ სექტორებში) სწავლობს; აქედან სომეხი მოსწავლეების რაოდენობა შეადგენს 15592. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2009 (EMIS) დღევანდელი მდგომარეობით საქართველოში 213 საჯარო არაქართულენოვანი სკოლა და 77 არაქართულენოვანი სექტორი ფუნქციონირებს:

არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებელთა 95%-ზე მეტი ამ მოსახლეობის კომპაქტურად განსახლების ადგილებში ეთნიკურად არაქართველია და, პირიქით, ქართულენოვანი სკოლის მასწავლებელთა უმრავლესობა ეთნიკურად ქართველია [ტაბატაძე, 2010]. თუმცა, პროგრამა ქართული ენა, მომავალი წარმატებისთვის, ასევე ზ.ჟვანიას სახელობის ადმინისტრირების სკოლის ამოქმედებისას არაქართულენოვან სკოლებში გადანაწილდნენ ქართულენოვანი მასწავლებლები, სადაც კომპაქტურად დასახლებული სომხები არიან. შესაბამისად, სწორედ საქართველოში არსებული მრავალფეროვნების კონტექსტში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფო ენის სწავლების თავისებურებებსა და

სიმნელებს. სწავლა-სწავლების პროცესში არსებული სირთულეების კვლევასა და ანალიზს და საკითხის შესწავლის შესაბამისად ადეკვატური საგანმანათლებლო მეთოდის დაგეგმვასა და განხორციელებას.

როგორც მოსალოდნელი იყო, კვლევაში მონაწილე მასწავლებლებმა, რომლებიც ყველაზე კარგად იცნობენ თავიანთი მოსწავლეების მიერ ხშირად დაშვებულ შეცდომებს, მოგვაწოდეს, მათ მიერ დაფიქსირებული „თავსატეხი“ ბრუნვების ტიპური მაგალითები, რომელთა უმრავლესობაც სომხურენოვანი მოსწავლის დედაენისეული ფუნდამენტითაა განპირობებული. როგორებიცაა:

1. ზღვაში ვარ; (ნაცვლად: დასასვენებლად ზღვაზე ვარ)
2. მოკლა მამალს; ( ნაცვლად:მოკლა მამალი)
3. ვწერ წერილი; (ნაცვლად: ვწერ წერილს)
4. ბავშვი საჭმელი შეჭამა; (ნაცვლად: ბავშვმა შეჭამა საჭმელი)
5. ბავშვი საჭმელი ჭამს; (ნაცვლად: ბავშვი ჭამს საჭმელს)
6. ბავშვი საჭმელი უყვარს; (ნაცვლად: ბავშვს საჭმელი უყვარს)
7. ბავშვი ჭამს ვაშლი; (ნაცვლად: ბავშვი ჭამს ვაშლს)
8. მე ვსვამ ჩაი;
9. მასწავლებელი დაწერა დაფაზე,
10. მოსწავლე(მ) არ დაწერა საშინაო დავალება;
11. ქალბატონო დალი მოვიდა;
12. გიორგი(ს )აქვს წიგნი.
13. ანა(მ) იცის ქართული ენა.
14. მოსწავლე(მ) ისწავლა გაკვეთილი..
15. ვაზგენი ფლობ ხუთი ენა(ს).
16. ის (მან) თავი გამოავლინა
17. ქალბატონ(ო) ნათელა მოგმართავთ თქვენ.
18. დედა აკეთებს ნამცხვარი.
19. ვკითხულობ წიგნი;
20. გუშინ შევჭამე პურს;
21. ბიჭი თქვა;
22. კაცი აქვს;
23. დირექტორს მუშაობს;

24. კაცი გააკეთა;
25. ნინოს შეჭამა ნამცხვარი;
26. მეგობარი მითხრა;
27. ბიჭი აქვს ჩანთა;
28. დედა სტკივა თავისი თავი;
29. მეგობარი დამირეკა;
30. კაცმა წავიდა;
31. გრიგორმა წერს;
32. ანჟელიკამ მოვიდა;
33. მამაჩემი დარეკა;
34. მეზობელს სახლი;
35. ნარინეის მამა;
36. ბაბუამ ვარლამს წაიყვანა სახლში.
37. პატარამ ბავშვმა თამაშობს ეზოში.
38. წყაროს წინ მდებარეობს ბებიამ სახლს.
39. ექვთიმემ იცავდა საგანძურს.
40. ლუჩიანო პავაროტი კრუზოს არიას შეასრულა.
41. ბავშვს ლეკვს ეფერებოდა.
42. მშობლემ პატივისცემა სჭირდება.
43. პატარამ გოგომ ცას და ვარსკვლავებს შეჰყურებდა.
44. მისს ვაჟს ნიჭიერია.
45. მისმა დამ ღირსეული ადამიანია.
46. გლეხებმა ყურძენს ჩაბარება დაიწყეს.
47. რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარული უშენებია.
48. პაპის ნაჭამმა ტყემალს, შვილიშვილს მოსჭრა კბილი.
49. დომენტის მანქანა შეძენა სურს.
50. შვილზე მეგობრობა ძლიერთა ხვედრია.
51. ბავშვმა საკონტროლო დაწერა.
52. დათვმა ხეზე ავიდა.
53. ერეკლე შვილთან ზრდიდა დისშვილს.
54. გოდერძი მთაზე ბიჭი იყო.



55. ფეხბურთს სამი მილიონმა მაყურებელმა უყურა.
56. უსინდისო კაცი ყველაფერში მიდის.
57. ხუთ დღეზე შემდეგ.
58. დიდი შორიდან მოვდივარ.
59. ყიფიანები შვიდის სართულზე ცხოვრობენ.
60. მერი შერვშიძე ყველამ ლამაზი ქალი იყო.
61. თორნიკე ახალი მეგობრებს ხვდება.
62. ნისლიან ამინდზე ვსეირნობ.
63. დედაჩემმა ამ გაზეთს კითხულობდა.
64. ლაშმ ოთახშია და კითხულობს.
65. ჩვენ ერთად ვისეირნეთ ძველს თბილისს.
66. სტუმარმა დღეს ჩემთან სახლშია.

ესაა იმ სხვადასხვა ასაკისა და ენობრივი კომპეტენციის მოსწავლეთა, და, ზოგ შემთხვევაში, უფროსი ასაკის პირთა წერითი და ზეპირმეტყველებითი მონაცემები, რომელთაც უწევთ ქართულში სახელთა ბრუნების სიმწიფეებისა და თავისებურებების მშობლიურ ენასთან შეპირისპირება.

ცხადია, ბრუნების თავისებურებებზე საუბრისას თავს იყრის სხვადასხვა ტიპისა და სირთულის საკითხები, რომელთა შორისაა:

1. ბრუნვათა რაოდენობა;
2. ბრუნვათა მაწარმოებლები;
3. ბრუნვათა თავისებურებები მხოლოდობითა და მრავლობითში;
4. თანდებულებიანი ბრუნვები;
5. ბრუნვათა ნორმატიული ორგანიზაციის პრინციპები;
6. ბრუნვათა ფუნქციები ტექსტში (წინადადებაში)

და სხვ.

• მაგალითისთვის, მოვიყვანოთ გ. ნურისტანის ნაშრომი, რომელიც რუსულ-სომხური ენების ბრუნვათა სისტემების ტიპოლოგიას ეძღვნება, მასში აღნიშნულია, რომ ერთ ენაში გრამატიკული მნიშვნელობის მქონე ენობრივი ფაქტი მეორე ენისათვის შეიძლება სულაც არ იყოს გრამატიკული, რაც თავისთავად განაპირობებს ზემოთ აღნიშნულ შეცდომებს. მოგეხსენებათ, რომ სამცხე-ჯავახეთის სომხურენოვანი მოსახლეობა ლაპარაკობს დიალექტზე, რომელიც სრულიად

განსხვავდება სომხური სალიტერატურო ენისაგან, ხოლო სკოლაში, სწავლობს სომხური სალიტერატურო ენით მოწოდებულ პროგრამას, რომელიც არ ემთხვევა მის საოჯახო ენას, ამას ერთვის კიდევ შემდეგი, რომ ჯავახეთში მცხოვრები ქართველების მეტყველებაც დიალექტურია და ამდენად სამცხელი თუ ჯავახელი სომეხი ბავშვისთვისაც არ არის ადვილი, საყოფაცხოვრებო კონტაქტების წყალობით ქართული დიალექტის ათვისების შემთხვევაშიც კი, სალიტერატურო ქართულის დაუფლება;

კვლევის შემდეგი საკითხი ასე დგას: ზემოთ აღნიშნული შეცდომების აღმოსაფხვრელად, „თავსატეხი“ ბრუნვების წინადადებაში სწორად გამოსაყენებლად რა გამოსავალი აქვთ ნაპოვნი კვლევაში მონაწილე მასწავლებლებს?

მასწავლებელთა პასუხი არაერთგვაროვანია. ზოგი მასწავლებელი კი, ამ კითხვაზე პასუხის გაცემას საერთოდ არიდებს თავს.

უმუალოდ არაქართველ /სომეხ მოსწავლეებთან მომუშავე მასწავლებლების მიერ ნაპოვნი სტრატეგიები ასეთია:

„სიმულაციური თამაშები, ადაპტირებული გარემოს შექმნა, როლური თამაშები, ზეპირმეტყველების განვითარებაზე ორიენტირებული სხვადასხვა აქტივობების დაგეგმვა. ვცდილობ მზა ფორმით ენობრივი კონსტრუქციების მიწოდებას, საკომუნიკაციო ფორმებზე მუშაობა, ყოველთვის ვუთმობ საკმაოდ დროს მოსმენის აქტივობებს.“

„მიუხედავად იმისა, რომ ვიცი სომხური, სრულიად არაეფექტურად მიმაჩნია სომხურთან პარალელების გავლებით ამ პრობლემის გადაჭრა. მეტიც, ამ პრობლემის ერთ-ერთ მიზეზად სწორედაც რომ პარალელების ძიება და მასზე დაყრდნობა მეჩვენება.“

„პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ საუკეთესო გამოსავალი არის მსგავსი მაგალითების მოყვანა, მათი ჩამოწერა დაფაზე, მზა კონსტრუქციების ჩამოწერა სიტუაციების მიხედვით, რათა ვიზუალურად დაინახონ და აღიქვან ერთნაირი დაბოლოება. საჭიროა ერთნაირი დაბოლოებების ხაზგასმა, გამოკვეთა. ასევე საჭიროა გრამატიკული წესის ახსნაც, შემდეგ კი ანალოგიური სიტუაციებისა და სავარჯიშოების შეთავაზება, რათა მოხდეს მიღებული ცოდნის გამყარება.“

„ზმნაზე დაკვირვებით ვსწავლობთ კონკრეტულ ზმნებს და ვმიჯნავთ კონკრეტულად რომელს შეეწყობა მოთხრობითი ბრუნვა ანუ დაბოლოება -მა, -მ და რომელს არა.

ასევე ზმნა აქვს-ჰყავს. ვუხსნი რომ ამ ზმნებთან აუცილებლად უნდა გამოიყენონ მიცემითი ბრუნვა, დაბოლოება -ს.“

„ვცდილობ თეორიულად ავხსნა ბრუნვის ფორმები და შემდეგ პარალელი გავავლო მის მშობლიურ ენასთან. მოვიყვანო მაგალითები სომხურ ენაზე, რათა უკეთ აღსაქმელი იყოს სტუდენტებისთვის.“

1. „ენობრივი ყალიბების შემუშავება/მიწოდება
2. „თავსატებ“ გრამატიკულ საკითხებზე ყურადღების მუდმივი აქცენტირება
3. ტექსტების, დავალებების შეთავაზება მიზნობრივად.
4. შეცდომებიანი დავალებების მიწოდება გასასწორებლად.“

„ვფიქრობ, გრამატიკა უნდა ისწავლებოდეს არა სისტემურად, თეორიული კურსით, არამედ პრაქტიკულად, კონტექსტების აქტიური გამოყენებით. პრობლემას ქმნის, როგორც სახელობითი, ისე მოთხრობითი, მიცემითი ბრუნვა. ბრუნვის ნიშანზე დაკვირვებით ვასწავლი, რომ ი(სახ) გიორგი წიგნს კითხულობს. მა(მოთ) გიორგიმ წაიკითხა. ს(მიც) გიორგის უყვარს. ყურადღებას ვამახვილებ დროზე, სუბიექტისა და ობიექტის მიმართებაზე.

„მაგალითების მოყვანა და ხშირი განმეორება“

„თანდებულების და სხვა დაბოლოებების მნიშვნელობაზე და გაგებაზე ვამახვილებ ყურადღებას. შემდეგ მაგალითებით, ტექსტების ანალიზით ვაკვირდებით კონკრეტულ გრამატიკულ ფორმას.“

„მათი ხშირი გამოყენება როგორც ზეპირი, ისევე წერილობით სახით. სხვადასხვა სახის სავარჯიშოებისა და აქტივობების შესრულება. შეცდომებზე მუშაობა.“

„გრამატიკული წესების გამოყენებით. ანუ თეორიულად ვცდილობ ავუხსნა ამ ბრუნვების თავისებურებანი.

„მაგალითების წარსულის, აწმყოსა და მომავლის ფორმაში ჩასმა. მაგალითები სალაპარაკო, აქტიური ლექსიკიდან“

„მაგალითების განხილვა, ცხრილების, სქემების თვალსაჩინოების სახით გამოყენება, სავარჯიშოები, კონტექსტები, განმარტებები.“

## დასკვნა და რეკომენდაციები

კვლევის შედეგებიდან ვხედავთ, რომ თითოეულ გამოკითხულ მასწავლებელს განსხვავებული მეთოდი აქვს გრამატიკის/ ბრუნვების სწავლებისას. ყველა თავისი გამოცდილების მიხედვით აკეთებს დასკვნებს და ამის მიხედვით ქმნის სწავლების მეთოდს.

შესაძლებელია მოსწავლეთა ენის ფლობის დაბალი თუ მაღალი დონე დავუკავშიროთ პედაგოგთა შერჩეულ მეთოდებს. სწავლების პროცესში ძალიან მნიშვნელოვანია სწორად გამოყენებული მეთოდები. მეთოდს უნდა გააჩნდეს ცალსახად ჩამოყალიბებული მიზანი. რომელიმე გრამატიკული თუ ლექსიკური მიზნის მისაღწევად, იგეგმება სხვადასხვა სავარჯიშო, რომელსაც სხვადასხვა მეთოდით სჭირდება განხორციელება და მოსწავლემდე მიტანა. ხშირია შემთხვევა, როცა მასწავლებელი ვერ ახერხებს სწორი მეთოდით მასალის მიწოდებას და, რა თქმა უნდა, მიზანიც მიუღწეველი რჩება.

რეკომენდაციის სახით შეიძლება ვთქვათ, რომ თანამედროვე მოთხოვნებიდან გამომდინარე, ყველაზე მისაღებ რამდენიმე მეთოდს შეეხნენ, ჩვენს კვლევაში მონაწილე მასწავლებლები. გამოკითხულ მასწავლებელთა მოსაზრება შუაზე იყოფა. ნაწილის აზრით, მშობლიურ ენასთან შესასწავლი ენის გრამატიკული პარალელების გავლება მოსწავლეს უადვილებს ენის შესწავლას, ზოგის აზრით კი, პირიქით, ეს მათთვის დამაბრკოლებელი და დამაბნეველია, რადგან ეს მეთოდი მოსწავლეებისგან დამატებით მოითხოვს მშობლიური ენის გრამატიკის ზედმიწევნით ცოდნას.


ნაწილი მასწავლებლებისა, უპირატესობას ანიჭებს გრამატიკული წესების დაზეპირებას, თეორიულ მასალაზე აქცენტის გაკეთებას, ნაწილი კი, ფიქრობს, რომ გრამატიკული მასალა უნდა მივაწოდოთ მოსწავლეებს მხოლოდ პრაქტიკულად და შეცდომებზე მითითებით. მოსწავლეებს უნდა მივაწოდოთ მზა „ყალიბი“

ვფიქრობთ, პედაგოგთა ეს მოსაზრებები არა მხოლოდ ლინგვისტთა, არამედ მეთოდისტთა მხრიდანაც გამოწვლილვით შეფასებასა და ყურადღებას მოითხოვს. ჩვენი მხრიდან კი დავძენთ, რომ პრაქტიკოსი მასწავლებლების რჩევებში მნიშვნელოვანია ის, რაც სწავლების აქტიურ ფორმებს და გრამატიკული წესების

შემსუბუქებას უკავშირდება. გრამატიკული პარალელებით უნდა დამუშავდეს მასწავლებლის წიგნი და არა მოსწავლის სახელმძღვანელო.

შემდეგი საკვლევი საკითხი, სჭირდებათ თუ არა მასწავლებლებს მოსწავლეთა მშობლიური ენის ცოდნა პარალელების გასავლებლად, აქაც, როგორც მოსალოდნელი იყო, მოსაზრებები შუაზე გაიყო. სურათი ასეთია:

### მოსწავლეთა მშობლიური ენის ცოდნის საკითხი



#### დიაგრამა 7. მოსწავლეთა მშობლიური ენის ცოდნის საკითხი

გამოკითხულ მასწავლებელთა 46,6 % ფიქრობს, რომ უმჯობესია ფლობდეს შემსწავლელთა მშობლიურ ენას, სწავლა-სწავლებისას უკეთესი შედეგის მისაღწევად.


26,6% ფიქრობს აბსოლუტურად არ სჭირდება და უფრო მეტიც დამაბრკოლებელიც კია ენის შემსწავლეთა მშობლიური ენის ცოდნა საუკეთესო შედეგის მისაღწევად.

და ბოლოს, 26,6 % თვლის, რომ რაღაც დონეზე ენის ცოდნა შედეგიანი იქნებოდა სწავლების პროცესისთვის. აღნიშნული პედაგოგები 10 ბალიანი სისტემიდან, ამ კითხვას რამდენად სჭირდებათ სომხური ენის ცოდნა სწავლების პროცესში და არ ცოდნის შემთხვევაში ისურვებდა თუ არა ენის ცოდნას, 2 -დან 5 ბალამდე აფასებენ აღნიშნულ კითხვაზე პასუხს.

როგორც ვხედავთ, აქაც მასწავლებელთა არაერთგვაროვან პასუხებთან გვაქვს საქმე, მათ განსხვავებული შეხედულება გააჩნიათ მოცემულ საკითხთან დაკავშირებით.

შემდეგი საკითხი, რომლის გარკვევასაც ვცდილობთ კვლევის საშუალებით, შემდეგია: ტექსტის დამუშავებისას რამდენად სჭირდებათ მასწავლებლებს თანდებულიანი ბრუნვების გრამატიკული თავისებურების ახსნა. ეს ის საკითხია, სადაც არაქართველ/სომეხ მოსწავლეებს ხშირად მოსდით შეცდომები, რომელიც განპირობებულია ისევ მშობლიურ ენასთან პარალელის გავლებით, რადგან სომხური ენისგან განსხვავებით, ქართულ ენას განსხვავებული სინტაქსური ფუნქცია აკისრია. მათი საშუალებით იქმნება მორფო-სინტაქსური კონსტრუქციები, რისი გაგებაც საკმაოდ უჭირს არაქართულენოვან აუდიტორიას. აქედან გამომდინარე, საინტერესოა იმის გაგება, მასწავლებლები საჭიროდ თვლიან თუ არა თანდებულიანი ბრუნვების გრამატიკული თავისებურებების ახსნას.

პასუხები ასე გადანაწილდა:



დიაგრამა 8. თანდებულიანი ბრუნვების სწავლების საჭიროება

როგორც აღმოჩნდა, მასწავლებელთა უმრავლესობა, 10 ბალიანი სისტემიდან 5 ქულად აფასებს თანდებულის ბრუნვების ახსნის აუცილებლობას. ანუ მასწავლებლები ფიქრობენ, რომ ნაწილობრივ შეიძლება შეეხონ ამ საკითხის გრამატიკულ განმარტებას. მაშასადამე, აღნიშნული პედაგოგები ფიქრობენ, რომ სიღრმისეული გრამატიკის გარეშე აღწევენ დასახულ მიზანს. თუმცა ფაქტია, რომ მოსწავლეთა უმრავლესობას წერთი თუ ზეპირი მეტყველების დროს „ჩავარდნა“ სწორედ თანდებულის ბრუნვებში აქვს.

გამოკითხულთა 40% მიიჩნევს, რომ ძალიან სჭირდება თანდებულის ბრუნვების თავისებურებების სიღრმისეული ახსნა და მოჰყავს მოსწავლეების მიერ ხშირად დაშვებული შეცდომების მაგალითები. ხოლო გამოკითხულთა მცირე ნაწილი, 6,7% თვლის, რომ საერთოდ არ სჭირდება ამ გრამატიკული თავისებურებების ახსნა. აღნიშნული პედაგოგები 10 ბალიანი სისტემიდან 0-2 ქულამდე აფასებენ აღნიშნულ კითხვას.

საინტერესოა მასწავლებლების მიერ მოწოდებული თანდებულის ბრუნვების ტიპური შეცდომების მაგალითები, რომლებსაც თავიანთი მოსწავლეები უშვებენ სწავლა-სწავლების პროცესში:

1. ჩემს მიერ;
2. მასწავლებლისავით ლაპარაკობს;
3. ბავშვი კინოზე წავიდა;
4. მეზობლიდან გაიგო;
5. მასწავლებელი არის სახლი.-ში
6. მე მეხუთე კურსში ვარ;
7. ნინო არის თეატრზე;
8. ბავშვი ადის მეხუთე სართულში;
9. ლუსინემ ჩააბარა ფილოლოგიის ფაკულტეტში.
10. გთხოვთ, მიიღოთ თქვენს სამსახურზე;
11. სტუდენტები მივდივართ უნივერსიტეტი.(ში)
12. მე სახლი(ში) წავედი;
- 13.ექიმი(ად) მუშაობს;
14. ფეხი(თ) მიდის;
15. მეგობრიდან მივიღე წერილი;

16. სახლიგან მივდივარ;
17. საქართველოსა და სომხეთს შუა კარგი ურთიერთობაა;
18. მე ხშირად დავდივარ სპექტაკლში.
19. მამაჩემი ავიდა ავტობუსზე;
20. მეგობარის ერთად ვცხოვრობ.
21. ვსაუბრობ ხელოვნება.(ზე)
22. უნივერსიტეტზე ვარ;

როგორც მაგალითებიდან ვხედავთ, რომლებიც პრაქტიკოსი მასწავლებლების მიერაა მოწოდებული, თანდებულის ბრუნვებში მოსწავლეების მაგალითები ტიპურია და ერთმანეთს ძალიან ჰგავს.

ეთნიკური უმცირესობების მხრიდან ქართული ენის არცოდნის კიდევ ერთ მიზეზად ითვლება სასწავლო მეთოდები. განათლების სამინისტრომ, რაც არ უნდა დახვეწილი და მიზანზე ორიენტირებული სახელმძღვანელოები შემოგვთავაზოს, მასწავლებელი მიზანზე ვერ გავა, თუ არ აქვს სწორი და დროული მეთოდები შერჩეული.

ზოგადად ენის სწავლის მეთოდები მუდმივად იცვლება და არ არის რომელიმე კონკრეტული მეთოდი, რომელიც ძალიან კარგად მუშაობს და შეესაბამება ყველა მიზნობრივ ჯგუფს. მასწავლებლის მიერ შერჩეული სასწავლო მეთოდის წარმატება დამოკიდებულია ისეთ ფაქტორებზე, როგორცაა კულტურული განსხვავება, ენის შემსწავლელის წინარე ცოდნა, მშობლიურ ენასა და შესასწავლ ენას შორის განსხვავება. მაგალითად, სომხურენოვან შემსწავლელს არ გაუჭირდება ქართულ ენაში არსებული სახელობითი ბრუნვის გაგება და გამოყენება, სამაგიეროდ, ძალიან უჭირს მოთხრობითი, მიცემითი თუ წოდებითი ბრუნვის გაგება და, შესაბამისად, მისი სწორად გამოყენება. კიდევ ერთი მოქმედი ფაქტორი არის შემსწავლელის სწავლების ტრადიცია. თუკი შემსწავლელს ერთი მეთოდით ასწავლიდნენ ყოველთვის და მიჩვეულია გრამატიკული წესების დაზეპირებას მას, რა თქმა უნდა, გაუჭირდება კომუნიკაციური მიდგომით სწავლა, რადგან ძალიან ნაკლებად აქვს გამომუშავებული ავტონომიური სწავლების უნარი და ამის გამო გარკვეული პრობლემები შეექმნება ენის სწავლების პროცესში. (კილურაძე, ქუთათელაძე).



## დასკვნები

- თანამედროვე პრაქტიკა გაჯერებულია სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურით (ლინგვისტური, ფსიქოლოგიური, ფსიქოლინგვისტური, მეთოდური და სხვ.), რომელიც სწავლობს უცხო ენის სწავლების სირთულეებს; საკითხის აქტუალობას კი განაპირობებს თანამედროვე მსოფლიოს ინტენსიურად ცვალებადი დემოგრაფიული, ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური ტენდენციები. ჩვენს მოქალაქეებს ესაჭიროებათ სახელმწიფო ენის სრულყოფილი ცოდნა, რაც მათი საოციალურ-კულტურული წარმატების აუცილებელი პირობაა.

- ქართული და სომხური ენების თავისებურებათა შესწავლა სომხურენოვანი მოქალაქისათვის ქართულის დაუფლებისათვის საჭირო პრაქტიკული საკითხების გადაჭრის მიზნით, ჩვენს შემთხვევაში ქართულსა და სომხურში ბრუნვათა სისტემის მსგავსება-განსხვავებათა სხვადასხვა ასპექტის გამოვლენის მიმართულებით წარიმართა. ნაშრომში შეიძლება გამოვყოთ რამდენიმე საყურადღებო დებულება:

- ქართული, როგორც საქართველოს სახელმწიფო ენა, საქართველოს მოქალაქისათვის არ შეიძლება „უცხო ენად“ იყოს განხილული, მაგრამ ეს ოფიციალური ტერმინოლოგიური ასპექტი გახლავთ, რეალურ ცხოვრებაში კი ახალციხის ან ახალქალაქის რაიონის სომეხი მოსახლეობის უდიდესი ნაწილისათვის ქართული ჯერჯერობით სრულიად უცხოა... ამიტომ ქართულის სწავლება მეთოდოლოგიურად ძალიან ჰგავს ჩვეულებრივი „უცხო ენის“ სწავლებას

- სომხურის სამოცი დიალექტის ჩამონათვალშია თბილისური დიალექტი და ახალციხისა და ახალქალაქის სუბდიალექტები, რომელზეც ლაპარაკობს ამ რაიონებში მცხოვრები სომხობა. ამდენად, აქ სომხურენოვანი სომეხი ბავშვისათვის სკოლაში ასათვისებელ სირთულეთა შორისაა სალიტერატურო სომხურის ის ვერსია, რომელიც მის სალაპარაკო ენას არ ემთხვევა).

- სამცხე-ჯავახეთის სომხურენოვანი მოსახლეობა ლაპარაკობს დიალექტზე, რომელიც სრულიად განსხვავდება სომხური სალიტერატურო ენისაგან (როგორც აღვნიშნეთ, სომხური სალიტერატურო ენა ორია), ხოლო სკოლაში (ცხადია, სომხურ სკოლაში) სწავლობს სომხური სალიტერატურო ენით მოწოდებულ

პროგრამას, რომელიც არ ემთხვევა მის საოჯახო ენას, და რომლის ათვისებაც საგანგებო შრომას მოითხოვს მოსწავლისაგან;

- სამცხესა და ჯავახეთში მცხოვრები სომხების ლოკალური ცხოვრების წესი სხვადასხვაა. ჯავახეთის სომხობას გაცილებით ნაკლები კონტაქტი აქვს ქართულ მოსახლეობასთან, ვიდრე სამცხისას; ამდენად ჯავახეთის სომხობისათვის ქართულის ათვისებაც უფრო ძნელია, ვიდრე სამცხის მკვიდრთათვის. თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ საცხე-ჯავახეთის ქართველობის მეტყველებაც დიალექტურია და ამდენად სამცხელი სომეხი ბავშვისთვისაც არ არის ადვილი სალიტერატურო ქართულის დაუფლება, საყოფაცხოვრებო კონტაქტების წყალობით ქართული დიალექტის ათვისების შემთხვევაშიც კი;

- წარმოდგენილ ნაშრომში საკითხი ასე დგას - არაქართულენოვან მოქალაქეებს, რომელთაც სახლმწიფო ენის არცოდნა ან ცუდად ცოდნა, მრავალი საზოგადოებრივი სფეროს წიაღში დამკვიდრებასა და ინტეგრირებაში უშლის ხელს, რაც შეიძლება მეტად უნდა დავეხმაროთ ქართულის დაუფლებაში. ამ მიზნით კი ქართულისა და ნაციონალური ენების ყველაზე ძნელად დასამღევი უბნების მისაწვდომად ახსნისაკენ უნდა მივმართოთ ჩვენი ძალისხმევა;

- საუკეთესო რესპონდენტებად არაქართულენოვანი სკოლების ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები და ე.წ. ნაციონალური სკოლების მოსწავლეები ჩანან. მათ ყოველდღიურად უწევთ ერთი ენიდან მეორეზე პრაქტიკული თარგმნის ოპერაციების ჩატარება და ყველა ცთომილება მყარად ამახსოვრდებათ;

- როგორც არაერთმა ინტერვიუმ დაგვარწმუნა (და საკუთარი პრაქტიკული გამოცდილებაც ამასვე გვიდასტურებს) განსაკუთრებით თვალშისაცემია სიძნელები სახელთა ბრუნების სწავლებაში (კერძოდ, მოთხ. ბრუნვა; წოდებითი ბრუნვა); ჩვენი ამოცანაა, გავარკვიოთ ასაკობრივი გრადაციის მიხედვით, რატომ ძნელდება წინადადების აგებისას საჭირო ბრუნვის ფორმის შერჩევა;

- ბრუნვათა სისტემაზე საუბრისას გასათვალისწინებელია ბრუნებადი მეტყველების ნაწილების თავისებურებები. ამიტომ ცალ-ცალკე უნდა შეფასდეს არსებითი, ზედსართავი, რიცხვითი სახელებისა და ნაცვალსახელის ბრუნება;

- ნაცვალსახელთა ბრუნებისას სომხური გარკვეულ თავისებურებას იჩენს: მაგალითად. კუთვნილებით ნაცვალსახელს მყარი ადგილი აქვს, ის აუცილებლად წინ უძღვის საზღვრულს; ამით სომხური მკვეთრად განსხვავდება ქართულისაგან, რომელსაც კუთვნილებითი ნაცვალსახელის დასმა ყველგან შეუძლია საზღვრულის წინაც და საზღვრულის შემდეგაც, იქამდე, ქართულში ნაცვალსახელი (და ნებისმიერი სხვა მსაზღვრელად გამოყენებული სახელი) შეიძლება სხვა წევრმაც დააშოროს საზღვრულს და მაინც სინტაქსური კავშირი არ დაირღვევა;

- ქართულში თანდებული ძირითადად სახელის ფუძესთანაა შერწყმული, სომხურში კი უმეტესად ცალკე მდგომი სიტყვაა. როგორც ქართულ ენაში, ასევე სომხურშიც ზოგიერთი თანდებული ფუნქციურად მსგავსია, გამოიყენება ერთსა და იმავე ბრუნვასთან, ზოგჯერ კი სხვადასხვა ბრუნვის ფორმასთან გვხვდება. ორივე ენაში ხშირად ხმარებულ თანდებულებს შორის შეიძლება დავასახელოთ: -ვით, -თვის, ერთად, -მდე ...;

- როგორც მოსალოდნელი იყო, განსაკუთრებულ სირთულეს მოთხრობითი ბრუნვა ქმნის. თუმცა როგორც ვიცით, ამ ბრუნვას თანდებული არ დაერთვის. შესაბამისად, გარდამავალი ზმნის სამი კონსტრუქციიდან (ნომინატიური, ერგატიული და დატიური) პრობლემას ერგატიულ კონსტრუქციასთან ვაწყდებით, რაც მხედველობაში უნდა ვიქონიოთ და გავითვალისწინოთ არა მაინცადამაინც ბრუნვათა თანმიმდევრობა, არამედ მათი სირთულე;

- სომხურში სუბიექტი და ობიექტი ერთი და იმავე ფორმით არ ეწყობა ზმნას, მაგრამ მოთხრობითი ბრუნვა მისთვის უცხოა. ამ ბრუნვის არარსებობა კი ზმნის გარდამავლობამდე მიდის და მართლწერის ერთ-ერთ უმთავრეს საკითხად დაჩნდება. ამის გამოა, რომ, მიშვნელოვანი შეცდომები გვხვდება სომხურენოვანი პირის ქართულად წერასა თუ მეტყველებაში. სომხურში, ხშირ შემთხვევაში სუბიექტის ბრუნვაა სახელობითი ბრუნვა, ობიექტი კი დგას მიცემითში, *hայցալխն* (იხ. რუს. *винительн.*);

- ე.წ. ანთროპოცენტრული ლიტერატურის ერთ-ერთი საინტერესო სფეროა ლიტერატურული პერსონაჟი, როგორც „ენობრივი პიროვნება“, ხოლო ამ კუთხით ნაციონალურ უმცირესობათა მეტყველებითი სპეციფიკა მრავალმხრივ შეიძლება შევისწავლოთ. იმის დასადგენად, სომხურენოვანთათვის ბრუნებაში

